

სასწაული სარწმუნოებისა და ანუ სარწმუნოების სიმბოლო ძველ ქართულ თარგმანებში

ეპიფანიე კოჰლაგაზაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

„სასწაული სარწმუნოებისა და“ ანუ სარწმუნოების სიმბოლო ეწოდება ქრისტიანული მოძღვრების უმთავრესი დებულებების მოკლე ფორმულირებას, სარწმუნოებრივი ცოდნის იმ მინიმუმს, რომლის შეთვისება და საჯარო აღიარება უძველესი დროიდანვე ევალეობდათ მორწმუნეებს ნათლისღების რიტუალისას.¹

„სიმბოლოს“ ის ფორმა, რომელიც ამჟამად გამოიყენება ნათლისღების რიტუალის აღსრულებისას და ზოგიერთ სხვა განგებაშიცაა ჩართული,² ერთბაშად არ გაჩენილა; იგი ჩამოყალიბდა ნათლისღების რიტუალის ხანგრძლივი განვითარების შედეგად. თავდაპირველად კი ნათლისღებადისათვის სავალდებულო აღსარება სარწმუნოებისა გაცილებით მარტივი იყო. ეს ჩანს მოციქულთა დროინდელი ერთი გადმოცემიდან, რომელიც დაფიქსირებულია „საქმე მოციქულთა“-ში. იქ მოთხრობილია, რომ, როდესაც ფილიპემ მონათლა ეთიოპელი საჭურისი, მან თავისი სარწმუნოება განაცხადა ასეთი პრიმიტიული ფორმულით: „მრწამს, რამეთუ ძე ღმრთისა არს იესუ ქრისტე“ (საქმე 8, 37). მაშასადამე, ქრისტიანული სარწმუნოების უმთავრეს დებულებად იმჟამად მიჩნეული ყოფილა იესუ ქრისტეს აღიარება ღმრ-

1 ტერმინი „სიმბოლო“ ბერძნულია (σύμβολον τὸ) და მას ქართულად სიტყვასიტყვით „თანა-დადება“ შეესაბამება (σύν – „თანა“; βάλλα – „დადება“). სარწმუნოების უმთავრესი დებულებების აღმნიშვნელ ტერმინად მისი დაწესების მოტივი ასეთია: ამ სახელწოდებით ცნობილ ტექსტებში ლოგოტიური თეზისები თანა-დადება ულია, ე. ი. გარკვეული სისტემით შეწყობილი, ურთიერთშეხამებულიად წარმოდგენილი.

2 ასეთებია: დიდი და მცირე სერობის, შუაღამისა და სადილის ჟამთა განგებები, ჟამისწირვა და სხვ.

თის ძედ, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა იუდეველობიდან მოქცეულთათვის, რომელნიც, ასე თუ ისე, იცნობდნენ იუდაურ შჯულს (ძველი აღთქმის საღმრთო წერილს), მესიად და ღმრთის ძედ იესუს აღიარებით კი ძველი აღთქმის ახლებური გააზრების საშუალება ეძლეოდათ.

რადგანაც სარწმუნოების სიმბოლო, პირველ ყოვლისა, ნათლისღების რიტუალისთვის იყო განკუთვნილი, მისი თანდათანობითი დახვეწა აისახა სიმბოლოს ტექსტის შევსება-დაზუსტებაშიც. მალევე დაემატა მას ქრისტეს აღიარება მ ა ც ხ ო ვ რ ა დ, და მისი მაცხოვარებითი განგებულების საქმეთა გაცხადებაც (განკაცება, ვნება, ჯვარცმა, აღდგომა, ზეცად ამაღლება, სულიწმიდის მოვლინება და სხვ.). გარდა ქრისტოლოგიური დებულებებისა, სიმბოლოს ტექსტს მოციქულთა დროიდანვე უნდა დამატებოდა ტრინიტარული დოგმის ამსახველი ფორმულაც, რადგან იგი თვით მაცხოვრის ქადაგებიდან მომდინარეობს (მათე 28,19). ასეთია ე. წ. „მოციქულთა სიმბოლო“.³

სიმბოლოს ტექსტების სხვადასხვა ვარიანტები, რომლებიც ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში გამოიყენებოდა, დაფიქსირებულია ეკლესიის მამათა და ისტორიკოსთა თხზულებებში. მათგან აღსანიშნავია: წმ. ეგნატე ანტიოქელი († 115), წმ. იპოლიტე რომაელი (III ს.), წმ. იუსტინე მარტვილი (III ს.), წმ. ათანასე

3 „მოციქულთა სიმბოლოს“ და სარწმუნოების აღსარების სხვა ფორმულების წარმოშობის შესახებ იხ.: R. Seeberg, Zur Geschichte der Entstehung des apostolischen Symbols: Zeitschrift für Kirchengeschichte, 1922; Macdonald, The Apostle's Creed, 1925; A. Harnack, Dogmengeschichte, Tübingen, 1922; P. Feine, Die Gestalt des apostolischen Glaubensbekenntnisses in der Zeit des N. T., 1925; J. N. D. Kelly, Early Christian Creeds, London 1952; H. Lietzmann, Symbolstudien: Zeitschrift für Neutestamentlichen Wissenschaft, 1922, 1923, 1925, 1027; S. D. Lwlh, Peri to prwtōn symbolon th- pistew-, 'Aqhñai 1958; 'I. N. Karmirh, Ta dogmatika; kai; symboloka; mnhmeia th- 'Orqodoxou Kaqolikh-'Ekkhhsia-, 'Aqhñai 1952; K. B. Skouterh, 'Istoria dogmatwn, Tomo- 1o-, 'H 'Orqodoxh dogmatikhv paradosh kai v oil paracarakei- th- kata; tou- trei- prwtou- aiwne-, 'Aqhna 1998.

ალექსანდრიელი († 373), წმ. კუპრიანე კართაგენელი († 258), ტერტულიანე († III ს. შუა ხანები), ნეტარი ავგუსტინე († 430), წმ. კირილე იერუსალიმელი († 386), ეგვები კესარიელი († 339-340), წმ. გრიგოლ ნეოკესარიელი († 270-275) და სხვ.

ნიკეის პირველმა მსოფლიო კრებამ წინარე ტრადიციის გათვალისწინებით შეიმუშავა ახალი სიმბოლო (325 წ.), რომელიც შეავსო და საბოლოოდ დაადგინა მეორე მსოფლიო კრებამ (კონსტანტინეპოლი, 381 წ.),⁴ თუმცა გარკვეული სიტუაციების შემთხვევაში (მაგალითად, მწვალებლებთან პოლემიკის საჭიროების მიზნით) ამ კრებების შემდეგაც იქმნებოდა სიმბოლოს ახალი ვარიანტები.

გარდა ნიკეა-კონსტანტინეპოლის სიმბოლოსი, ძველ დრო-შივე ქართულ ენაზე უთარგმნიათ რამდენიმე სხვა სიმბოლოც. სახელდობრ, წმ. ეფთვიძემ მთავრიძელმა თარგმნა მიქაელ სვინკელის „მართლისა სარწმუნოებისა წარმოთქემა“;⁵ რომელიც მთარგმნელმა მის მიერ შედგენილი დოგმატური კომპენდიუმის, „წინამძღვრის“ ერთ-ერთ წყაროდ გამოიყენა⁶ და წმ. მაქსიმე აღმსარებლის „ცხოვრების“ მისეულ თარგმანშიც ჩართო, მცირედ რედაქტირებული სახით, როგორც წმ. მაქსიმეს მიერ გამოთქმული აღსარება;⁷ ამ „ცხოვრებაზე“ დაყრდნობით, ხსენებული სიმბოლოს ტექსტი დამოუკიდებელ თავადაც იქნა

4 Joh. Kunze, Das Nicänisch-Konstantinopolitanische Symbol, Leipzig 1898; C. Papadopoulos, Το σύμβολον της Β' Οικ. Συνόδου, 'Επεθρί- Θεολογική- Σχολή- 'Αθηνών Α, 'Αθῆναι 1926.

5 იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტურჯატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, 202; მისივე: უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტურჯატურაში: „ეტიუდები ძველი ქართული ლიტურჯატურის ისტორიიდან“ V, თბ., 1957, 101.

6 იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტურჯატურის ისტორია, ტ. I, გვ. 202; წმ. ეფთვიძემ მთავრიძელი, წინამძღვარი (სარწმუნოებისათვის), გამოსაცემად მოამზადეს თორნიკე ჭყონიამ და ნანა ჩიკვატია, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნანა ჩიკვატია, თბ., 2007, 38, 43-44.

7 კიძენი, ტ. I, პროფ. კორნ. კეკელიძის რედაქტორობით, ტფილისი, 1818, 87-90.

შეტანილი ზოგიერთ ხელნაწერში, და ავტორად წმ. მამქსიმე გამოცხადდა.

გიორგი მთაწმიდელმა თარგმნა „აღსარება და უწყება და სასწაული მართლისა სარწმუნოებისა“, რომელსაც ერთვის ფოტიკონსტანტინეპოლელის სახელით წარწერილი დოგმატური განსაზღვრება და ისტორიული მიმოხილვა – „წმიდათა კრებათათჳს, რომელთა დაამტკიცეს მართალი სარწმუნობა, რომელი-ესე ჳერ-არს ყოველთა ქრისტიანეთათჳს, რაათა კეთილად და გამოწულილვით მეცნიერ იყვნენ“. ასევე, გიორგი მთაწმიდელმა თარგმნა გრიგოლ ნეოკესარიელისა (გამოცხადებით მიღებული იოვანე ღმრთისმეტყველისაგან)⁸ და ათანასე ალექსანდრიელის სიმბოლოები⁹ და დოგმატური შინაარსის სტატია ათანასესივე – „ქალწულებისათჳს“. თეოფილე ხუცესმონაზონს უთარგმნია „აღსარება მართლისა და უბიწოჲსა ქრისტიანეთა სარწმუნოებისა“, რომელიც ხელნაწერთა ტრადიციით თეოდორ-იტეკურელს მიეწერება.¹⁰

8 „დიდებისმეტყუელებამ სამებისა ყოვლადწმიდისა, რომელი მოეცა დედისა ღმრთისა და იოანე ღმრთისმეტყუელისა მიერ წმიდასა გრიგოლის საკრველთმოქმედსა“. იხ. კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში, გვ. 25. ამ სიმბოლოს გიორგი მთაწმიდელისეული ვერსია ჩართულია წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულების – „წმ. გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ მისეულ თარგმანში. არსებობს ამ სიმბოლოს ეფრემ მცირისეული ვარიანტიც, როგორც „წმ. გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ ეფრემისეული თარგმანის ნაწილი. ტექსტები გამოცემულია ორგზის: ნანა მრეკელიშვილი, გრიგოლ ნოსელის „გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრების“ ქართული რედაქციები, თბ., 2001, 47 და 94-95; ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, წმ. გრიგოლ ნოსელის „ცხოვრება წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედისა“ და მისი ძველი ქართული თარგმანები: ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი II: „ახალი საქართველო“ (თბ., 2009), 419 და 484-485.

9 ათანასე ალექსანდრიელის სიმბოლოს გიორგი მთაწმიდელისეული თარგმანი გამოცემულია. იხ.: ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, ანა დამბაშიძე, ათანასე ალექსანდრიელის „სიმბოლოს“ ძველი ქართული თარგმანი: მრავალთავი XVIII, 1999, 153-162.

10 მეცნიერებაში თეოდორიტეს ავტორობა საეჭვოდაა მიჩნეული. ფსევდო-

სხვადასხვა დროის ლიტერატურულ კრებულებში გვხვდება დოგმატური ხასიათის რამდენიმე მომცრო სტატია, რომლებიც ფორმატითა და ხასიათით სარწმუნოების სიმბოლოს ენათესავენ. ერთ-ერთი ამთავანია იპოლიტე რომაელის სახელით X ს-ის „შატბერდის კრებულში“ და რამდენიმე სხვა ხელნაწერში შეტანილი „სიტყუად სარწმუნოებისათჳს“, რომელიც ქართული დოგმატური მწერლობის ადრინდელ პერიოდში უთარგმნია უცნობ მთარგმნელს.

ანონიმურადაა მოღწეული ნიკეისა და კონსტანტინეპოლის სიმბოლოთა და სხვა დოგმატურ განსაზღვრებათა XI-XII სს. თარგმანებიც, როგორც ცალკეული თავები იოანე დამასკელის სახელით წარწერილი დოგმატური კომპილაციისა – „გამოკრებანი წამებათანი“ (შეტანილია არსენ იყალთოელის მიერ რედაქტირებულ დოგმატურ კრებულში – „დოგმატიკონში“: S 1463, 138v-181r. ზოგჯერ ამ თარგმანს თავად წმ. არსენ იყალთოელს მიაწერენ).¹¹ „გამოკრებანში“ დაფიქსირებული რამდენიმე დოგმატური განსაზღვრება ამ თხზულების გარეშეც (ე. ი. დამოუკიდებელ თავადაც) გვხვდება „დოგმატიკონის“ ზოგიერთ ხელნაწერში (A 205, A 269, A 848, A 1086, S 158, H 601).¹² ეს თავებია: (1) „გამოთქუმაჲ სარწმუნოებისაჲ წმიდათა სამას ათრვამეტთა მამათაჲ“, (2) „გამოთქუმაჲ სარწმუნოებისაჲ ასერ-

ეპიგრაფიკული „აღსარებაჲ მართლისა და უბიწოჲსა ქრისტიანეთა სარწმუნოებისაჲ“ მცირედ გავრცობილი და სახეცვლილი ვარიანტია იმ დოგმატური განსაზღვრებისა, რომლის ერთი ნაირსახეობა მიქაელ სვინკელს მიეწერება, მეორე – მაქსიმე აღმსარებელს. სამივე ვარიანტია „აღსარებისა“, მათი ნათესაობის საზგასმის მიზნით, პარალელურადაა გამოქვეყნებული ვ. ჯ. ულელიძის მიერ. იხ. მისი ნაშრომი: ნეტარი თეოდორიტე კვირელი: ცხოვრება, მოღვაწეობა, მრწამსი, თხზულებები და მათი ქართული თარგმანები, ტ. I, თბ., 2008, 614-633.

11 ე. კოჭლამაზაშვილი, თ. დოლიძე, წმიდა გრიგოლ ნოსელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწ., თბ., 2009, 190-191.

12 ნ. ჩიკვატია, არსენ იყალთოელის „დოგმატიკონის“ შედგენილობა ხელნაწერი კრებულების მიხედვით: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი I, 2004, 30.

გასისტა წმიდათა მამათაჲ“, (3) „საზღვარი წმიდისა და მსოფლიოჲსა კრებისაჲ“, (4) „ხალკიდონისა წმიდამან და მსოფლიომან კრებამან თქუა“.

მოკლე დოგმატური განსაზღვრებანი უფრო გვიან ხანებშიც შეუდგენიათ. სახელდობრ, ანტონ I კათალიკოსს ეპისკოპოსის კურთხევის წესში ჩაურთავს სამი მოკლე განსაზღვრება, სადაც კათოლიკე ეკლესიის დოგმატის გადმოცემასთან ერთად მოცემულია ზოგიერთი ერეტიკული თეზისის კრიტიკა.

მოკლე დოგმატური „აღსარებანი“, რა თქმა უნდა, ვრცელ საღმრთისმეტყველო თხზულებებს ვერ ცვლიან, მაგრამ მკვეთრი ფორმულირებებითა და გამოთქმის ექსპრესიულობით ხელს უწყობენ დოგმატის ძირითადი პრინციპების შეთვისებას კატექეტიკურ დონეზე.

ჩვენ თავი მოვუყარეთ სარწმუნოების აღსარების ფორმულებისა და დოგმატური განსაზღვრებების ზემოხსენებულ ქართულ თარგმანებს, და ამ სახით პირველად ვთავაზობთ დოგმატიკის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

ტექსტების დადგენისათვის გამოვიყენეთ ხელნაწერები:

Jer. 151 (XI ს.); Jer. 44 (XII XIII სს.); A 65 (1188-1210); A 66 (XVIII ს.); A 67 (XVI ს.); A 140 (XII-XIII სს.); A 165 (XVII-XVIII სს.); A 200 (XIII-XIX სს.); A 205 (XIII ს.); A 240 (1791 წ.); A 269 (1785 წ.); A 381 (1837-38 წწ.); A 463 (XVIII ს.); A 584 (XI ს.); A 627 (1758-60 წწ.); A 636 (1728 წ.); A 848 (1767 წ.); A 1040 (1721 წ.); A 1086 (XVIII ს.); A 1119ა (1842 წ.); A 1132 (XVIII ს.); A 1158 (1796 წ.); A 1197 (XIX ს.); A 1448 (XIX ს.); S 158 (1802 წ.); S 269 (XVII ს.); S 312 (1541 წ.); S 367 (1781 წ.); S 1463 (XII ს.); H 28 (1868 წ.); H 316 (1820 წ.); H 601 (1746 წ.); H 1283 (XVIII ს.); H 1663 (XI ს.); Q 34 (1028-1031 წწ.); Q 35 (1761 წ.); ქუთ. 8 (XVIII ს.); ქუთ. 24 (XIV ს.); ქუთ. 90 (XVII); Ath. 25 (XIV ს.).¹³

13 არსებობს ზემოხსენებული ტექსტების შემცველი სხვა მრავალი ხელნაწერი, რომელთა ბიბლიოგრაფირებას აქ არ ვახდენთ. მათ შესახებ ცნობები დაინტერესებულმა მკითხველმა შეიძლება მოიძიოს სხვადასხვა კატალოგებში, რომელთა შორის შედარებით უფრო სრულია ენრიკო გაბიამაშვილის ბიბლიოგრაფიული სერიის („ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები“) VI ტომი – „ქართული ნათარგმნი კანონიკა, დოგმატიკა-პოლემიკა“, თბ., 2012.

აქვე წარმოვადგენთ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს სარწმუნოების აღსარების თითოეული ფორმულის შესახებ; კერძოდ, მათ შემცველ ხელნაწერებს პირობითი აღნიშვნებითურთ, რომლებითაც ამ ხელნაწერთა ვარიანტებს ვუთითებთ სქოლიოში:

1. აღსარებად და უწყებად და სასწაული მართლისა სარწმუნოებისა და წმიდათა კრებათათჳს, რომელთა დაამტკიცეს მართალი სარწმუნოებად (თარგმანი გიორგი მთაწმიდელისა) – A 584, 229v-240r (A); A 67, 49r-54v (თავბოლონაკლული) (B); A 381, 263v-266v (C); S 269, 46v-57v (D); A 1040, 2-36 (E); A 1448, 22r-24r (F); S 312, 83r-87v (G). სარწმუნოების სიმბოლოს ეს ვერსია მრავალგზისაა გამოცემული საღმრთისმსახურო დანიშნულების წიგნებში, ძველი ხელნაწერების საფუძველზე დადგენილი კრიტიკული ტექსტი კი, ფოტი პატრიარქის თხზულების დართვით, პირველად ქვეყნდება.

2. განჩინებად სარწმუნოებისა, დადებულისადა იოვანეს მიერ ღმრთისმეტყველისა გამოცხადებით საკურველთმოქმედისა გრიგოლის მიმართ (თარგმანი გიორგი მთაწმიდელისა) – A 584, 240r-241r (A); Jer. 151, 47r-48v (B); A 65, 166v-167r (C); S 269, 56v (D); A 1040, 36-37 (E); A 1448, 24r-v (F); A 463, 143v-144r (G); S 269, 56v-57r (H);¹⁴ ეს „განჩინება“, გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრებაში ჩართვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორგზისაა გამოცემული (ორივე გამოცემა ეყრდნობა ხელნაწერებს: A 55, Ath. 49, A 108, Ath. 14). ასევე ორგზისაა გამოცემული ამ „განჩინების“ ეგრემ მცირისეული თარგმანიც (S 384, A 128, Jer. 37, A 382 ხელნაწერების მიხედვით). „გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრებიდან“ გიორგისეული ვარიანტი ხსენებული „განჩინებისა“ დამოუკიდებელ თავადაც შეუტანიათ მრავალ ხელნაწერ კრებულში; სწორედ მათ ეყრდნობა ქვემოთ წარმოდგენილი ტექსტი. ეგრემ მცირის თარგმანი კი

14 H ხელნაწერის ტექსტი სხვაგვარადაა დასათაურებული: „დიდებისმეტყველებად სამებისა ყოვლადწმიდისადა, რომელი მოეცა დედისა ღმრთისა და იოანე ღმრთისმეტყველისა მიერ წმიდასა გრიგოლის, საკურველთმოქმედისა, ნოსელსა“.

მოგვყავს „გრიგოლ საკვირველთმოქმედის ცხოვრების“ პუბლიკაციიდან (ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი II, გვ. 484-485)

3. აღსარებად წმიდისა და უბიწოესა ქრისტიანეთა სარწმუნოებისაჲ, თქუძული წმიდისა ათანასე ალექსანდრიელისაჲ, მუკლ-მუკლი (თარგმანი გიორგი მთაწმიდელისა, რომელსაც იგი „პრომთა წიგნისაგან“ გადმოუწერია)¹⁵ – A 584, 244v-246r (A); Jer. 151, 43v-47r (B); A 65, 167r-v (ბოლონაკლული) (C); A 67, 48r-v (D); S 269, 44v-46v (E); A 627, 3r-6v (F); H 1283, 256r-257r (G); A 1448, 25r-v (H). ეს „აღსარებაჲ“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველად გამოიცა 1999 წელს (ოთხი უძველესი ხელნაწერის – A 584, Jer. 151, A 65 და A 67-ის მიხედვით). წინამდებარე გამოცემა ძირითადად ამ პუბლიკაციას ეყრდნობა. მისგან განსხვავებით კი აქ სქოლიოში ჩაგვაქვს იმ ხელნაწერთა ვარიანტები, რომლებშიც სულიწმიდის გამოსვლა აღნიშნულია „და ძისაგანაც“.¹⁶

15 A 584 ხელნაწერში, რომელიც გიორგი მთაწმიდელის მოწაფესა და ბიოგრაფს გიორგი მცირეს გადაუწერია (XI ს.), ათანასე ალექსანდრიელის „აღსარებას“ ერთვის მთარგმნელის ანდერძი: „ესე მართლისა სარწმუნოებისა აღსარებაჲ პრომთა წიგნისაგან გარდმოვწერე. ვინ აღმოიკითხო, ლოცვა ყავთ გლახაკისა გიორგისთჳს, რომელმან ესე ვთარგმანე“ (246r). არქიმანდრიტ ტარასი ალექსი-მესხიშვილის მიერ გადაწერილ A 1448 კრებულში, რომელშიც შეტანილია გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი სიმბოლოები, აქ ერთვის გადაძწერის ანდერძი: „ერთი სამოციქლო ვნახე, წმიდისა გიორგი მთაწმიდელისა თუალით მხილველისა და კელით მსახურისა, მეორე გიორგის კელით დაწერილი იყო, და იმაში ესე მართლმადიდებლობის სარწმუნოებაები, როგორც ეწერა, ჭეშმარიტად მეც ისე გარდმოვსწერე“ (A 1448, 25v). აქედან ჩანს, რომ ტარასის უსარგებლია A 584 ხელნაწერით.

16 დოგმატურ მწერლობაში მკვეთრადაა უარყოფილი თეზისი ძისაგან სულიწმიდის გამოსვლის შესახებ. სულიწმიდა გამოდის მხოლოდ მამისაგან და ძის მიერ მოცემა კაცთ: „სულსა წმიდასა მამისაგან ვიტყვთ გამოძავალად, და სულად მამისა სახელ-ვსდებთ, ხოლო ძისაგან არა ვიტყვთ გამოძავალად სულსა, არამედ მამისაგან. ხოლო სულად ძისა ვიტყვთ, ... და ძისა მიერ მოცემად ჩუენდა აღვიარებთ, ვითარცა შეჰბერა მოციქულთა და ჰრქუა: მიიღეთ სული წმიდაჲ“ (წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი, წინამძღუარი, გვ. 182. შდრ.: წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმი-

4. თქუძული წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ათანასი ალექსანდრიელ მთავარებისკობოსისაჲ, ქალწულებისათვის (თარგმანი გიორგი მთაწმიდელისა) – A 584, 246r-247r (A); A 1448, 25v-26r (B);

5. მიქაელ სზნკელისა იერუსალემელისაჲ მართლისა სარწმუნოებისა წარმოთქუმაჲ (თარგმანი ეფთვიმე მთაწმიდელისა) – A 584, 241r-244v (A); Jer. 151, 82r-87v (B); Ath. 79, 93r-98r (C); A 240, 161v-167v (D); A 67, 56r-58v (E); A 1158, 115r-118v (F); A 1119ა, 91v-93r (G); S 269, 59v-64v (H); ქუთ. 91, 72r-75v (I); A 200, 92r-96r (J); A 1448, 24v-25r (K); H 28, 35v-37r (L); H 1283, 80v-83v (M) A 1132, 54v-58r (N); ეს სიმბოლო სარწმუნოებისა, და მომდევნო ორიც (ფსევდო-მაქსიმესი და ფსევდო-თეოდორიტესი) გამოქვეყნებულია ვ. ჯუღელის მიერ.¹⁷ თითოეული მათგანისათვის მკვლევარს გამოუყენებია რამდენიმე ხელნაწერი, დაუდგენია კრიტიკული ტექსტი და ურთიერთშესაბამის მცირე მონაკვეთებად დაუყვია (პარალელების ჩვენების მიზნით). ჩვენ მიერ მომზადებული ტექსტი თითქმის იმავე ხელნაწერულ ბაზას ეყრდნობა და არსებით განსზვავებას არ იძლევა ვ. ჯუღელის პუბლიკაციისაგან. სზვაობები მცირე რაოდენობითაა, ძირითადად ორთოგრაფიულ-პუნქტუაციური; შვეიტანეთ აგრეთვე რამდენიმე აქცენტბი.

6. თქუძული წმიდისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებლისაჲ, სარწმუნოებისათვის (თარგმანი ეფთვიმე მთაწმიდელისა) – A 66, 378r-380v (A); A 636, 22r-23v (B); Q 34, 33r-36v

წვენითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული თარგმანი, წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა) გამოსაცემად მოამზადეს რომან მიძინოშვილმა და მან რაფაევამ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფაევამ: თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბ., 2000, 59.

17 ვ. ჯუღელი, ნეტარი თეოდორიტე კვირელი, გვ. 614-633. XIX ს-ის ცნობილი კალიგრაფი და მწერალი ამბროსი ნეკრესელი მის მიერვე გადაწერილ მიქაელ სზნკელის სიმბოლოზე დართულ ანდერძში (H 1283 ხელნაწერში, 83v) გვაუწყებს, რომ ეს სიმბოლო მას რომელიღაც ნაბეჭდი წიგნიდან გადმოუწერია. როდინდელია და რომელია ის წიგნი, „რუსეთს დაბეჭდილი ქართულს ენაზედ“, – ამის შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით.

(C); Q 35, 16r-18r (D); H 1663, 36r-39v (E); S 367, 28-31 (F); H 316, 18v-20r (G); A 1197, 14v-16r (H); A 66 ხელნაწერში მაქსიმეს სახელით წარწერილი სარწმუნოებრივი აღსარება ცალკე თავადაა გამოყოფილი (რის გამოც იგი A ლიტერით აღვნიშეთ, და ტექსტშიც მის გვერდებს ვუთითებთ), სხვა ხელნაწერებში კი იგი წმ. მაქსიმეს „ცხორებაშია“ ჩართული.

მაქსიმეს „ცხორების“ კრიტიკული ტექსტი (და მასში ჩართული სარწმუნოებრივი აღსარება) უძველესი ხელნაწერების მიხედვით (Q 34, H 1663) პირველად გამოაქვეყნა კ. კეკელიძემ.¹⁸

7. აღსარებად მართლისა და უბიწოხსა ქრისტიანეთა სარწმუნოებისაჲ, აღწერილი თეოდორიტეს მიერ კურელ ეპისკოპოსისა (თარგმანი თეოფილე ხუცესმონაზონისა) – Jer. 23, 339r-343v (A); A 140, 248v-254r (B); A 66, 371r-377v (C); ქუთ. 8, 439v-447r (D); ქუთ. 90, 259r-262v (E).

8. განზრახვად სარწმუნოებისაჲ, რომელიც ჩართულია წმ. იოვანე ოქროპირის სიტყვაში: „წმიდისა ჟამისწირვისათჳს“ (ანონიმური თარგმანი, ათონამდელი პერიოდისა). შემორჩენილია ერთადერთ ხელნაწერში – Ath. 25 (183r-193r). ჰომილიის ტექსტი სრულად ქვეყნდება ამავე კრებულში, სათაურით: „წმ. იოვანე ოქროპირის საკითხავი „წმიდისა ჟამისწირვისათჳს“ და მისი ძველი ქართული თარგმანი“ (გვ. 193-210).

9. საზღვარი წმიდისა და მსოფლიოხსა კრებისაჲ – S 1463, 168v-169r (A); ქუთ. 24, 134r-135r (B); H 601, 243-244 (C); A 1086, 234v-235r (D); A 269, 234r-v (E); A 205, 190v-191r (G); A 848, 182v-183v (H); S 158, 299 (I).

10. გამოთქეჲდა სარწმუნოებისაჲ წმიდათა სამას ათრვაჲმეტთა მამათაჲ – S 1463, 169r (A); ქუთ. 24, 135r (B); H 601, 244-245 (C); A 1086, 235r-v (D); A 269, 234v-235r (E); A 267, 210v-213r (F); A 205, 191r-v (G); A 848, 183v (H); S 158, 299-300 (I).

¹⁸ კიმენი, ტ. I, პროფ. კორნ. კეკელიძის რედაქტორობით, ტფილისი, 1818, 87-90.

11. გამოთქემაჲ სარწმუნოებისაჲ ასერგასისთა წმიდათა მათაჲ – S 1463, 169r (A); ქუთ. 24, 135r (B); H 601, 245-246 (C); A 1086, 235v (D); A 269, 235r (E); A 205, 191v (G); A 848, 183v-184r (H); S 158, 300 (I);

12. ხალკიდონისა წმიდამან და მსოფლიომან კრებამან თქუა – S 1463, 169r-v (A); ქუთ. 24, 135r-137r (B); H 601, 246-248 (C); A 1086, 235v-237r (D); A 269, 235r-236v (E); A 1119^ა, 154r-155r (F); A 205, 191v-192v (G); A 848, 184r-185r (H); S 158, 300-302 (I);

13. სიტყუაჲ წმიდისა იპოლიტესი სარწმუნოებისათჳს (ანონ-იმური თარგმანი; იპოლიტეს ავტორობაც საეჭვოდაა მიჩნეული) გამოქვეყნებულია ორგზის.¹⁹ ჩვენი პუბლიკაცია ეყრდნობა S 1141, 193v-203v (A); Jer. 44, 226r-235r (B); A 165, 699-704 (C) ხელნაწერებს. აღრინდელი გამოცემებისაგან ჩვენი ტექსტი განსხვავდება ალაგ-ალაგ გამოვლენილი ორთოგრაფიულ-პუნქტუაციური თავისებურებით და ტექსტის დანაწევრებით.

14. [აღსარებაჲ მართლმადიდებლობითისა სარწმუნოებისაჲ]. ესაა სამი ექსცერპტი ეპისკოპოსად ხელთდასხმის წესიდან, რომელიც შეუდგენია ანტონი I კათალიკოსს (1720-1788). ამ წესის სრული ნუსხა შემორჩენილია H 1283 ხელნაწერში.²⁰ ჩვე-

19 G. Garitte, *Le traité géorgien «Sur la foi» attribué à Hippolyte: Le Muséon*, t. LXXVII, 1-2 (Louvain 1965) 119-172. შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა: „მეცნიერება“ (თბილისი 1979) 292-303.

20 დასათარგმნებულია ასე: „წესი გამორჩევისა და კელთდასხმისა მღვდელთმთავრობითისა[ჲ]“ (H 1283, 101r-110r). ტექსტი რომ ნამდვილად ანტონ I-ს გაუმართავს, მოწმობს მასზე დართული ანდერძი: „ესე უკუე წესი გამორჩევისა და კელთდასხმისა მღვდელთმთავრობითისაჲ განიმართა ჩუენ მიერ, წინადადებითა საბერძნეთისა და რუსეთის ეკკლესიისაგან პყრობილთა მღვდელთმთავრობითისა გამორჩევისა და კელთდასხმისა განწესებათაგან, რამეთუ ჩუენ, მოძღვრებულთა თქმულისა მღვდელთმთავრობისა განწესებისათა, რომელიცა ვპოვნით საუნჯეთა შინა წიგნისსაცავთა მცხეთისა ეკკლესიისათა, გარდმოთარგმანებული ბერძულისაგან, ვჰკონებ, ვითარმედ კჳპრიანეს მიერ სამთავნელისა (რომელი იყო ნათესავით არაგჳს ერისთავთაგან) ნათარგმანები, ბრძანებითა ნე-

ნი აზრით, სწორედ ეს ხელნაწერი გამოუყენებია დეკანოზ კორნელი კეკელიძეს მღვდელთმთავრის კურთხევის წესის პირველი გამოცემისათვის 1917 წელს.²¹ წინასიტყვაში ტექსტის გამომცემელი ბოდიშს იხდის, რომ „სიჩქარისა და არქაიულ ორთოგრაფიის გამომხატველ ასოთა უქონლობის გამო გარეგნული ფორმა გამო-

ტარისა მამათმთავრისა, მამისძმისა და მოსაყდრისა ჩემისა, მეფისა ძისა ღომენტი მეცხრისადათა და კუალად თქმულისა განწესებისაგან რუსთა ენისაგან გარდამოთარგმანებულისათა, ვყავ განსჯაჲ გულისხმისყოფითი და ესრეთ, უმჯობესისა აღმრჩეველმან ყოველი აღსარებაჲ სარწმუნოებისაჲ და ლოცვანიცა კელთდასხმითნი ბერძულისაგან, ხოლო თრისკიანი, ესე იგი ცერემონიანი, რუსულისაგან ნათარგმანებისა შევაწყვენ, და ესრეთ, საკმარად ფრიად სამღვდელთმთავროსა გამორჩევისა და კელთდასხმისა დადებად ყოვლისა ზემოდას საქართველოდასა ეკკლესიისათჳს ვიმზარკენ, ყოვლითა გამოძიებითა და გამოწულილვითა ქმნილი“ (ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები, H კოლექცია, კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით, ტ. III, შედგენილი და გამოსაცემად მომზადებული ქრისტინე შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1948, გვ. 223-224). ეს ანდრძი გვაცნობს ანტონ კათალიკოსის ლიტურგიკული შემოქმედებითი მუშაობის სტილს. სამღვდელთმთავრო გამორჩევისა და კურთხევის ქართული განწესების შესაღვენად მას უსარგებლია ბერძნული და რუსული წყაროებით. ბერძნული წყაროს მაგივრობას კვიპრიანე სამთავნელის თარგმანი სწევდა, და სწორედ იქიდან ამოუღია ანტონს სარწმუნოების აღსარების ფორმულები და ხელთდასხმის ლოცვები (ე. ი. განგების ვერბალური ნაწილი), რიტუალურ მოქმედებათა განწესების შედგენისათვის კი ნიმუშად გამოუყენებია ანალოგიური რუსული განწესება და გადაუმუშავებია იგი ქართული რეალობის გათვალისწინებით. საინტერესოა, რომ რიტუალური მოქმედების, ცერემონიის შესატყვისად ანტონი ბერძნულ ტერმინს – თრისკიას ხმარობს (**θηραια**). ქართულ წერილობით წყაროებში უთარგმნელად ამ სიტყვის გადმოტანა სხვაგან არსად შეგვხვედრია. მის შესატყვისად ქართულ თარგმანებში „მსახურებასა“ და „სამსახურებელს“ (ზოგჯერ „შჯულსაც“) წერენ (იხ. ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი, ს. ყაუხჩიშვილის საერთო რედაქციით, პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. კვირიკაშვილი, ტ. III, თბ., 2005, გვ. 106)

21 გამოცემაში ტექსტის სათაურია: „წესი, რომელი იქმნების ხელთდასხმასა ზედა ეპისკოპოსისა[სა]“. იქვე ერთვის „კურთხევაჲ და საყდრად აღყვანებაჲ კათოლიკოზისაჲ“.

ცემისა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს“. გამომცემლის სინქარე აიხსნება იმით, რომ საქართველოს ეკლესიაში, რომელმაც იმხანად აღიდგინა ავტოკეფალია, ახალ მღვდელთმთავართა კურთხევისათვის ამ ტექსტის დროული გამოცემა საშური საქმე იყო. წინასიტყვის ბოლოში დეკ. კ. კეკელიძე წერდა: „იმედია, როდესაც ჩვენი განახლებული ეკლესია ძალას მოიკრებს, ის შესძლებს გამოუმუშავს მეორე გამოცემა, სადაც დეფექტებს ადგილი არ ექნება“.

მღვდელთმთავრის კურთხევის წესი (კათოლიკოზის საყდრად აღყვანების წესთან ერთად) პირველი გამოცემიდან უცვლელად გამოვრდა საქართველოს ეკლესიის კალენდრის 1976 წლის გამოცემაში (გვ. 73-86, 88-94) და არავითარი ორთოგრაფიული კორექცია არ შეჰხვებია. ეს საპატრიარქოს მისია იტვირთა საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობამ 1997 წელს (თავმჯდომარე – პროფესორი გვანცა კობლატაძე).²²

ახალი გამოცემის ბოლოსიტყვაში საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილება გვაუწყებს: „პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში დეკანოზი კორნელი კეკელიძე ბოდიშს იხდიდა მკითხველის წინაშე, რომ „სინქარისა და არქაიულ ორთოგრაფიის გამოშნატველ ასოთა უქონლობის გამო“ გარეგნული ფორმა გამოცემისა მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებდა და გამოშნატავდა იმედს, რომ განახლებული ქართული ეკლესია შეძლებდა მის ხელმეორედ გამოცემას, რომელშიც დეფექტებს ადგილი არ ექნებოდა. ღვთის წყალობითა და უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით დეკ. კ. კეკელიძის იმედი აღსრულდა და დღეს ეკლესიამ კათოლიკოს-პატრიარქისა და ეპისკოპოსის კურთხევის წესების სრულყოფილი სახით გამოცემა შეძლო“.

22 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და ეპისკოპოსის კურთხევის წესები, მეორე გამოცემა, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბ., 1997. როგორც ჩანს, 1976 წლის საეკლესიო კალენდრის გამოცემას საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა სათვალავში არ ავდებს, ამიტომაც 1997 წლის გამოცემისათვის „მეორე გამოცემა“ უწოდებიათ.

როგორც ვხედავთ, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა (ქალბატონ გვანცა კობლატაძის სახით) ზემოხსენებული საღმრთისმსახურო ტექსტის მათეულ პუბლიკაციას სრულყოფილ გამოცემად მიიჩნევს; იმდენად სრულყოფილად, რომ ეუხერხულება, იგი მხოლოდ საკუთარ ნაღვაწად გამოაცხადოს (ალბათ, თავმდაბლობის გამო), და ამიტომაც საქართველოს ეკლესიის დიდ მიღწევად წარმოგვიდგენს: ის, რაც XX საუკუნის დასაწყისში ვერ მოხერხდა (იგულისხმება სრულყოფილი გამოცემა), საქართველოს ეკლესიამ 1997 წელს შეძლო!

სამწუხაროდ, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობის მიერ 1997 წელს გამოცემული საღმრთისმსახურო ტექსტები ძალზე შორსაა სრულყოფილებისაგან, და არანაირად არაა წინ გადადგმული ნაბიჯი 1917 წლის გამოცემიდან.

ძველი, ხმარებიდან გამოსული ასოების (წ, ა, ჯ, კ, ზ) სასტამბო ნიშნების უქონლობას რომ უჩიოდა, დეკ. კ. კეკელიძე მომავალი რედაქტორების მთავარ ამოცანად ტექსტის ორთოგრაფიულ კორექციას სახავდა. 1997 წლის გამოცემაში კი უხეშ ორთოგრაფიულ (და სხვა სახის) შეცდომებს ყოველ სტრიქონში შეხვდებით.²³ ტექსტის გაცნობით აშკარა ხდება, რომ მისი

23 გამოცემაში იერარქიული, ჰაგიოლოგიური და ლიტურგიკული ტერმინები თითქმის არსად გვხვდება მართებული ფორმებით. მათი მცდარი ფორმები კი ძალზე მრავალფეროვანია: „მღვდელი“, „მღუდელი“ („მღუდლისა“, „სამღუდლოა“), „მღუდელმონაზონი“, „მღუდელმთავარი“ („მღვდელმთავარი“, „მღუდელმთავარი“, „მღვდელმთავარი“, „მღუდელმთავრობითი“), „ღვთივდაცული“, „ხელდასხმა“, „ხელთდასხმა“, „ხელისდასხმა“, „კელისდასხმა“, „კელდასხმული“, „ხელდასხმადი“ და სხვ. შეცდომათა ასეთი ნაირგვარობა კ. კეკელიძის გამოცემაში არ ყოფილა, ამიტომაც 1997 წლის გამოცემა 1917 წლის არა გაუმჯობესებულ, არამედ გაუარესებულ ვარიანტად უნდა ჩაითვალოს (რამდენიმე ადგილას შეგვხვდა მართებული ფორმებიც: „მღვდელმთავრობითი“ გვ. 18, „მღვდელთმოდუარნი“ გვ. 17, „მღვდელმთავრობისასა“ გვ. 17 და სხვ. თითოეულმა მათგანმა, რა თქმა უნდა, ჩვენი სასიამოვნო გაკვირვება გამოიწვია). წიგნი სავსეა სხვა ორთოგრაფიული „მარგალიტებითაც“: „გარდამოხდა“ („გარდამოკდა“), „წარმოთქვამს სიტყვასა“ („წარმო-

რედაქტირება ქალბატონ გვანცა კოპლატაძეს ისეთი პირისათვის მიუხედავად, რომელსაც ძველ ქართულ ენასა და ლიტერატურაში

თქვამს სიტყუასა“), „წინასწარ“ („წინამსწარ“), „ღვინო“ („ღვნი“), „გამომსახველი“ („გამომსახველი“), „თვითიული“ („თვითიული“ ან „თითიული“), „თვისი“ („თვისი“), „დახსნა“ („დაქსნა“), „მუხლი“ („მუხლი“); „მხარი“ („მკარი“), „ფერხი“ („ფერქი“), „კვირიაკე“ („კურიაკე“), „ხელდასხმა“ და „კელდასხმა“ (ორივე ამთავანი მცდარია: „კელთდასხმა“ უნდა იყოს). კ. კეკელიძის გამოცემაში ეწერა მართებული ფორმა: „ხელთა დასხმადი“ (უმჯობესი იქნებოდა „ხელთა-დასხმადი“), ახალი გამოცემა კი უარეს ვარიანტს გვთავაზობს: „ხელდასხმადი“ (გვ. 17).

ზოგჯერ პარალელურად გვხვდება მცდარი და მართებული ფორმები: „ხმა“ და „კმაჲ“, „იტყვის“ და „იტყვს“, „სიტყვა“ და „სიტყუაჲ“, „თქმული“ და „თქმული“, „იესო“ და „იესუ“, „ღვთისა“ და „ღმრთისა“, „ღვთივდაცული“ და „ღმრთივდაცული“, „რათა“ და „რათაჲ“, „მარჯვენა“ და „მარჯვენაჲ“, „თვის“ და „თვს“, „ხელი“ და „კელი“, „თაყვანს სცემს“ და „თაყუანის-სცემს“, „თვინიერ“ და „თვნიერ“, და ა. შ.

რიტუალური შეცდომა: „კათოლიკოსი, დამდებელი ხელისა თავსა ზედა ხელდასხმადისასა“ (გვ. 17). „ხელდასხმა“ (უფრო ზუსტად, „კელთდასხმაჲ“) ორივე ხელის დადებას ნიშნავს (სხვაგვარად, „კელთდასხმაჲ“ კი არაა, „კელიდადებაჲ“ გვექნებოდა), ამიტომაც კათოლიკოსი „დამდებელი ხელისა“ კი არაა, არამედ „კელთა დამსხმელი“, რაც იქვე, გვ. 17-ზე დასტურდება კათოლიკოსის ლოცვაში: „...რომელი ღირს იქნა ... პატივის მღვდელთმთავრობისასა დასხმითა კელთა ჩემ ცოდვილისა და ... თანამსახურთა ეპისკოპოსთათა“.

არანაკლები რაოდენობით გვხვდება სინტაქსური შეცდომები: „რომელმან... ზეცით გარდამოუვლინა ყოვლად წმიდაჲ სული წმიდათა მოწაფეთა და მოციქულთა თვსთაჲ, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩუენმან...“ (გვ. 23). აქ უნდა იყოს „თვსთაჲ“, და არა „თვსთაჲ“, თორემ გამოვა, რომ სული, რომელიც ქრისტემ მოავლინა, იყო არა სული მამისაჲ, არამედ „სული მოციქულთა თვსთაჲ“(!) (თანაც, ვის მიუვლინა, – ეს ხომ სრულიად აღარ ჩანს!) – ამისთანა უაზრობის დაშვება, რა თქმა უნდა, ძველი ქართული ენისა და ქრისტიანული ღმრთისმეტყველების აბსოლუტურად უცოდინარი კაცისაგანაა მხოლოდ მოსალოდნელი. მსგავსი სინტაქსური ცდომილებანი უამრავია; აქ მხოლოდ ზოგიერთს აღვნიშნავთ: „ხელნი ეღვას“ (გვ. 18; უნდა იყოს: „კელნი ესხნეს“); „მღვდელთმთავარმან სიქუას“ (გვ. 16; „მღვდელთმთავარმან თქუას“); „კეთილშეზავებისათვის ჰაერთასა“ (გვ. 18; უნდა იყოს: „კეთილშეზავებისათვის ჰაერთაჲსა“); „წმიდისა ტრაპეზისა გარემოსა“ (გვ. 17; უნდა იყოს: „გარემოს წმიდისა ტრაპეზისა“); „მიჰფინენ რამათ ზედა

(და, ჩანს, ღმრთისმეტყველებაშიც) არავითარი კომპეტენცია არ გააჩნია.²⁴ თუ გამოძვეულებას სურვილი ჰქონდა, ეპისკოპოსისა და კათალიკოსის კურთხევის წესები სრულყოფილი სახით გამოეცა, უთუოდ ამ საქმისათვის მომზადებული კაცისათვის უნდა მიემართა. საბედნიეროდ, საქართველოს ეკლესიაში (როგორც იერარქიაში, ისე სასულიერო სასწავლებლებში), ასევე უმაღლეს საერო სასწავლებლებსა და სამეცნიერო ცენტრებში ძველი ქართულის მცოდნე მრავალ-ათეულობით ადამიანი მოიძებნება, რომლებიც ზემოხსენებული საღმრთისმსახურო ტექსტების ჯეროვან გამართვას შეძლებდნენ. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა კი (ქალბატონ გვანცა კოპლატაძის თავმჯდომარეობით) თავისი მრავალრიცხოვანი არაკომპეტენტური გამოცე-

ყოვლად წმიდად სული შენი“ (გვ. 4; უნდა იყოს: „მიჰფინე რაჲ...“); „ვითარცა ცხებულ ყვენ მეფენი, ვითარცა წმიდა-ყვენ მღვდელთმთავარი“ (გვ. 17; ორივე შემთხვევაში უნდა იყოს „ჰყვენ“); „კეთილშეზავებისათვის ჰაერთასა“ (გვ. 18; უნდა იყოს: „კეთილშეზავებისათჳს ჰაერთაჲსა“); „სიტყუა-გიც მიცემად ღმერთსა ჩუენსა და მწყემსთმთავარსა იესუ ქრისტესა“ (გვ. 24; უნდა იყოს: „სიტყუა-გიც მიცემად ღმრთისა ჩუენისა და მწყემსთმთავრისა იესუ ქრისტესა“); „ლოცვანი წარიკითხვიან“ (გვ. 25; უნდა იყოს: „წარიკითხვიან“); „ცხნად მისსა“ (გვ. 27; „ცხნად მისა“); „ოდეს დასდგოდის კელი სნეულთა ზედა, იქმნებოდის ნიშები და სასწაულები“ (გვ. 29; უნდა იყოს: „დასდგის“); „სჯულდებულ-ყავ“ (გვ. 17; უნდა იყოს: „სჯულდებულ ჰყავ“; სწორედ ასე ეწერა 1917 წლის გამოცემაში, ახალ გამოცემელთ კი, მათი აზრით, „შეუსწორებით“, ნამდვილად კი ეს დამახინჯება და არა შესწორება).

ძალზე დამახინჯებულია ასევე სახარება-სამოციქულოს საკითხავები (გვ. 27-28), სადაც, მაგალითად, ვკითხულობთ: „ვპოვოთ მადლი ჟამსა შეწყენარებისასა“ (უნდა იყოს: „ჟამსა შეწყენისასა“ – ებრ. 4,16), „არა თავით თჳსით იდიდა“ (უნდა იყოს: „არა თავი თჳსი ადიდა“ – ებრ. 5,5); „სახედ ეღვა“ (უნდა იყოს: „სახელ-ეღვა“ – ებრ. 5,10) და ა. შ. სიტყვის გაგრძელება აღარ ღირს; ვფიქრობ, ნათელია, რამდენად „სრულყოფილი“ ფორმა მიუცია ქალბატონ გვანცა კოპლატაძეს მღვდელთმთავრის კურთხევის წესისათვის.

24 ქართული საღმრთისმეტყველო ლიტერატურის უდიდესი ნაწილი ძველ-ქართულადაა, და ამ ენის უცოდინარი კაცი, რა თქმა უნდა, ვერც ღმრთისმეტყველებაში იქნება კომპეტენტური.

მებით (ეპისკოპოსისა და კათალიკოსის კურთხევის წესების 1997 წლის გამოცემა ერთ-ერთი მათგანია) გვიჩვენებს, რომ სერიოზული სამეცნიერო-საღმრთისმეტყველო ძიება მათი ინტერესის საგანი არაა (ანდა, მათ შესაძლებლობებს სცილდება). ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ თავიანთ არაკომპეტენტურობას ისინი საქართველოს ეკლესიას მიაწერენ.

15. ღმრთისათვის, რაა არს ღმერთი და რა მათთვის [ითქუმის] ღმერთი და რაოდენსახედ [ითქუმის] ღმერთი A 67, 55r-56r (A); S 269, 58r-59v (B); S 292, 2-4 (C). ესაა ამონარიდი კლიმენტი რომაელის სახელით „დოგმატიკონში“ შეტანილი თხზულებიდან, რომლის სათაურია: „საზღუარნი თითოსახენი მოცემისაებრ და სარწმუნოებისა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა, თქუძულნი გამოკრებულნი კლემენტოსისგან და ღირსთა მამათა, რომელთა სათანადო არს პირველ სხვსა ყოვლისა სასწავლელისა გახეპირება მათგან, რომელთა ენებოს ნებითა ღმრთისადათა კეთილადმსახურებისა სიტყვსა წინამძღუარ-ყოფა“ (A 269, 2r-13v; S 292, გვ. 1-55; S 2397, 83-90).²⁵ აქ განმარტებულია (შინაარსობრივად და ეტიმოლოგიურად) ოცამდე თეოლოგიური „საზღუარი“ (ἄρθρον) ანუ განსაზღვრება (ცნება, კონცეპტი, გამოხატული გარკვეული ტერმინით); ნაჩვენებია, თუ რატომ გამოითქმის ესა თუ ის ცნება ამა თუ იმ განსაზღვრული ტერმინით; რა და რა სახით (ან მნიშვნელობით) იხსენიება ეს ტერმინები საღმრთო წერილში.²⁶

A 67 და S 269 ხელნაწერ კრებულებებში ჩაურთავთ კლემენტოსის სახელით ცნობილი თხზულების ის მონაკვეთი, სადაც განმარტებულია „საზღვარნი“ – „ღმერთი“, „მამაა“, „ძე“ და „სული წმიდაა“. ეს მცირე ექსცერპტი ხსენებულ ხელნაწერებში ჩართულია სხვა დოგმატურ განსაზღვრებათა (კერძოდ, გრიგოლ

25 კ. კეკელიძე, უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში, 92.

26 განმარტებულია შემდეგი „საზღვარნი“: საზღუარი, ღმერთი, მამაა, ძე, სული წმიდაა, თუთებაა, ბუნებაა, გუამი, ნებაა, მოქმედებაა, შეერთებაა, თანაარსი, სული, გონებაა, გრძნობაა, ხრწნილებაა, უხრწნელი, სარწმუნოებაა, სიტყუაა.

საკვირველთმოქმედისა და მიქაელ სვინკელის სიმბოლოებს) შორის. მაშასადამე, A 67 და S 269 ხელნაწერთა შემდგენელ-რედაქტორთ ეს ამონარიდი მოკლე დოგმატურ განსაზღვრებათა (სიმბოლოთა) ტიპობრივად მონათესავე ტექსტად მიუჩნევიათ. ამიტომ არც ჩვენ დავაცილებთ ისინი ერთმანეთს, და აქვე ვურთავთ კლემენტოსის თხზულების მონაკვეთსაც.

16. დაბოლოს, „მრწამსის“ ტექსტებთან დასართავად მოზანშეწონილად მივიჩნიეთ წმ. ამბროსი მედიოლანელის „მრწამსის თარგმანიც“, იოანე დამასკელის სახელით ცნობილი კომპილაციიდან – „გამოკრებანი წამებათანი“ (S 1463, 75r).

ძველ ქართულ მწერლობაში ცნობილია მცირე ფორმის სხვა დოგმატური განსაზღვრებებიც, რომელთაგან ზოგიერთი დანიშნულებით განსხვავდება ზემოხსენებულ განსაზღვრებათაგან,²⁷ სხვები კი დოგმატურად განსხვავებულ გარემოშია შექმნილი,²⁸ რის გამოც აქ ჩამოთვლილ განსაზღვრებებთან მათი გაერთიანება ლოგიკური არ იქნებოდა. ამიტომაც მათ შესწავლას სხვაგან დავუბრუნდებით.

27 ასეთია, მაგალითად, „სარწმუნოებად, შემოკლებით აღწერილი ტფილელ მიტროპოლიტისა ნიკოლოზისა (ორბელიშვილის) მიერ“ (S 67, XVIII ს., გვ. 559-574). ესაა მცირე კატეხიზმო, კითხვა-მიგების ფორმით. ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოსს (XVIII ს.) უსწავლელ მთიელთა დასამოძღვრად ნიკეა-კონსტანტინეპოლის მრწამსის შემოკლებული და გამარტივებული (ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებული) ვარიანტი შეუქმნა (იხ.: დეკანოზი მიქაელ ჭაბაშვილი, ამბროსი ნეკრესელის „შემოკლებით მრწამსი“; ლიტერატურული ძიებანი № 22, 2002 წ., გვ. 128-130; მისივე: სარწმუნოების დაცემის ასახვა ამბროსი ნეკრესელის ჰომილიებში: ლიტერატურული ძიებანი №24, 2003 წ., გვ. 188-191) და ა. შ.

28 ასეთებია: სულხან-საბა ორბელიანის „საქრისტიანო მოძღვრება, პირველად სასწავლო ყრმათათჳს, რომელსა ეწოდება სამოთხის კარი“ (გამოცემულია: სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. III, გამოსაცემად მოამზადა ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1963, 227-334); „აღსარება მართლმადიდებელთა სარწმუნოებისა“, თორმეტმუხლელი (შეტანილია დავით თუმანიშვილის კრებულში – H 392, 4r-v); „აღსარება სარწმუნოებისა პრუსიის კოროლის მიერ, რომელიცა მოხდა რეგენსბურგსა შინა: მე არა მრწამს იგი, რასაცა ბრძანებს პაპი...“ (S 303, გვ. 133-137) და სხვ.

**აღსარება¹ და უწყება² და სასწაული
მართლისა სარწმუნოებისა³
და წმიდათა კრებათათჳს,
რომელთა დაამტკიცეს მართალი სარწმუნოება⁴,
რომელი-ესე ჯერ-არს ყოველთა ქრისტიანეთათჳს,
რამთა კეთილად და გამოწულილვით მეცნიერ იყვნენ***

მრწამს ერთი ღმერთი, მამად ყოვლისა-მპყრობელი, შემოქმედი კათა⁵ და ქუეყანისაჲ, ხილულთა ყოველთა და არახილულთაჲ.

და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა; ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნული, თანაარსი მამისაჲ, რომლისაგან ყოველი შეიქმნა,

რომელი ჩუენთჳს, კაცთათჳს, და ჩუენისა ცხორებისათჳს გარდამოკდა ზეცით და კორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისგან ქალწულისა, და განკაცნა, და ჯუარს-ეცუა ჩუენთჳს პონტიელისა პილატეს ზე, და ივნო, და დაეფლა, და აღდგა მესამესა დღესა, მსგავსად წერილისა, და ამალდა ზეცად, [და] მჯდომარე არს მარჯუენით მამისა, და კუალად მომავალ არს დიდებით, განშჯად ცხოველთა და მკუდართა, და სუფევისა მისისა არა არს დასასრულ.

და სული წმიდაჲ, უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იციებების და იდიდების, რომელი იტყოდა (230r) წინაჲსწარმეტყუელთა მიერ,

და ერთი, წმიდაჲ, კათოლიკე და სამოციქულოჲ ეკლესიაჲ,

* AF ხელნაწერებში სათაურის შემდეგ ერთვის ანდერძი: „იესუ ქრისტე, ადიდე სული წმიდისა მამისა გ ი ო რ გ ი ს ი, რომელმან თარგმანა წმიდაჲ ესე წიგნი. საუკუნომცა არს საკსენებელი მისი (229vA).“

1 აღსარება C. 2 უწყება C. 3 სარწმუნოებისა C. 4 სარწმუნოება C. 5 კათაჲ A.

აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატეკებელად ცოდვათა, მოველი აღდგომასა მკუდრეთით და ცხორებასა მერმისა [მის]¹ [სა]უკუნოდასა,² ამინ.

წმიდისა ფოტი პატრიარქისა აღწერილი*

ესრეთ აღვიარებ და მრწამს³ კათოლიკე და სამოციქულო⁴ ეკლესიასა⁵ შინა დაფუძნებული და ქადაგებული სარწმუნოებად. შევიწყნარებ წმიდათა და სოფლითა⁶ შჯდთა კრებათა და ყოველსა მათ მიერ ქადაგებულსა, ჭეშმარიტად ღირსსა [შეწყნარებ]ისასა.⁷ შევაჩუნებ, რომელნი შეაჩუნენეს, და შევიტკობ და ვადიდებ, რომელნი ადიდნეს.

ვითხოვ და ვადიდებ⁸ მაცხოვარსა სოფლისასა,⁹ მეოხებითა უფრომადიდებულისა დედუფლისა¹⁰ ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამ[ისითა], და ყოველთა წმიდათადასა,¹¹ რომელნი საუკუნითგან [სათნო-ეყვნეს ღმერთსა].

თაყუანის-ვსცემ წადიერებით¹² წმიდათა¹³ ნაწილთა მათთა, ხოლო წმიდათა და პატიოსანთა ხატთა ქრისტესთა¹⁴ და წმიდათა მისთასა, წამალთაგან¹⁵ გინათუ სხუათა ნივთთაგან შემზადებულთა, პატივ-ვსცემ, ვადიდებ, თაყუანის-ვსცემ¹⁶ პირმშოთა მათ სახეთა დიდებულებისა შემსგავსებულად.

ხოლო რომელნი¹⁶ ამათ ზემოთქუმულთაგანსა რასმე¹⁷ გარდააქცევდენ და არა შეიწყნარებდენ, შევაჩუნებ და გარე-

* აქედან იწყება ტექსტი CD-ში, სათაურით: „წმიდისა (წმიდა C) ფოტი პატრიარქისა (პატრიარქის C, მპატრიარქის D) აღწერილი (+ მართლისა სარწმუნოებისა აღსაარებად და წარმოთქმად D)“.

1 მის – A. 2 საუკუნესასა F. 3 მრწამს და აღვიარებ ACDF (გადანაცვლების საჭიროება გამოიწვია ამის მომდევნო სიტყვებმა: „კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიასა შინა დაფუძნებული და ქადაგებული სარწმუნოებად“; რომელსაც ეწყობა „მრწამს“, და არა „აღვიარებ“). 4 სამოციქულოსა C. 5 ეკლესიასა C. 6 ~ მსოფლიოთა და წმიდათა C. 7 შეწყნარებისასა] ქადაგებისა D,] შეჩუნებისასა C. 8 ვადიდებ] ვევედრები D. 9 მაცხოვართა სოფლისათა AC. სოფლისათა D. 10 დედოფლისა C. 11 წთასა CD. 12 წადიერებით] სარწმუნოებით D. 13 წმიდათა – D. 14 ქსსა D. 15 წამალთაგან] მადლთაგან D. 16 ვადიდებ, თაყუანის-ვსცემ – C. 16 რომელნიმე D. 17 რადსამე CD.

მივაქცევ, მოძღურებისაებრ¹ ნეტარისა პავლესსა,² რომელი-იგი გამოუთქუმელთა საიდუმლოთა გამომთქუმელ (230v) და ქადაგ და მასწავლელ იწოდა, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: უკუეთუ ვინმე სხუასა რასმე³ გახარებდეს გარეშე მისსა, რომელი მიიღეთ, შეჩუენებულ იყავნ. (1)

ესე არს აღსარებაჲ სარწმუნოებისა ჩემისაჲ, და ამის მიმართ არს სასოებაჲ ჩემი, და ამას შინა აღვიარებ და ვილოცავ აღსრულებად საწუთროჲსა ცხორებისა ამის ჩემისა, და ამისითა მტკიცედ შეკრძალვითა სასოებაჲ მაქუს წარდგომად წინაშე საყდართა ქრისტესთა და კსნად მერმისა მის საშინელისა საშუელისაგან ქრისტე⁴ იესუმს მიერ,⁵ მოწყალისა და კაცთმოყუარისა ღმრთისა ჩუენისა,⁶ რომლისაჲ არს დიდებაჲ თანადაუსაბამოთ⁷ მამით და თანადაუსაბამოთ და ცხოველსმყოფელით და თანაარსით სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუენითი-უკუენისამდე, ამენ.*

კითხვაჲ: ღმრთისმეტყუელებასა⁸ შინა რაოდენთა ბუნებათა აღიარებ?

მიგებაჲ: ერთსა.

კითხვაჲ: რომელსა?

მიგებაჲ: ღმრთეებისასა.

კითხვაჲ: რაჲ არს ღმერთი?

მიგებაჲ: არსებაჲ უმიზეზოჲ, მიზეზი ყოვლად||ძლიერი,** ყოვლისა მიზეზისა და ბუნებისა უზეშთაესი არსებითა.

კითხვაჲ: რაჲ არს არსებაჲ?

მიგებაჲ: საქმე თვთ-არსი, რომელსა სხუაჲ არავინ ეკმარებინ თავისა თვისისა შემზადებად.

* აქ D-ში ჩაერთვის ქვესათაური: „ღმრთისმეტყუელებისათჳს და განგებულებისა კითხვა-მიგებაჲ და შემდგომითი-შემდგომად კითხვა-მიგებათაჲვე“.

** აქ იწყება B ხელნაწერის ტექსტი (49r). წინა ფურცელი დაკარგულია.
1 მოძღურებისა D. 2 პავლესა C. 3 ~ სხუასა რასმე ვინმე D. 4 ქს D. 5 მიერ + ოჲ ჩწისა D. 6 ჩუენისა – D. 7 თანა AC, თანადაუსაბამოთ D. 8 ღმრთისმეტყუელებათა C.

(1) გალატ. 1,8.

კითხვა: რად არს კათოლიკე საქმე და ზოგადი შემაერთებელი გუამოვნებათა¹ მათ?²

მიგება: სიტყვსაებრ წმიდათა (231r) მამათაჲსა, რადთა იყოს არსება და ბუნება ერთ ერთისაჲ მის და მისვე საქმისაჲ.

კითხვა: ღმრთისმეტყველებასა შინა რაოდენთა გუამთა აღიარებ?

მიგება: სამთა: მამასა და ძესა და სულსა წმიდასა.

კითხვა: რად არს გუამი?

მიგება: არსებაჲ თვსებითი³ რომელთამე⁴ მისთანათა, მათგან განყოფილი რიცხვთა.⁵

კითხვა: რად არს თვსი სამთა ამათ გუამოვნებათა?

მიგება: ღმრთეებაჲ, მეუფებაჲ.

კითხვა: განკაცებასა შინა⁶ რაოდენთა ბუნებათა აღიარებ?⁷

მიგება: ორთა.

კითხვა: რომელთა?

მიგება: ღმრთეებასა და კაცებასა, რამეთუ არს იგივე⁸ ქრისტე, — ღმერთი სრული და კაცი სრული.

კითხვა: საქმეთა ბუნებითთა რაოდენთა აღიარებ?

მიგება: ორთა: ერთსა ღმრთეებისასა და ერთსა კაცებისასა.

კითხვა: ნებათა⁹ ბუნებითთა რაოდენთა აღიარებ?¹⁰

მიგება: ორთა: ერთსა — ღმრთეებისასა, და ერთსა — კაცებისასა.

კითხვა: განგებულებასა შინა რაოდენთა გუამთა აღიარებ?

მიგება: ერთსა, რამეთუ არს იგივე ქრისტე ერთი პირი და ერთი გუამი.

კითხვა: რომლითა ჯერითა ეზიარების ქრისტე ღმერთსა და მამასა თვსსა, და რომლითა — ჩუენ, კაცთა?

მიგება: ბუნებითა ღმრთეებისა თვსისაჲთა, რამეთუ ღმერ-

1 გუამოვნებათა BD. 2 მათ — BD. 3 თვსებითა BCD. 4 რწლითამე BD. 5 რიცხვთა BD. 6 შინა — B, განკაცებასა შინა] შწნ კწცხსა D. 7 ~ აღიარებ ბუნებათა BD. 8 იგივე — C. 9 ქებათა D. 10 აღიარებ — BD.

თი არს სრული, ეზიარების ღმერთსა; და მეზიარების ჩუენცა, კაცთა, რამეთუ არს კაცი სრული.

კითხვა: კრებათა მსოფლიოთა რაოდენთა აღიარებ?

მიგება: შუღთა.

კითხვა: რომელთა?*

მიგება: პირველსა ნიკეას,¹ კოსტანტინეპოლის (v) პირველსა, ეფესოს პირველსა, ქალკიდონს, კოსტანტინეპოლის² მეორესა, და კუალად მუნვე შესამესა, და მისა³ შემდგომად – კუალად ნიკეას⁴ მეორესა.

კითხვა: ნიკიისა კრებაჲ პირველი რაოდენისა⁵ წლისა შემდგომად იქმნა⁶ ქრისტეს განკაცებითგან, გინა რომლისა მეფისა ზე, გინა რომლისა პატრიაქისა, ანუ თუ რაოდენნი⁷ იყვნეს წმიდანი მამანი?

მიგება: ქრისტეს განკაცებისა სამას ათრვამეტისა⁸ წლისა შემდგომად კოსტანტინე დიდისა ზე⁹ და სილიბისტროს ჰრომთა პაპისა და მიტროფანე კოსტანტინეპოლელისა,¹⁰ რამეთუ წუთლა ცოცხალ¹¹ იყო და ალექსანდრე დაედგინა თუსა ნაცვალად, მაკარი¹² იზრუსალემელისა¹³ და ალექსანდრე ალექსანდრიელისა და ევსტათი ანტიოქელისა, მეოცესა წელსა დიდისა კოსტანტინეს მეფობისასა, შეკრბეს სამას ათრვამეტნი წმიდანი მამანი.¹⁴

კითხვა: და ვისთუს შეკრბეს?

მიგება: არიოზისთუს ბორგნეულისა, რომელი იყო მღვდელი ალექსანდრიელთა¹⁵ ეკლესიისაჲ, და მისთა მათ ურჩულოთა წვალე-ბათათუს, რომლითა ჰგმობდა უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, ჭეშმარიტსა ღმერთსა, რამეთუ დაბადებულად იტყოდა მას მგ-

* აქ D-ში წყდება ტექსტი (48v) და შემდეგ გვერდზე (49r) სხვა ხელით გრძელდება. გამეორებულია ბოლო კითხვა-მიგება („კრებათა მსოფლიოთა რაოდენთა აღიარებ? **მიგება:** შუღთა. **კითხვა:** რომელთა?“).

1 ნიკიას B, ნიკიას D. 2 კოსტანტიპოლის B. 3 მისსა BCD. 4 ნიკიას BD. 5 რავდენისა B. 6 იქმნას BD. 7 რავდენნი BD. 8 ათურამეტისა BD. 9 კოსტანტინე დიდისა ზე – B. 10 კოსტანტიპოლელისა B. 11 ცოცხალი B. 12 თუსა ნაცვალად მაკარი] თუთ მკუდრი B. 13 იწლმისა B. 14 ~ მამანი წმიდანი B. 15 ალექსანდრელთა B.

ძმ²⁵ თუთუამოვანი,²⁶ თანაარსი²⁷ და თანადაუსაბამო²⁸ და თანამფლობელი მამისა²⁹, და შობითა ოდენ განყოფილი მამისაგან და სულისა წმიდისა.

სული წმიდა³⁰ თუთუამოვანი,³¹ მამისა³² და ძისა თანაარსი და თანადაუსაბამო³³ და თანამფლობელი,³⁴ რომელსა-იგი³⁵ აქუს

1 მიხაილ D. 2 იშლისა A, იშლმელისა BC, იერუსალიმელისა D, იშლმლისა E, ისრუსალემელისა J. 3 წარმოთქუმა D, წარმოთქუმა + ქრისტე, შემწე მეყავ, ან C. წარმოთქუმა + და აღსარება E. 4 მამა D. 5 ძმ C. 6 წმიდა D. 7 სახელთათა D. 8 და – D. 9 გუამოვანითა B, გუამოვანთა A, გუამოვანითა D, გუამოვანთა E, გუამოვანითა HJ. 10 თუთებითა BEH, თუთებათა A. 11 ლთებითა C. 12 შეურწყმელად] შეურყვნელად D. 13 მამა D. 14 თუთუამოვანი A, თუთუამოვან B, თუთუამოვანი CDEHJ. 15 დადგრომილი AH, დადგრომილი BDE. 16 დაუსაბამო D. 17 ყოველთა D. 18 მამობისათა DE. 19 იშვა D. 20 წმიდა D. 21 უკორცოდ B. 22 ოდეს D. 23 მამადაცა A. 24 წმიდა D. 25 ძმ B, ძე ACEHJ. 26 თუთუამოვანი A, თუთუამოვანი BCDEHJ. 27 თანაარსი – D. 28 თანადაუსაბამო D. 29 მამისა AEH, მამისა B. 30 წმიდა D. 31 თუთუამოვანი A, თუთუამოვანი BDEHJ. 32 მამისა E. 33 თანადაუსაბამო D. 34 თანამფლობელი H. 35 რომელსა A, რომელსა-იგი E. HJ.

ყოველივე,¹ რადაცა აქუს მამასა და ძესა, თუნიერ უშობელობისა და შობილობისა,² რამეთუ განყოფილ ყოვლადვე არარაათა არს³ (v) მათგან, თუნიერ გამოძავალობისა.⁴

ხოლო განუყოფელ არიან სამნივე⁵ ღმრთეებითა⁶ და ყოვლი-თავე საქმითა საღმრთოდას⁷ მის⁸ ბუნებისადათა, და თუხება⁹ თითოეულისა¹⁰ არს: მამისა¹¹ – მამობადა, და ძისა¹² – ძეობადა, და წმიდისა სულისა¹³ – გამოსლვადა.

რამეთუ არცა მამა¹⁴ ძედ გინა სულად შეიცვალეების,¹⁵ არცა ძე – მამად ანუ¹⁶ სულად, არცა სული წმიდა¹⁷ – ძედ გინა მამად, რამეთუ თუთებანი შეუცვალეებელ არიან.

ღმრთად აღვიარებ¹⁸ ჭეშმარიტად თითოეულსა¹⁹ სამთაგანსა, რამეთუ სრული²⁰ ღმერთი არს მამა²¹, და სრული ღმერთი არს ძე,²² და სრული²³ ღმერთი არს სული წმიდა²⁴, გარნა არათუ სამნი ღმერთნი, რამეთუ ერთ²⁵ არს²⁶ ღმერთი, და ერთი ღმრთე-ბა²⁷ სამთა პირთა და გუამთა შინა²⁸ თანაარსთა, რომელნი არცა ბუნებითა განიყოფვიან, არცა ადგილითა.

რამეთუ სადაცა მამა²⁹ არს, მუნცა ძე არს³⁰ და სული წმიდა³¹, და სადაცა ძე არს,³² მუნცა მამა³³ და³⁴ სული წმი-და³⁵, და³⁵ სადაცა სული წმიდა³⁶ არს, მუნცა მამა³⁷ და ძე. და³⁸ რაათა მოკლედ ვთქუა, სამებასა თაყუანის-ვსცემ ერთარსე-ბით, და ერთარსებასა – სამებით.

1 ყოველი J. 2 შობილებისა J. 3 არს – EH. 4 გამოძავალობისა AB, გამოძავალობისა DEJ, გამოძავალობი H. 5 სამნივე – DJ. 6 ღმრთებითა C. 7 საღმრთოდას D. 8 მის (BDEHJ) – A. 9 თუხება EHI, თვითება D. 10 თუთოეულისა A, თითოეულისა BDEH, თითოეულისა C, თუთოეულისა J. 11 მამისა AHJ. მამისა BE. 12 ძისა AEHJ, ძისა B. 13 ~ სულისა წმიდისა AEHJ. 14 მამა D. 15 შედგვალეების E. 16 გინა EH. 17 წმიდა D. 18 აღვიარებ D. 19 თუთოეულსა A, თითოეულსა BCDEHJ. 20 სრული] სწორი E. 21 მამა D. 22 ძე J. 23 სრული B. 24 წმიდა D. 25 ერთი CJ. 26 ერთი B, ერთ არს] ერთი E. 27 ღმრთე C, ღმრთე D + და D. 28 ~ პირთა შინა და გუამთა EDHJ. 29 მამა D. 30 არს – EH. 31 წმიდა D, წმიდა + არს E. 32 არს – E, არს და სული წმიდა, და სადაცა ძე არს – H. 33 ~ მუნ მამა E. და სადაცა ძე არს, მუნცა მამა და სული წმიდა – C. 34 და – E; 35 და – E. 36 წმიდა DE. 37 მამა D. 38 და – J.

ერთარსებასა სამგუამოვანსა,¹ და სამებასა ერთარსებასა, და ერთძლიერებასა,² სწორსა³ პატივითა და დაუსაბამოებითა.

ერთსა⁴ აღვიარებ⁴ წმიდისა სამებისა ღმრთეებასა,⁵ ერთსა ბუნებასა, ერთსა არსებასა, (242r) ერთსა ძალსა, ერთსა კელმწიფებასა, ერთსა უფლებასა,⁷ ერთსა მეუფებასა.

ესე მხოლოდ⁸ მრწამს დაუსაბამოდ, საუკუნოდ, დაუბადებლად, უხილავად, გარეშეუწერელად, მოუგონებლად, უცვალებლად,⁹ უქცევლად, უკუდავად, უვნებლად, ყოველთა დამბადებლად და¹⁰ მპყრობელად და განმგებლად ცისა¹¹ და ქუეყანისა და¹² ზღვსა და ყოველი რაჲ არს მას¹³ შინა, ხილული და უხილავი,¹⁴ არარაღსაგან¹⁵ არსად მომყვანებლად.¹⁶

მრწამს, ვითარმედ არა არს არსება¹⁷ რაჲმე უკეთურებისა და ცოდვისა,¹⁸ ანუ უფლება,¹⁹ ანუთუმცა²⁰ დაუსაბამო იყო იგი, ვითარცა მწვალებელნი იტყვან, ანუთუმცა თავით თვსით არსად²¹ მოსრულ იყო, ანუთუმცა²² ღმრთისა მიერ დაბადებულ იყო, არამედ ჩუენი საქმე არს და ეშმაკისა,²³ უკრძალველობისა ჩუენისაგან შემოსრული ჩუენ ზედა, და არა დამბადებელისაგან.²⁴

რამეთუ ხატად ღმრთისა დაიბადა²⁵ კაცი, ესე იგი არს²⁶ თვთმფლობელი და ნეფსით თვსით²⁷ გამომრჩეველი გინათუ კეთილისა,²⁸ გინათუ ბოროტისა,²⁹ და თავით თვსით მიმავალი,³⁰ ვიდრეცა³¹ ენებოს.

ხოლო შურითა ეშმაკისაათა³² სცთა და გარდაჰკდა³³ ნეფსით³⁴ მიცემულსა მას მისდა მცნებასა.³⁵ და ამისთვის სანატრე-

1 სამგუამოვანსა A, სამგუამოვანსა BCDEJ. 2 ერთძლიერებასა C. 3 სწორ EH. 4 ერთსა] ესრეთ H. 5 აღვიარებთ J. 6 ღთაებისასა D. 7 ერთსა უფლებასა – B. 8 მხოლოდ E. 9 უცვალებლად – EH. 10 და – J. 11 ცათა DJ. 12 და (BDEHJ) – A. 13 მათ ACE, მას BHJ. 14 ხილულისა და უხილავისა EH. 15 არარსისაგან D. 16 მოყვანებლად EH. 17 არსება D. 18 ცოდვისა D. 19 უფლება D, ოლებად C. 20 ანუთუმცა + დამცა H. 21 არსად E, არასად H. 22 ანუცა A, ანუთუმცა BDJ. 23 ეშმაკისა + და J. 24 დაზღბლისგან E. 25 დადაბადა E, დაებადა J. 26 არ B. 27 თვსით – AEH, ნეფსით თვსით] ნებისა თვსისა DJ. 28 კეთილისა E. 29 ბოროტისა E. 30 მიმავალი + გამომრჩეველი EH. 31 ვიდრეცა (EHJ)] ვინადაცა A. 32 ეშმაკისათა DE. 33 გარდაჰკდა DE. 34 ნებსით DEJ, ნეფსით ABC. 35 ~ მცნებასა მას მისდა მიცემულსა D.

ლისა მისგან დიდებისა და¹ სამოთხესა შინა ყოფისაგან განიდევნა და სიკუდილსა და ხრწნილებასა შინა შთავარდა და მონა განდგომილისა მის იქმნა. (242v)

გარნა არა უგულუბელს-ყო იგი² ყოველთა დამბადებელმან³ ღმრთისა სიტყუამან ესევეითარსა მძლავრებასა შინა, არამედ სიმრავლითა მით კაცთმოყუარებისადათ⁴ სათნო-იყო⁵ ნებითა⁶ მამისა და სულისა წმიდისადათ⁷ თვისისა დაბადებულისა⁸ გამოქსნადა.

და მისთვის⁹ წიაღთაგან მამულთა, რომელთა-იგი არასადა განეშორა, გარდამოკდა და წმიდაა საშოა ქალწულისა მარიამისი ვითარცა საღმრთომან¹⁰ ცუარმან დაიმკვდრა,¹¹ და კორცნი სულიერნი სულითა სიტყვერითა და¹² გონიერითა, არა პირველ ქმნილნი,¹³ შეიმოსნა,¹⁴ და¹⁵ გამოვიდა ღმერთი განკორციელებული, შობილი¹⁶ გამოუთქუმელად,

და ქალწულებად მშობელისა¹⁷ დაიცვა¹⁸ განუხრწნელად; არცა შერევნადა თავს-იდვა, არცა შერწყუმადა,¹⁹ არცა შეცვალეზადა,²⁰ არამედ ეგო, რა-იგი იყო, და იქმნა, რა-იგი არა იყო.

და მოილო²¹ მონისა ხატი ჭეშმარიტებით, და არა უცნებით,²² და ყოვლითურთ, თუნერ ცოდვისა, გუემსგავსა ჩუენ.²³

რამეთუ იგივე მრწამს დაუსაბამოდცა და ჟამიერადცა; დაბადებულად და დაუბადებულად; ვნებულად და²⁴ უვნებულად; მოკუდავად და უკუდავად; ღმრთად და კაცად.

ართუ სხუასა აღვიარებ²⁵ ღმრთად და სხუასა კაცად, არამედ

1 და (BDJ) – AEH. 2 იგი – E. 3 დამბადებელმან + ღმერთმან EH. 4 კაცთმოყუარებისათა EH. 5 სათნო-იჩინა DH, სათნო-მჩინა E. 6 ბწნითა EH. 7 წმიდისათა E. 8 დაბადებისა E. 9 მისთვის ABC, ამისთვის DEJ. 10 სწლთამნ E. 11 დაიმკვდრა E. 12 და – E. 13 ქმნილნი DJ. 14 შეიმოსნა E. 15 და მისთვის წიაღთაგან მამულთა, რომელთა-იგი არასადა განეშორა, გარდამოკდა და წმიდაა საშოა ქალწულისა მარიამისი ვითარცა საღმრთომან ცუარმან დაიმკვდრა, და კორცნი სულიერნი სულითა სიტყვერითა და გონიერითა, არა პირველ ქმნილნი, შეიმოსნა და – H. 16 შობითა A, შობილი BCDEHJ. 17 მშობლისადა C, მშობელისა ED. 18 დაიცვა D, დაიცვდა E. 19 შერწყმა B, შერწყვა C, შერწყმა DE. 20 შეცვალეზა D. 21 მოილო B, მიილო AEHJ. 22 უცნებით ABC, ოცნებით DEH. 23 ლ გუემსგავსა ჩუენ თუნერ ცოდვისა DEH. 24 ვნებულად და – H. 25 აღვიარებ J.

ერთსა და თვთ მასვე ვიტყვ პირველ განკორციელებისა და შემდგომად განკორციელებისა.¹

ერთსა შეერთებულსა გუამსა აღვიარებ² ორითა ბუნებითა სრულითა და ორთა მათ³ ბუნებათა წესითა, და ორთა ბუნებათა ნებითა და საქმითა, ურთიერთას⁴ გუამითა შეერ(243r)თებულთა უცვალებელად და შეურევნელად ვიცნობ⁵ მას.⁶

მასვე ნეფსით⁷ თვსით ენება და იქმოდა საღმრთოთა საქმეთა ვითარცა ღმერთი, და მასვე ნეფსით თვსით ენება⁸ და იქმოდა⁹ კაცებისა საქმეთა ვითარცა კაცი.

რამეთუ არათუ¹⁰ იძულებით დამორჩილებულ იყო ბუნებითა¹¹ ჭირთა, არამედ ნეფსით¹² მოემშია [და¹³ ნეფსით მოეწყურა,¹⁴ ნეფსით დაშურა, ნეფსით¹⁵ შეშინდა]¹⁶ და¹⁷ ნეფსით¹⁸ მოკუდა, ჭეშმარიტად და არა უცნებით¹⁹ ყოველნივე ბუნებითნი და უცოდველნი ვნებანი კაცებისანი²⁰ თავს-ისხნა: ჯუარს-ეცუა და გემოჲ სიკუდილისაჲ²¹ იხილა უცოდველმან მან,²² ბუნებითა კაცობრივითა, ხოლო ღმრთეებაჲ ეგო უვნებელად და უკუდავად.

დაეფლა სამარესა, ხოლო კორცთა მისთა არა იხილეს ზრწნილებაჲ, არამედ აღდგა მესამესა დღესა²³ და კაცობრივი ბუნებაჲ უზრწნელ და უკუდავ ყო. და ესრეთ აღადგინა თავისა თვისისა თანა და ზეცად²⁴ აღიყვანა და დაჯდა მარჯუენით მამისა, ვინაჲ-იგი²⁵ არასადა განემორა.

ხოლო მომავალ არს კუალად დიდებით²⁶ განკითხვად²⁷ ცხოველთა და მკუდართა, ვითარ-იგი ამაღლდა თვსითა მით კორ-

1 განკორციელებისა ACEHJ, განკორციელებისა B. 2 აღვარებ J. 3 მათ – H. 4 ურთიერთარს ADEHJ. 5 ვიცნობთ AEHJ, ვიცნობ B. 6 მას – DEH. 7 ნებსით DJ. 8 ინება A. 9 იქმოდა + და C. საღმრთოთა საქმეთა ვითარცა ღმერთი, და მასვე ნეფსით თვსით ენება და იქმოდა – B. 10 არა EH. 11 ბუნებითა EH. 12 ნებსით DJ. 13 და – BC. 14 მოეწყურა C. 15 ნებსით DJ. 16 შეშინდა + და DH, და ნეფსით მოეწყურა; ნეფსით დაშურა, ნეფსით შეშინდა (DEHJ) – A. 17 და – ABC. 18 ნებსით DJ. 19 უცნებით ABC, ოცნებით DEH. 20 კაცებისანი] ნებსით EH. 21 ~ სიკუდილისა გემოჲ BCDEHJ. 22 მან – DEH. 23 დღესა B. 24 ზეცას ACEHJ, ზეცად B. 25 ვინა-იგი D. 26 დიდებითა E. 27 განკითხვად] განსჯად D.

ცითა, რადთა იხილვოს¹ მათ მიერ, რომელთა² უგუძირეს,³ და მიაგოს თითოეულსა⁴ საქმეთა მისთაებრ.⁵

რამეთუ⁶ აღდგენ მკუდარნი, ვითარცა მრწამს, და გამოვიდენ სამარეთაგან; და რომელთა ექმნენ⁷ კეთილნი საქმენი,⁸ მართლითა სარწმუნოებითა წარვიდენ ცხორებად⁹ საუკუნოდ, ხოლო რომელთა ექმნენ ბოროტნი საქმენი და მართალი სარწმუნობა¹⁰ შეურაცხ-ეყოს, – სატანჯველად საუკუნოდ. (243v)

ამას ყოველსა თანა აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა, წყლითა და სულითა,¹¹ განმწმედელსა¹² ბილწებათა¹³ სულისა და კორცთათა.¹⁴

მოვიდებ სარწმუნოებით უხრწნელთა მათ საიდუმლოთა,¹⁵ და მრწამს იგი¹⁶ ჭეშმარიტად კორცად და სისხლად ჩუენთჳს განკაცებულისა მის ღმრთისა სიტყჳსა, რომელმან მოსცა იგი¹⁷ მორწმუნეთა¹⁸ საჭმლად¹⁹ და სასუმლად,²⁰ მოსატევებელად ცოცხათა.

შევიწყნარებ ყოველთავე ეკლესიისა²¹ წესთა, წერილთა და უწერელთა, რომელნიცა მამათა დააწესნეს.

თაყუანის-ვსცემ და ამბორს-უყოფ პატიოსანსა ხატსა კაცობრივისა მის გუამისა²² ღმრთისა სიტყჳსასა,²³ რომელი-იგი იცხო ღმრთეებითა,²⁴ და იქმნა შეუცვალებელად, ვითარცა-იგი არს, რომლისაგან იცხო, და²⁵ სარწმუნოებით ვგონებ²⁶ თუ თავადსა მას ვხედავ, კორცითა გამოჩინებულსა ღმერთსა, და კაცთა თანა მოსრულსა, რომელმან ხილულითა მით კორცითა ჩუენი ცხობა²⁷ განაგო.

1 იხილვოს ACBDEH, იხილოს J. 2 რომელთა-იგი D. 3 უგუძირეს DJ. 4 თითოეულსა ABCDEJ, თუთოეულსა EH. 5 მათთაებრ DJ. 6 რამეთუ – D. 7 ექმნენ ABD, ექმნეს H, ექმნენ E. 8 ~ საქმენი კეთილნი EH. 9 ცხორებად D. 10 ~ სარწმუნობა მართალი BCDEHJ. 11 სულითა + წმიდითა D. 12 განმწმედელად EH. 13 ბილწებასა EH. 14 კორცთა AB, კორცთასა DEH. 15 საიდუმლოთა AE, ~ საიდუმლოთა მათ უხრწნელთა EH. 16 იგი – EH. 17 ~ იგი მოსცა EH. 18 მრწნთა C. 19 საჭმლად D. 20 სასუმლად D. 21 ეკლესიისა J. 22 გუამისა EH. 23 სიტყჳსა CBJ. 24 ღთებითა C. 25 და – H. 26 ვგონებ B, ვჳგონებ CDEHJ, ვჳმონებ A. 27 ცხობება DJ.

თაყუანის-ვსცემ ძელსა და ნიშნა¹ პატიოსნისა² ჯუარისასა, მას ზედა ღამოკიდებულისა უფლისათჳს,³ და ყოველსა სახესა⁴ წმიდისა მის ჯუარისასა, და პატიოსანთა მათ ტაძართა და ადგილთა და ჭურჭელთა, რომელთა ზედა აღესრულების უსისხლოდ იგი⁵ მსხუერპლი, და წმიდათა წიგნთა მისთჳს, რომელმან-იგი ცხოვრებად⁶ ჩუენდა კელითქმნულთა⁷ შინა⁸ დამკუდრებად ჯერ-იჩინა, და თჳსნი იგი წმიდანი სიტყუანი ნივთიერთა შინა დაწერად კაცთმოყუარებით⁹ სათნო-იყო. (244r)

თაყუანის-ვსცემ სარწმუნოებით და პატივით ხატსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა და ყოველსა პატიოსანსა ხატსა მონათა და¹⁰ სათნოთა ღმრთისათა და სიყუარულისათჳს მხოლოდსა მის ბუნებით თაყუანისსაცემელისა¹¹ ღმრთისა, სულისა თუაღთა ფრთოვან¹² ვჰყოფ პირმშოთა მათ სახეთა¹³ მიმართ და არა ნივთსა მას და ფერთა შინა დაუტეობ გონებასა დადგომად.¹⁴

თაყუანის-ვსცემ და პატივით¹⁵ ამბორს-უყოფ წმიდათა ნაწილებსა, რამეთუ აქუს მათ ღმრთისა მიერ მადლი განმწმედელი¹⁶ სარწმუნოებით მიმავალთა¹⁷ მათდა.

ესრეთ¹⁸ მრწამს, ესრეთ აღვიარებ,¹⁹ ამას ზედა ნათელ-მიღებიეს და ამას²⁰ ზედა მტკიცე ვარ. და ყოველთა მწვალებელთა და ყოველსა²¹ წვალებასა მათსა შევაჩუენებ და მძაგს და ვე-ვლტი.²²

და შევიწყნარებ²³ და მრწამანან²⁴ წმიდანი ექუსნი²⁵ კრებანი: პირველი²⁶ – ნ ი კ ე ა ს,²⁷ სამას ათრვამეტთა²⁸ წმიდათა მათათა;

1 ნიშნა J. 2 პატიოსნისა – J. 3 ღწისათჳს D. 4 ხესა E. 5 იგი – E. 6 ცხოვრებად DJ. 7 კელითქმნილთა E. 8 შინა – EH. 9 კაცთმოყუარებით H. 10 და – B. 11 თაყუანისცემლისა EH. 12 ფრთოვან C. 13 სახეთა + თა A. 14 დადგომად ABC, დადგრომად D] და სულსად H] და E. 15 პატივთ A. 16 განმწმედელად EH. 17 მომავალთა J. 18 სრეთ A (გამოტოვებულია თაკვი-ღური ე ასო). 19 აღვარებ J. 20 ამა C. 21 ყოველსავე E. 22 ველტი J. 23 შევიწყნარებ E. 24 მრწამანან J. 25 ექუსნი ABC] შუდნი DEHJ. ~ შუდნი წმიდანი J. 26 პირველად J. 27 ნიკეას A, ნიკეას BCDEHJ. 28 ათურამეტთა C (ეს სიტყვა C-ში გაცხოველებულია).

მეორე¹ – კოსტანტინეპოლეს,² ასერგასისთა³ წმიდათა მამათაჲ;

მესამე – ეფესოს პირველად, ორასთა წმიდათა მამათაჲ;

მეოთხე⁴ – ქალკედონს, ექუსას ოცდაათთა წმიდათა მამათაჲ;

მეხუთე – კოსტანტინეპოლეს,⁵ ას სამეოცდახუთთა⁶ წმიდათა მამათაჲ;⁷

მექუთსე – კუალად კოსტანტინეპოლესკე,⁸ ას სამეოცდაათთა წმიდათა მამათაჲ;

მეშუდე – ნიკეას⁹ ბითუნისასა¹⁰ სამას ოცდაათთა წმიდათა მამათაჲ;¹¹

შევიწყნარებ ყოველთა, რომელნი მადლითა ღმრთისაჲთა¹² ჟამითი-ჟამად და ადგილ-ადგილ დასამტკიცებელად მართლისა სარწმუნოებისა და სახარებისა ქადაგებისათჳს შეკრბეს წმიდანი კრებანი, რომელნიცა¹³ კათოლიკე ეკლესიამან¹⁴ შეიწყნარნა;¹⁵ და ყოველნი, რომელნიცა¹⁶ დიდთა მათ და საღმრთოთა კრებათა განკუეთნეს, განვჰკუეთ, და რომელნიცა¹⁷ შეაჩუენნეს, – შევაჩუენებ.¹⁸ და მე მართლისა სარწმუნოებისაგან შეურყეველ ვარ მადლითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა,¹⁹ რომელსა შუენის²⁰ დიდებაჲ,²¹ პატივი და თაყუანისცემაჲ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამინ.²²

1 მეორედ J. 2 კოსტანტინეპოლის A, კოსტანტინეპოლეს B, კოსტანტინეპოლესსა J. 3 ასორმოცთა EH. 4 მეოთხედ J. 5 კოსტანტინეპოლეს A, კოსტანტინეპოლეს B, კოსტანტინეპოლის EH, კოსტანტინეპოლისვე D, კოსტანტინეპოლესსა J. 6 ას სამეოცდაათთა J. 7 მამათა H. 8 კოსტანტინეპოლესვე D, კოსტანტინეპოლისვე D, კოსტანტინეპოლისვე EH. 9 ნიკეას A, ნიკეასვე D, ნიკეას EHI. 10 ბითუნისასა DE. 11 მეშუდე – ნიკეას ბითუნისასა სამას ოცდაათთა წმიდათა მამათაჲ – BC. 12 ღმრთისათა DE. 13 რომელნი EH. 14 ეკლესიამან D. 15 შეიწყნარნა E. 16 რომელნი EH. 17 რომელნი EH. 18 შეაჩუენნეს, შევაჩუენებ] შევიწყნარეს, შევიწყნარებ D. 19 წმიდისათა D, ~ და წმიდისა სულისათა EH. 20 ჰშუენის E, შუენის C. 21 დიდებაჲ – EH დიდება D. 22 ამინ + დიდებაჲ ყოველდღწმიდასა ღმრთისმშობელსა, მწდისა ქალწულსა მარიამს E.

**თქემული წმიდისა მამისა ჩუენისა
მაქსიმე აღმსარებელისა¹
სარწმუნოებისათჳს**

მრწამს ერთი ღმერთი, მამა² უშობელი, და ერთი ძმ³ და სიტყუა⁴ ღმრთისა⁵, მამისაგან შობილი, და ერთი სული წმიდა⁶, მამისაგან გამოძვალა, სამგუამოვნება⁷, განყოფილი⁸ რიცხვთა და თუთებითა მით გუამოვნებისა⁹, და განუყოფელი ღმრთეებითა¹⁰, რამეთუ განიყოფიან¹¹ განუყოფელად და შეიერთებინა შეურევნელად;

ამისთვისცა ვიტყვოთ სამგუამოვნებასა და ერთარსებასა და ერთსა ბუნებასა ღმრთეებისასა¹², რამეთუ ზოგადი არს სამთავე¹³ ღმრთეება¹⁴ და საღმრთოსა¹⁵ ბუნებისა სახენი, ხოლო თჳსი¹⁶ თითოეულისა¹⁷: მამისა¹⁸ – მამობა¹⁹ უშობელი, და ძისა²⁰ – ძეობა²¹ შობილი, და სულისა წმიდისა – გამოსლვა²², რამეთუ არცა მამა²³ შეიცვალე²⁴ ძედ ანუ სულად, არცა ძმ²⁵ – მამად ანუ სულად, არცა სული წმიდა²⁶ – მამად ანუ ძედ, რამეთუ თუთებანი შეუცვალე²⁶ არიან.

ღმრთად აღვიარებ²⁷ თითოეულსა²⁸, რამეთუ სრული ღმერთი არს მამა²⁹, სრული ღმერთი არს ძმ³⁰, სრული ღმერთი არს სული წმიდა³¹, არამედ არა სამნი ღმერთნი, რამეთუ ერთ არს

1 აღმსარებელისა AD. 2 მამა ABDF. 3 ძმ CE, ძე ABDF. 4 სიტყვა F. 5 ღმრთისა FG. 6 წმიდა F. 7 სამგუამოვნება DF. 8 განუყოფელი AEH (E-ში ჯერ დაუწერიათ „განყოფილი“, შემდეგ გადაუკეთებიათ). 9 გუამოვნებისათა BDFG. 10 ღთაებითა ADF, ღთებითა C, ღუთაებითა G; ო განუყოფელი ღმრთაებითა და განყოფილი რიცხვთა და თუთებითა მით გუამოვნებისათა H. 11 განიყოფიან ADFG. 12 ღთაებისსა ADF, ღთებისასა C, ღუთაებისასა G. 13 სამთავე BDGH. 14 ღუთაება A, ღთაება D, ღთება F, ღთება C, ღუთაება G, ღმრთაება H. 15 საღმრთოსა D. 16 თჳსი – A. 17 თუთეულისა A, თუთოეულისა F. 18 მამისა ABDFG. 19 მამობა B. 20 ძისა ABDEFGH. 21 ძეობა GH. 22 გამოსლვა GH. 23 მამა BGH. 24 შეიცვალე²⁴ D. 25 ძე ABDEFGH. 26 უცვალე²⁶ H. 27 აღვიარებ AD. 28 თუთოეულსა AFH. 29 მამა FH. 30 ძე ABDFGH. 31 წმიდა FH.

ღმერთი, და¹ ერთი² ღმრთიეება³ სამითა გუამითა თანაარსითა,⁴ არცა ბუნებითა განიყოფებიან,⁵ არცა ადგილითა,⁶ რამეთუ სადაცა არს მამაა,⁷ მუნცა ძმ⁸ და სული წმიდაა; და სადაცა ძე, მუნ მამადაცა⁹ და სული წმიდაა; და სადაცა¹⁰ სული წმიდაა, მუნ მამადაცა¹¹ და ძმ.¹²

სამებასა თაყუანის-ვსცემ¹³ ერთარსებით, და ერთარსებისა – სამებით; ერთარსებასა სამგუამოვანსა და სამებასა ერთარსებასა, თანა(378v)დაუსაბამოსა, სწორსა ძლიერებითა და პატივითა.

ერთსა ღმრთიეებასა¹⁴ აღვიარებ¹⁵ წმიდისა სამებისასა, ერთსა ბუნებასა, ერთსა არსებასა, ერთსა ძალსა, ერთსა კელმწიფებასა, ერთსა უფლებასა, ერთსა მეუფებასა,¹⁶ დაუსაბამოსა და¹⁷ დაუსრულებელსა, დაუბადებელსა, უხილავსა, გარეშემოუწერელსა,¹⁸ მოუგონებელსა, უსაზღვროსა,¹⁹ უცვალებელსა,²⁰ უკუდავსა, უვნებელსა, ყოველთა დამბადებელსა და მპყრობელსა და განმგებელსა; ცისა და ქუეყანისა და ზღვსა, და ყოველთა ხილულთა და უხილავთა, არარადასაგან არსად მომყვანებელსა,²¹ შემოქმედსა და დამბადებელსა, რომელმან დაჰბადნა²² პირველად ზეცისა ძალნი და²³ მკედრობანი ბევრეულნი აურაცხელნი²⁴ სიტყვითა²⁵ დაჰბადნა²⁶ და სულითა წმიდითა სრულ ყვნა.²⁷

მერმე თქუა: „და იქმნეს²⁸ ცაა და ქუეყანაა, ზღუაა და ყოველი, რაა²⁹ არს მათ³⁰ შინა“. უკუანასკნელ³¹ დაჰბადა კაცი ხატად თვსად და მსგავსებად, ესე იგი არს, თვთმფლობელად და³² თვსითა ნებითა მიმავალად და გამომრჩეველად გინათუ

1 და – H. 2 ერთი + არს D. 3 ლუთაება A, ლთება C, ლთაება D. 4 თანაარსი A. 5 განიყოფვიან GH. 6 ადგილით BE. 7 მამა B. 8 ძე ABDEFG. 9 მამაცა BG. 10 სადა AE; სადაცა ძე, მუნ მამადაცა და სული წმიდაა, და სადაცა – CD. 11 მამაცა D. 12 ძე ABDEFGH. 13 თაყუანის-ვსცემ + ერთღ თითი A. 14 ლთაებასა D, ლთებასა C, მლუთაებასა G, ღმრთაებასა H. 15 აღვარებ DH. 16 მწმწმსა B. 17 და – AG. 18 გარეშემოუწერელსა GH. 19 უსაზღვროსა A. 20 უცვალებელსა DGH. 21 მომყვანებელსა DGH. 22 დაბადნა G. 23 და – A. 24 აღურიცხველნი G, აღურიცხელნი H. 25 სიტყვით B, სიტყვით EGH. 26 დაბადნა G. 27 ჰყვნა A. 28 იქმნეს D, იქმნა H. 29 რა F. 30 მათ AC, მას BEFGH. 31 უკანასკნელ BDGH. 32 და – BEGH.

კეთილისა, გინათუ ბოროტისა, და დაადგინა იგი სამოთხესა მას ფუფუნებისასა, ხოლო შურითა ეშმაკისადათა¹ სცთა და მოცემულსა მას მცნებასა ღმრთისასა ნებსით² გარდაჰკდა³ და გამოვარდა ღიღებისა მისგან და საშუებელისა⁴ სამოთხისა, და თანამღებ სიკუდილისა იქმნა და დაემორჩილა მტერსა მას⁵ განდგომილსა.

(279r) არამედ არა უგულუბელს-ყო იგი დაბადებულმან. ამის-თჳს ჯერ-იჩინა და ინება მხოლოდშობილმან მან⁶ ძემან და სიტყუამან ღმრთისამან გამოუთქუმელითა მით კაცთმოყუარებითა,⁷ ნებითა მამისა და სულისადათა,⁸ ძიებაჲ⁹ დაბადებულთა თჳსთაჲ,¹⁰ გარდამოკდა¹¹ წიაღთაგან მამისათა, ვინაჲ-იგი¹² არასადა განეშორა, და დაიძკვრა საშოჲ¹³ ყოვლადწმიდისა¹⁴ მის ქალწულისაჲ¹⁵ სულისა მიერ წმიდისა, და მიიხუნა მისგან კორცნი სულითურთ პირმეტყუელით, და იშვა¹⁶ ღმერთი განკორციელებული, იშვა¹⁷ გამოუთქუმელად,¹⁸ და ქალწულებაჲ იგი ღედისაჲ¹⁹ დაიცვა²⁰ განუხრწნელად; არა თავს-იდვა²¹ შერევნაჲ²² ანუ შეცვალებაჲ,²³ არამედ რაჲ-იგი იყო, ეგო; და რაჲ²⁴ არა იყო – იქმნა; შეიმოსა ხატი მონისაჲ²⁵ ჭეშმარიტად, არა ოცნებით,²⁶ და²⁷ ყოვლითურთ გუემსგავსა ჩუენ, თჳნიერ ცოდვისა.²⁸

რამეთუ აღვიარებ²⁹ მას საუკუნოდ და ჟამიერად, დაუბადებელად და დაბადებულად, უც[ნებელა]დ* და ვნებულად, უკუდავად [და მოკულა]ვად,* იგივე ღმერთი და კაცი, არა[თუ სხუაჲ და სხუაჲ, არამედ ერთი არს და³⁰ იგივე პირველ განკორ-

* ეს ადგილები C-ში გაცხოველებულია.

1 ეშმაკისათა ABDGH. 2 ნებსით – H, ნეფსით AE. 3 გარდახდა G. 4 საშუებელისა E, და საშუებელისა – GH. 5 მას + და A. 6 მან – BDFGH. 7 კაცთმოყუარებითა D. 8 სულისათა ABDGH. 9 ძიება D, ძიება + ჰყო FGH, ძიებაჲ + ყო B. 10 თჳსთა ABDFGH. 11 გარდამოხდა GH. 12 ვინა-იგი ADGH. 13 საშო AD. 14 ყოვლადუხრწნელისა GH. 15 ქალწულისა ABGH. 16 იშუჲ A, იშუა DGH. 17 იშუჲ A, იშუა DGH. 18 გამოუთქუმელად CH. 19 ღედისა ABDGH. 20 დაიცუა ADGH. 21 თავს-იდუა GH. 22 შერევნა B. 23 შეცუალე-ბად D. 24 რაჲ-იგი GH. 25 მონისა D. 26 უცნებით CE. 27 და] აწ G. 28 ცოდვისა GH. 29 აღვარებ DGH. 30 და – ABCDEFGH (ეს „და“ C-ში, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო, მაგრამ მცდარი გაცხოველების შედეგად დაკარგულა).

ციელებისა და შემდგომად* განკორციელებისა,¹ ერთი შეზავებული გუამი ორითა სრულითა ბუნებითა და ორითა ბუნებითითა ნებითა და ორითა საქმითა, ერთ გუამად შეერთებულთა² უცვალე-ბელად³ და შეურევნელად.

იგივე ნებსით⁴ ინებებდა და იქმოდა საღმრთოთა საქმეთა⁵ ვითარცა ღმერთი, და იგივე ნებსით⁶ ინებებდა და იქმოდა კაცობრივთა და⁷ უბრალოთა საქმეთა⁸ ვითარცა კაცი, რამეთუ ბუნებად უნებელი⁹ და უსაქმო¹⁰ არა არს.

არა იძულებით დამორჩილებულ იყო იგი ბუნებითთა თანა[ნადებთა],¹¹ რამეთუ ნებსით¹² იშვა,¹³ ნებსით¹⁴ შეეშია, ნებსით¹⁵ მოეწყურა, ნებსით¹⁶ დაშურა, ნებსით¹⁷ შეეშინა, ნებსით¹⁸ ჯუარს-ეცუა,¹⁹ ნებსით²⁰ მოკუდა, ჭეშმარიტად და არა ოცნებით.²¹ ესე ყოველი ნებითა კაცობრივისა²² ბუნებისადათა,²³ ყოველივე ბუნებითი და უბრალო²⁴ წესი კაცებისა²⁵ თავს-იდვა.²⁶

მერმე ჯუარს-ეცუა,²⁷ გემო²⁸ სიკუდილისა²⁹ იხილა უცოდველმან,³⁰ დაეფლა და აღდგა³¹ მესამესა დღესა, რამეთუ კორცთა მისთა ხრწნილებად³² არა იხილეს, და თანა-აღადგინა ბუნებად კაცობრივი, ამაღლდა ზეცად ბუნებითა მით კაცობრივითა, და დაჯდა მარჯუენით მამისა და კუალად მომავალ არს³³ განშჯად³⁴ ცხოველთა და მკუდართა, რათა³⁵ მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მისთაებრ, ოდეს-იგი ბრძანებითა მისითა დასცეს

1 და შემდგომად განკორციელებისა – A. 2 შეერთებულ A, შეერთებულთა BF. 3 უცვალე-ბელად DGH. 4 ნებსით E. 5 ~ საღმრთოთა საქმეთა და იქმოდა GH. 6 ნებსით AE. 7 და – ACD. 8 ~ საქმეთა უბრალოთა A. 9 უნებელი A. 10 უსაქმო ABFH. 11 თანანადებთა] თანა D, „ნადებთა“ წვრილი ხელითაა აღდგენილი აშიაზე C. 12 ნებსით ADE. 13 იშუ~ ა A, იშუა D. 14 ნებსით BE. 15 ნებსით AE. 16 ნებსით AE. 17 ნებსით ABE. 18 ნებსით ABE. 19 ჯუარს-ეცუ~ ა A, ჯუარს-ეცვა B. 20 ნებსით ABE, ნებით F. 21 უცნებით CE. 22 კაცობრივითა A. 23 ბუნებისათა BDFH. 24 უბრალო ABDH. 25 კაცებისა AFDH. 26 თავს-იდვა AGH. 27 ჯუარს-ეცუ~ ა A, ჯუარს-ეცვა B. 28 გემო DFH. 29 სიკუდილისა DFH. 30 უცოდველმან H. 31 აღდგა H. 32 ხრწნილება B, განსახრწნელი GH. 33 მომავალ არს] მოვალს ABEF. 34 განსჯად BEH. 35 რათა GH.

მთავარანგელოზმან¹ საყურსა, და აღდგენ² მკუდარნი და გამოვიდენ სამარეთაგან. მაშინ რომელთა დაიმარხეს მართალი სარწმუნობა და ქმნეს³ საქმენი კეთილნი, წარვიდენ ცხორებად⁴ საუკუნოდ, ხოლო ცოდვილნი⁵ და შეურაცხისყოფელნი⁶ მართლისა სარწმუნობისანი სატანჯველად⁷ მიეცნენ საუკუნოდ.

ამას ზედა აღვიარებ⁸ ერთსა ნათლისღებასა წყლისა მიერ და სულისა, განმწმედელსა ყოვლისავე ბრალისა სულისა და კორცთა.⁹

ვეზიარები უხრწნელთა ქრისტეს (380r) საიდუმლოთა¹⁰ და მრწამსს, ვითარმედ არს ჭეშმარიტად¹¹ კორცი და სისხლი ჩუენთვის განკორციელებულისა სიტყვსა ღმრთისაჲ,¹² რომელმან მოგუსცა კორცი და სისხლი თვისი მოსატეველად ცოდვათა.¹³

შევიწყნარებ ყოველთა წესთა ეკლესიისათა,¹⁴ დაწესებულთა მოციქულთა მიერ და წმიდათა კრებათა,

თაყუანის-ვსცემ¹⁵ და ამბორს-უყოფ¹⁶ პატიოსანსა ხატსა ქრისტესსა, რამეთუ სახე¹⁷ არს განკორციელებისა მისისაჲ.¹⁸

თაყუანის-ვსცემ ძელსა პატიოსნისა¹⁹ ჯუარისასა, და ყოველთა სამღვდლოთა²⁰ ჭურჭელთა, წმიდასა²¹ სახარებასა და წმიდასა ბარძიშსა, და რაჲცა შეეხების დიდებულთა მათ საიდუმლოთა,²² და წმიდათა²³ ეკლესიათა,²⁴ მის²⁵ ძლით, რომელმან ჯერიჩინა ჩუენთვის კელითქმნულთა²⁶ ტადართა შინა დამკურებაჲ.²⁷

თაყუანის-ვსცემ ხატსა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისასა და ყოველთა წმიდათასა, სიყუარულისათვის²⁸ მხოლოდსა²⁹ ღმრთისა, და არა ფერთა მათ და წამალთა შინა დაუტეობ³⁰ გონებასა,

1 ~ მთავარანგელოზმან ბრძანებითა მისითა დასცეს GH. 2 აღდგენ H. 3 ქმნეს A. 4 ცხორებად DH. 5 ცოდვილნი A. 6 შეურაცხყოფელნი ADCE. 7 სატანჯველად ADGH. 8 აღვიარებ ADFG + მართალსა სარწმუნობასა A. 9 კორცთაჲ D. 10 საიდუმლოთა A. 11 ~ ჭეშმარიტად, ვითარმედ არს H. 12 ღმრთისა BFH. 13 ცოდვათა GH. 14 ეკლესიისათა H. 15 თაყუანის-ვსცემ ABCDEF, თაყუანის-ვცემ GH. 16 ამბორს-უყოფ E. 17 სახე C. 18 მისისა ADFGH. 19 პატიოსნისა BCEG, პატიოსანსა ADFH. 20 სამღვდლოთა H. 21 წმიდასა] ყ ლსა D. 22 სამღვდლოთა A. 23 წმიდათა – H. 24 ეკლესიათა FH. 25 ამის A. 26 კელითქმნილთა BEGH. 27 დამკურება DFG. 28 სიყუარულისათვის D. 29 მხოლოსა ABD. 30 დაუტევებ H.

არამედ სულიერთა თუალთა ავამაღლებ¹ პირმშოთა მათ² სახეთა მიმართ.

თაყუანის-ვსცემ და პატივის-ვსცემ³ ნაწილთა⁴ წმიდათასა, რამეთუ აქუს მათ ღმრთისა მიერ⁵ მაღლი⁶ სიწმიდისა⁷.

ესრეთ მრწამს, ესრეთ აღვიარებ⁸, ესრეთ ნათელღებულ ვარ, და ყოველთა მწვალებელთა⁹ და ყოველსა წვალებასა¹⁰ შევარეუენებ.

შევიწყნარებ და პატივის-ვსცემ¹¹ წმიდათა კრებათა: ნიკიისა¹² ტიშ¹³ წმიდათა მამათა, და კოსტანტინეპოლისა¹⁴ რწ¹⁵ წმიდათა მამათა, ეფესოსისა¹⁶ პირველთა¹⁷ სწ¹⁸ წმიდათა მამათა, ქალკიდონისა¹⁹ ქლ²⁰ წმიდათა მამათა, კოსტანტინეპოლისა²¹ რედ²² წმიდათა მამათა.²³

და სხუანიცა, სადა რომელ იქმნეს²⁴ კრებანი, დამამტკიცებელნი მართლისა სარწმუნოებისანი,²⁵ რომელნიცა კათოლიკე ეკლესიამან²⁶ შეიწყნარნა და რომელნიცა²⁷ წმიდათა მათ კრებათა შეიწყნარნეს,²⁸ შევიწყნარებ²⁹ და რომელნი³⁰ მათ შეარეუნნეს,³¹ შევარეუენებ; და, რომელნი მათ აღიდნეს,³² ვადიდებ; და უგალობ და თაყუანის-ვსცემ მამასა და ძესა და სულსა წმიდასა,³³ რომელსა შუენის³⁴ დიდებაა,³⁵ პატივი და თაყუანისცემამა³⁶ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.³⁷

1 ავამაღლებ AD, აღუამაღლებ FH. 2 ამათ A. 3 და პატივის-ვსცემ – AB EFGH, პატივსცემ CDE. 4 ნაწილსა A. 5 ღმრთისა მიერ – A. 6 ~ მაღლი ღმრთისა მიერ GH. 7 სიწმიდისა DFGH. 8 აღვარებ A, აღვარებ DFGH. 9 მწვალებელთა DGH. 10 წვალებასა DGH. 11 პატივის-ვსცემ AFGH, პატივსცემ BCE. 12 ნიკიას A. 13 ტიშ] სამას ათრვამეტთა BE, ასთრვამეტი A, სამას ათრვამეტთა FH, სამას ათურვამეტთა G. 14 კოსტანტინეპოლის F, კონსტანტინეპოლის G. 15 რწ] ას ორმეოცდაათთა BEFH. 16 ეფესოს DF, ეფესოსსა H. 17 პირველთა – H. 18 სწ] ორასთა BEFH, ს-თა A. 19 ხალკიდონისა FH, ხალკიდონისა G. 20 ქლ] ექუსას ოცდაათთა EFH, ქლ-თა A. 21 კოსტანტინეპოლისა + კუალად ABCDEFH, კოსტანტინეპოლისა FH. 22 რედ] ას სამეოცდაოთხთა AB E F. 23 კოსტანტინეპოლისა წმიდათა მამათა – G. 24 იქმნეს CDGH. 25 სარწმუნოებისა H. 26 ეკლესიამან FGH. 27 რომელიცა GH. 28 შევიწყნარეს GH. 29 შევიწყნარებ – E. 30 რომელი H. 31 შეარეუნნეს H, შეარეუნნეს F. 32 რომელნი მათ აღიდნეს – BCEFGH. 33 ~ წმიდასა სულსა BFGH. 34 კშუენის ABEG. 35 დიდებაა + და A. 36 თაყუანისცემა BDG. 37 ამენ E, ამინ FGH.

**აღსარებად მართლისა და უბიწოხსა
ქრისტიანეთა¹ სარწმუნოებისაჲ,
აღწერილი თეოდორიტეს მიერ კურელ ეპისკოპოსისა²**

კმა იყო ნამდვლვე, შ საკურველო, ჭეშმარიტთაგან თაყუა-
ნისცემელთა და მსახურთა წმიდისა და ცხოველისა და თაყუა-
ნისსაცემელისა³ ერთარსისა⁴ სამებისათა და გულსმოდგინედ მც-
ნობელთა კორციელისა მის განგებულებისა ერთისა სამებისაგან-
ისა, მხოლოდშობილისა ძისა ღმრთისა,⁵ იესუ ქრისტეს, უფლისა
და მაცხოვრისა ჩუენისა განკაცებისათა სრულსა მას და მტკიც-
ესა აღსარებასა⁶ კეთილადმსახურებისასა დაცვად, რომელი-იგი
პირსა შინა არს ყოველთა ქრისტიანეთასა,⁷ და კრებული მორწ-
მუნეთაჲ⁸ სამარადისოდ გალობს გალობასა მას მადლობისასა,
რომელი-იგი ნიში არს და ყუავილი, ყოველთავე ძუელთა⁹ და
ახალთა ღმრთივსულიერთა წერილთაგან მოკლედ და¹⁰ ღმრთივ-
შუენიერად¹¹ აღრჩეული, და ყოვლადსრულისა¹² და (339v) მარ-
თლისა სარწმუნოებისა ძალსა გამომაჩინებელი,¹³ რომელი-იგი
წამისყოფითა ღმრთისაჲთა შეკრებულმან ნიკიისა დედაქალაქსა
შინა სამას¹⁴ ათურგამეტა¹⁵ წმიდათა მამათა კრებულმან მოსცა
შვილთა და მოზარდლთა* ეკლესიისათა,¹⁶ რომელი-იგი შეუდგა
კუალთა¹⁷ და მოძღურებათა სამოციქულოთა,¹⁸ რომელნი-იგი კელით
მსახურ და თუალით მხილველ და მოწაფე ექმნეს¹⁹ სიბრძნესა
მას ჭეშმარიტსა, და მიერ აღმოივსეს მადლი და ჭეშმარიტებაჲ,
და დადვეს საფუძველი სარწმუნოებისა მართლისაჲ.²⁰

გარნა ვინაჲთაგან მთესვარმან მან ლუარძლისამან²¹ დათესა²²

* აქ წყდება B ხელნაწერის ტექსტის პირველი ფრაგმენტი. 248-249 ფურცლებს შორის აკლია ერთი ფურცელი.

1 ქენეთა A. 2 ეპსკპოსსა A, ეპისკოპოსისა B, + მამო, გუაკურთხენ ABC. 3 თაყუანისცემელისა AB. 4 ერთ რთრისისა C. 5 ღ და C. 6 აღსარებასა AB, აღსარებასა A. 7 ქენეთასა AB. 8 მორწმუნეთა C. 9 ძუელთა AB. 10 და – C. 11 ღმრთივშუენიერად AB. 12 ყოვლადსრულისა B. 13 გამომაჩინებელისა B. 14 სამს B. 15 ათურგამეტა C. 16 ეკლესიისთა C. 17 კუალთა C. 18 სამოციქულოსთა C. 19 ექმნეს C. 20 ლ მართლისა სარწმუნოებისა C. 21 ლუარძლისამან C. 22 დათესა AC.

დაბრკოლებად მსახურთა მიერ თუსთა, რომელთაცა სიდრკუდა-
თა¹ გონებისადათა² გარდაგულარძნეს³ წმიდანი წერილნი წარ-
საწყემდელად სულთა მათთა, და ერთი იგი გუამი ეკლესიისა⁴
ძრავალნაწილად განწვალეს.

ამისთვის,⁵ ვითარცა გუაქუს ცნობად, და⁶ რომელსა სიჩ-
ხოდათგან⁷ სწავლულ ვართ და გურწამს,⁸ მას აღვიარებთ⁹ და
ვქადაგებთ, და მზა ვართ, განწესებისაებრ სამოციქულოდას,¹⁰
მიცემად პასუხისა ყოველივე, რომელიცა მომკლიდეს¹¹ ჩუენ სი-
ტყუასა¹² ჩუენ შორის მყოფისა მისთვის სარწმუნოებისა,¹³ რადათა
არა საგონებელ ვიქმნეთ¹⁴ ჩუენ ბოროტადმადიდებელთა კერ-
ძოდასა¹⁵ კერძ.

ხოლო არარა¹⁶ შევსძინოთ ჩუენ თავით თუსით, ნუ იყოფინ,
არამედ ძალი იგივე და მისვე სარწმუნოებისა, წმიდათა მამათა
მიერ აღწერილისა¹⁷ მოძღურებისა¹⁸ ვიპყრათ და წინააღმდეგო-
მნი მწვალებელნი კდემულ და სირცხვლულ ყვენეთ.

მრწამს უკუე ერთი მამად უშობელი, და ერთი ძე შობილი,
და ერთი სული წმიდად გამოძავალი, სამი გუამი სრული და
საცნაური, განყოფილი რიცხვთა და გუამითა და თუთებითა,
გარნა არა ღმრთეებითა,¹⁹ ხოლო განიყოფვიან²⁰ განუყოფელად
და შეირწყუმიან შეურევნელად.

მამად — თუთგუამოვანი მამად, მარადის არსი²¹ და გებადი
მამობასა შინა; უშობელი, დაუსაბამო; დასაბამი და მიზეზი
ყოველთა;²² ოდენ უშობელობითა განყოფილი ძისაგან და სულისა
წმიდისა, და რადათა იყოს მამად, რომლისაგან იშვების ძე პირვე-
ელ ყოველთა საუკუნეთა და გამოძავალ არს სული წმიდად
უჟამოდ და უკორცოდ.

ოდეს მამად, ოდეს ძე, ოდეს სული წმიდად.

1 სიდრკუთა C. 2 გონებისათა C. 3 გარდაგულარძნეს C. 4 ეკლესიისა C.
5 მისთვის C. 6 და — C. 7 სიჩხოთგან C. 8 გურწამს C. 9 აღვრბთ C. 10
სამოციქულოსა C. 11 მკლიდეს C. 12 სიტყუასა C. 13 სარწმუნბსა A, სრწმუნ-
ბისა C. 14 ვიქმნეთ C. 15 კერძოსა C. 16 არადა C. 17 აწრილისა C. 18
მოძღურებისა C. 19 გარნა არა ღმრთეებითა — B, ღთაებითა C. 20 გნიფინ
C. 21 არს C. 22 ყოველთა C.

ძე – თვთგუამოვან¹ ძე, ერთარს და თანადაუსაბამო მშობელისა, და შობითა ოდენ განყოფილ არს მამისაგან და სულისა წმიდისა. (340r)

სული – თვთგუამოვან² და სულ წმიდა,³ მამისა და ძისა თანაარს და თანასამარადისო, და აქუს ყოველივე მამისა⁴ და ძისა⁵, თვნიერ უშობელობისა და შობილობისა, და⁶ არარაფთ განყოფილ არს სხვთა, თვნიერ ოდენ გამომავლობითა.

და ზოგადი არს სამთავე⁷ ღმრთეებად და საღმრთოესა მის ბუნებისა თვთებად, ზოლო თვსად-თვსად⁸ აქუს თითოეულსა:⁹ მამასა – მამობად, და ძესა – ძეობად, და სულსა წმიდასა – გამოსლვად,

და რამეთუ არცა მამად შეიცვალეების¹⁰ ძედ ანუ სულად; არცა ძე – მამად ანუ სულად,¹¹ არცა სული წმიდად – ძედ ანუ მამად, რამეთუ თვთებანი შეუძრველ არიან და შეუცვალებელ.

ღმრთად უკუე ვიცნობ¹² ჭეშმარიტად თითოეულსა¹³ სამთაგანსა, თავით თვსით საცნაურად და სახელდებულად, რამეთუ სრული ღმერთი არს მამად, და სრული ღმერთი არს ძე,¹⁴ და სრული ღმერთი არს სული წმიდად, გარნა არა სამნი ღმერთნი, რამეთუ ერთ არს ღმერთი, ვინაფთგან ერთი ღმრთეებად არს სამთავე შინა პირთა თანასამარადისო¹⁵, და არა განიყოფვიან არცა ბუნებითა და¹⁶ არცა ადგილითა.

და რამეთუ სადა არს მამად, მუნ არს ძე და სული წმიდად; და სადა არს ძე, მუნ არს მამად და სული წმიდად, და სადა არს სული წმიდად, მუნ არს მამად და ძე.

ზოლო რაფთა განცხადებულად ვთქუა, სამებასა თაყუანისვსცემ ერთარსებით, და ერთარსებასა – სამებით, ერთარსებასა – სამგუამოვნად, და სამებასა – ერთარსებად¹⁷ და ერთძალად და ერთპატივად.

1 თვთგუამოვანი C. 2 თვთგუამოვანი C. 3 სული წმიდად C. 4 მამისა C. 5 ძისა C. 6 და] რამეთუ B. 7 სამთავე C. 8 თვს-თვსად C. 9 თვთოეულსა C. 10 შეიცუფლების C. 11 არცა ძე მამად და სულად – AC. 12 ვიცნობთ C. 13 თვთუქლსა C. 14 ძე C. 15 სამარადისო C. 16 და – C. 17 და სამებასა ერთარსებად – C.

და ერთსა აღვიარებ¹ წმიდისა² სამებისა³ ღმრთეებასა, ერთსა ბუნებასა, ერთსა არსებასა,⁴ ერთსა ძალსა, ერთსა კელმწიფებასა, ერთსა უფლებასა,⁵ ერთსა* მეუფებასა.

ამას ვიცნობ სამარადისოდ, უშობელად, დაუსაბამოდ, დაუბადებელად, უხილავად, გარეშემოუწერელად,⁶ განუცდელად, უსაზღვროდ,⁷ უცვალეზელად, უქცეველად, უკუდავად, უზრწნელად, უვნებელად, ყოველთა შემოქმედად და⁸ მპრობელად და განმგებელად ცათა და ქუეყანისა და ზღუათა, და ყოველივე, რამ არს მათ შინა, ხილულთა და არახილულთა,⁹ არარადასაგან არს-მქმნელად¹⁰ და დამბადებელად.

მრწამს უკუე,¹¹ ვითარმედ¹² არა არს არსება¹³ რამე ბოროტისა¹⁴, არცა მეუფება, არცა დაუსაბამო,¹⁵ არცა თავით თვისით გუამ-ქმნული¹⁶ და არცა ღმრთისაგან დაბადებული, არამედ ჩუენი საქმე არს ესე და ეშმაკისა,¹⁷ უკრძალველობითა შემოსრული ჩუენ ზედა და არა დამბადებელისაგან.

რამეთუ ხატად ღმრთისა შეიქმნა და დაიბადა¹⁸ (340v) კაცი, ესე იგი არს თვთმფლობელად, რამთა თვთ გამოირჩიოს, ვინადაცა ენებოს მიდრეკადა – კეთილისა კერძო ანუ ბოროტისა, და მისსა¹⁹ მიმართცა წარემართოს.

შურითა უკუე ეშმაკისა²⁰ მთა ზაკულ იქმნა და ცთომილ, და გარდასლვისა²¹ მიმართ მიდრეკა ნებსით²² და მივარდა, და საღმრთო²³ მის მცნებისა²⁴ დამვიწყებელ იქმნა, და ერთბამად ყოველადღიდებულისაგან²⁵ ცხორებისა და სამოთხეს ქცევისაგან ექსორია იქმნა და სიკუდილსა და ხრწნილებასა შთავარდა და მონა მაცთურისა მის იქმნა.²⁴

* აქ გრძელდება B ტექსტი.

1 აღვრებ C. 2 წა C. 3 სამებჴსა C. 4 ერთრსბჴსა C. 5 ერთსა უფლებასა – C. 6 გარეშემოუწერელად C. 7 უსაზღვროდ C. 8 და – C. 9 არახილულთა] უხილავთა C. 10 არს-მქმნელად AB. 11 უკუე B. 12 ვე C. 13 არა არს არსება] არ მრასობ C. 14 ბრტსჴ C, ბოროტისა C. 15 დაუსაბამო C. 16 გუამ-ქმნული A, გუამ-ქმნული B. გუამ-ქმნილი C. 17 ეშმაკისა C. 18 დაეჴდა C. 19 მის C. 20 გარდასლვისა C. 21 ნეფსით C. 22 მცნებისა] მცნებებისა C. 23 ყოველადღიდებულისა C. 24 და სიკუდილსა და ხრწნილებასა შთავარდა და მონა მაცთურისა მის იქმნა – C.

გარნა არა უგულებელს-ყო მიმძლავრებული იგი დაძვადებულმან ღმრთისა¹ სიტყუამან, არამედ სიმრავლითა კაცთმოყუარებისადათა ჯერ-იჩინა ნებითა მამისა და სულისადათა² აღმოწოდებად დაბადებულსა მას თვისსა, და არა იკმარა ძალი ღმრთეებისა თვისსა³ მძლავრისა მის მიმართ, არამედ სასწორი სიმართლისა⁴ და სახე სიბრძნისა.⁵

ხოლო რაჲ არს ესე? რამეთუ თუთ თავადმან მან⁶ პირველსა-უკუნეთა სიტყუამან, ბრწყინვალეებამან პირმშოდა⁷ მის სახისამან, (1) შეუძრველმან მან ბეჭედმან, უცვალებელმან⁸ ხატმან, ღმრთისა მამისა საზღვარმან⁹ და ძემან, უკუანადსკნელთა მათ¹⁰ ჟამთა ამიერიისა ამის ქცევისათა, მოსწავებისაებრ წმიდათადას განუშორებელად წიაღთაგან მამულთა სათნო-იყო გარდამოსლვად და დამკვდრებად ქალწულებრივისა მას საშოსა ყოვლადუბიწოდა¹¹ მარადისქალწულისა მარიამისსა, რომელი-იგი შთამოვიდოდა თესლისაგან დავითისისა,¹² და იყო იგი განწმედილ პირველვე სულით და კორციით, რომელმან-იგი თუთ თავადისა მისგან მიიღო ძალი მშობელობისა¹³ და თავადი სიტყუაჲ თესლ ექმნა¹⁴ თავსა თვისსა, და კორცნი სულიერნი, სული სიტყუერი¹⁵ და გონიერი, არა პირველ დაბადებული, მიიღო მისგან, და¹⁶ გამოვიდა ღმერთი განკაცებული და იშვა¹⁷ გამოუთქუმელად და უმწიკულოდ, და ქალწულებაჲ მშობელისა და დაცვა¹⁸ უხრწნელად, და არა თავს-იღვა შერევნაჲ,¹⁹ არცა შერწყუმაჲ, არცა ქცეულებაჲ, არამედ ეგო, რაჲ-იგი იყო, სიმაღლე და პატივი ღმრთეებისა²⁰ და ერთობაჲ მამისა თანა, და იქმნა, რაჲ-იგი არა იყო, და მიიღო ხატი მონისა²¹ ჭეშმარიტებით და არა საოცრად, და ყოვლითურთ გუემსგავსა ჩუენ თუნერ ცოდვისა.²²

1 ღწ AC, ღწისა B. 2 სულისათა C. 3 თვისისა C. 4 სიმართლისაჲ B, სიმართლისა AC. 5 სიბრძნისა C. 6 მან – C. 7 პირმშოსა C. 8 უცვალებელმან + მან C. 9 საზღვარმან C. 10 მათ – AC. 11 ყოვლადუბიწოსა C. 12 ღწთისსა AC. 13 მშობელობისა C. 14 ექმნა C. 15 სიტყუერი A. 16 და + სიკვდილსა და ხრწნილებასა შთავარდა და მონა მაცთურისა იქმნა და C. 17 იშუჲ C. 18 დაცუჲ C. 19 შერევნა C. 20 ღწთაებისა C. 21 მონისა C. 22 ცოდვისა C.

(1) შდრ. ებრ. 1,3; კოლ. 1,15.

ამისთვის აღვიარებთ¹ უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა² ძედ ღმრთისა ცხოველისა, მასვე და ძედ ქალწულისა მარიამისა,³ რომელსაცა პატივ-ვსცემთ⁴ სამართლად⁵ (341r) და სრულად⁶ ღმრთისმშობლად აღვიარებთ,⁷ და მისგან განკაცებულსა უფალსა ვქადაგებთ საუკუნოდ, მასვე და ჟამიერად, დაბადებულად მასვე და დაუბადებულად; ვნებულად მასვე და უვნებელად; მოკუდავად მასვე და უკუდავად; ღმრთად⁸ სრულად მასვე და კაცად სრულად, არა სხუასა და სხუასა, არამედ ერთსა და მასვე, პირველ განკაცებისა და შემდგომად განკაცებისა, ერთსა შეერთებულსა გუამსა, მასვე და ერთსა, ორითა ბუნებითა და ორითა საქმითა, ურთიერთას⁹ გუამითა შეერთებულსა, და უცვალეებლად და შეურწყუმელად¹⁰ ვიცნობთ მას.¹¹

იგივე ნებსით¹² ინებებდა და იქმოდა საღმრთოსა ვითარცა ღმერთი, და იგივე ნებსით¹³ ინებებდა და იქმოდა კაცობრივისა ვითარცა კაცი, და არა შეწყუდეულ იყო იგი¹⁴ ბუნებითაგან¹⁵ იძულებათა, არამედ¹⁶ ნებსით¹⁷ იშვა, ნებსით¹⁸ მოემშია, ნებსით¹⁹ მოეწყურა, ნებსით²⁰ დაშურა, ნებსით შეეშინა, ნებსით მოკუდა, ჭეშმარიტებით და არა ოცნებით,²¹ და ნებსით თავს-იღვა ყოველივე ვნებულება უბრალოდ²² და კაცობრივისა ბუნებისა,²³ ვიდრელა წყლულებამცა და განწონამ სამშკუალთამ,²⁴ რადთა აჩუენოს სრული და უქცეველი შეერთებამ დაწყებულისა და დაუწყებელისა,²⁵ და ვნებადისა და უვნებელისა,²⁶ უხილავისა და ხილულისა,²⁷ და განხრწნადისა და უხრწნელისა.

ამით²⁸ საშინელითა და ყოვლადწმიდითა განგებულებითა მოაცთუნა მანქანამ²⁹ იგი და ძლიერი იგი, კელთ იგლო და მთავრობამისი დაამკუა და მონებისაგან მისისა იქსნნა კაცნი, და ვალი იგი

1 აღვარებთ C. 2 ქქესსა C. 3 მარიამისსა AC. 4 პატივს-ვსცემთ C. 5 სამართლად] სამარადისოდ C. 6 სრულად C. 7 აღვარებთ C. 8 ღუთად C. 9 ურთიერთარს C. 10 შეურწყუმელად A. 11 ამას A. 12 ნეფსით C. 13 ნეფსით C. 14 იგივე C. 15 ბუნებითაგანვე C. 16 არამედ B] რამეთუ AC. 17 ნებსით C. 18 ნებსით C. 19 ნებსით C. 20 ნებსით C. 21 ოცნებით C. 22 უბრალო C. 23 ბუნებისა C. 24 სამსკუალთამ C. 25 დაუწყებელისა C. 26 უვნებელისა C. 27 ხილულისა C. 28 ამის C. 29 მანქანა C.

ჩუენი საღმრთოდას შჯულისა¹ ჩუენთუს თავადმან გარდაიკადა, და წყევისაგან თავისუფალ მყვნა.²

ჯუარს-ეცუა და გემოა სიკუდილისა³ იხილა უცოდველმან და შთავიდა იგი ვიდრე ჯოჯოხეთადმდე და პერობილნი განკსნა კრულებათაგან, და აღდგა მესამესა დღესა, და რამეთუ კორცთა მისთა არა იხილეს ხრწნილება⁴, არამედ არსება კაცთა⁵ უხრწნელ ყო და უკუდავ, და თანა-აღადგინა⁶ და აღიყვანა⁷ იგი ზეცად მის თანა, და დაჯდა იგი მარჯუენით მამისა, მოვიდეს იგი კუალად დიდებით მოსლვითა თვისითა განშჯად ცხოველთა და მკუდართა, სახითა, რომლითა ამადლდა, მითვე კორცითა, ჩუენებად მათდა, რომელთა უგუმიერეს,⁸ და მიგებად კაცად-კაცადისა საქმეთა(341v)ებრ მათთა.

და რამეთუ აღდგენ მკუდარნი და აღემართნენ საფლავთაგან; და რომელთა ექმნენ საქმენი კეთილნი, სარწმუნოებასა თანა მართალსა,⁹ წარვიდენ ცხორებად საუკუნოდ და სიხარულად, და იშუებდენ ანგელოზთა თანა ნათელსა მას შინა ჭეშმარიტსა, ხოლო მოქმედნი ბოროტისანი და ურჩნი სარწმუნოებისანი წარვიდენ სატანჯველად საუკუნოდ.

ამას ზედა აღვიარებ¹⁰ ერთსა ნათლისღებასა, წყლითა და სულითა, აღმომშობელსა და განმწმედელსა ყოვლისაგანვე მწიკულისა კორცთა¹¹ და სულისა.

ვეზიარები უხრწნელთა საიდუმლოთა,¹² და მრწამს, ვითარმედ არს იგი ჭეშმარიტ კორც და სისხლ ჩუენთუს განკაცებულისა ღმრთისა სიტყვსა, რომელმან მოსცა იგი მორწმუნეთა მისთა საჭმლად და სასუმლად, მოსატევებელად ცოდვათა.

შევიწყნარებ ყოველთავე ეკლესიისა წესთა, წერილთა და უწერელთა.

შევემთხუევი, თაყუანის-ვსცემ და პატივის-ვსცემ¹³ ყოვლად-

1 სჯულისა C. 2 მყვნა C. 3 სიკუდილისა C. 4 განსახრწნელი C. 5 კაცთა C. 6 თანა-აღადგინა C. 7 აღიყვანა C. 8 უგმიერეს C. 9 მართალთა C. 10 აღვრბ C. 11 კორცთასა C. 12 საიდუმლოთა C. 13 პატივისცემ A, პატივის-ვსცემ C.

პატიოსანსა ხატსა კაცობრივთა კორცთა ღმრთისა სიტყუსათა-
სა,¹ ცხებულთა ღმრთეებითა, რომელნი-იგი იქმნეს უცვალებ-
ელად, ვითარ მცხებელი იგი მათი, და სარწმუნოებით ვკვონებ²
თუ თვთ მას თავადსა ვხედავ, რომელი-იგი³ კორცითა გამოჩნდა
და კაცთა შორის იქცეოდა, რომელმან ხილულითა მით კორცი-
თა განაგო ცხორებად ჩემი.

თაყუანის-ვსცემ ძელსა ცხოველსმყოფელისა და პატიოსნისა
ჯუარისასა მის ზედა დამოკიდებულისათს უფლისა, და ყოვე-
ლსავე სახესა პატიოსნისა ჯუარისასა.

პატივის-ვსცემ⁴ სამღვდელთა ჭურჭელთა, პატიოსანთა ადგ-
ილთა, წმიდათა ტაძართა, წმიდათა და⁵ პატიოსანთა ღმრთიე-
სულიერთა წიგნთა, მისთს, რომელმან-იგი ტაძართა შინა კელ-
ითქმნულთა⁶ სათნო-იყო ჩუენთს დამკვრებად, და კაცთმოყუარე-
ბით ბრძანა წმიდათა მათ და საღმრთოთა ბრძანებათა თსსთა
ნივთისა მიერ აღწერად.

ვესავ, პატივის-ვსცემ⁷ და თაყუანის-ვსცემ ხატსა ყოვლად-
წმიდისა ღმრთისმშობელისასა და ყოველთავე წმიდათა და ნებ-
ისმყოფელთა ღმრთისათა ხატსა; პატივის-ვსცემ⁸ სიყუარულისა-
თს მხოლოდსა⁹ ოდენ ბუნებით თაყუანისცემულისა ღმრთისა
და თუალთა სულისათა აღვაყვანებ პირმშოთა მათ მიმართ¹⁰
სახეთა, და არა დავაყენებ გონებასა ნივთთა შინა და ფერთა.

შევიტკობ, ამბორს-უყოფ და თაყუანის-ვსცემ წმიდათა მოწა-
მეთა და ყოველთა წმიდათა ნაწილსა, ვითარცა სიწმიდისა და
კურნებისა მადლთა ღმრთისაგან მიძღებელსა. (342r)

ესრეთ მრწამს და ესრეთ აღვიარებ¹¹ და ამას ზედა ნათელ-
მიღებეს და ამას ზედა ვჰვიე.¹² და ყოველთავე წინამძღუართა
წვალებისათა და ყოველთა¹³ მიმდგომთა მათთა და თანაზიართა
და ყოველსა წვალებასა მათსა და ბოროტადმეტყუელებასა გარე-

1 სიტყუსთა C. 2 ჰვონებ C. 3 რომელი C. 4 პატივ-ვსცემ A, პატივის-
ვსცემ C. 5 და – C. 6 კელითქმნულთა A, კელითქმნილთა C. 7 პატივისცემ A,
პატივის-ვსცემ C. 8 პატივისცემ A, პატივის-ვსცემ C. 9 მხოლოდსა C. 10 მრ A.
11 აღვარებ C. 12 ვჰვიარ A, ვვიარ C. 13 ყოველთავე C.

მივაქცევ, ვევლტი, ვსძულობ და შევაჩუენებ.

შევიწყნარებ და შევიტკობ წმიდათა და¹ დიდთა მსოფლიოთა შუღთა კრებათა:

ა. პირველად – ნიკიას შეკრებულთა სამას ათრვაამეტთა² წმიდათა მამათასა, რომელნი-იგი შეკრბეს არიოზ უღმრთოდასათუს, რომელი განჰყოფდა ღმრთეებასა³ სამად კიდევანად და უცხოდ, და ძესა დაბადებულად იტყოდა ბილწი იგი და საძირკულად და ჭურჭლად, ორდანიოდ საქმარად⁴ დაბადებულთა სახელ-სდებდა და მამასა ოდენ მარტოდ მიაწერდა ღმრთეებასა. ესე შეაჩუენა წმიდამან ამან კრებამან, ხოლო მხოლოდშობილი იგი ძე ღმრთისაჲ ჭეშმარიტად ღმრთად, თანაარსად მამისა და თანადაუსაბამოდ და ყოველთა დაბადებულთა შემოქმედად ქადაგა.

ბ. მეორე – კოსტანტინეპოლეს, ას ორმეოცდაათთა⁵ წმიდათა მამათაჲ,⁶ რომელნი-იგი შეკრბეს მაკედონიოს⁷ სულისა წმიდისა მბრძოლისათუს, რამეთუ დაბადებულად ჰგობდა მამავი იგი სულსა წმიდასა, რომელი-იგი შეაჩუენეს, და სული წმიდაჲ⁸ მამისა და ძისა თანაარსად, თანადაუსაბამოდ და სწორ ჰატივცემულად ქადაგეს, რომლითა სრულ ვიქმნებით, რომლითა წმიდა ვიქმნებით და რომლითა სრულ იქმნებიან ყოველნივე დაბადებულნი.

გ. მესამე – ეფესოს პირველ, ორასთა წმიდათა მამათაჲ,⁹ რომელნი-იგი შეკრბეს ნისტორ უშჯულოდას¹⁰ კაცისმსახურისათუს,¹¹ რომელი-იგი არაწმიდაჲ განჰყოფდა მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა ორ გუამად, და ორთა ძეთა და ორთა ქრისტეთა იტყოდა, და ღმრთისმშობლობისა¹² სახელსა ქალწულისა მარიამისთუს უვარ-ჰყოფდა¹³ ბილწი იგი, რომელი-იგი შეაჩუენეს წმიდათა მამათა, და ერთი გუამი შეერთებული განკაცებულისა

1 და – C. 2 ათურამეტთა C. 3 ღთაებზა C. 4 საქმარად A. 5 ორმეოცდაათთა C. 6 მამათაჲ A, მამათა BC. 7 მაკედონიას C. 8 სული წმიდაჲ] სულისა წმიდისა C. 9 მამათა C. 10 უშჯულოსა C. 11 კაცისა-მსახურისათუს C. 12 ღმრთისმშობელისა C. 13 უვარ-ჰყოფდა AB, უარ-ჰყოფდა C.

ღმრთისა სიტყვსა ქადაგეს, და ერთ ძედ და ერთ ქრისტედ ერთი და¹ იგივე აღიარეს, და ვითარმედ რომელი-იგი პირველ ყოველთა საუკუნეთა იშვა² ღმრთისაგან მამისა ბუნებითა ღმრთეებისადათა, ესევე უკუნადასკნელთა დღეთა იშვა³ ქალწულისა მარიამისგან კორციელად განკაცებითა, და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი ქალწული მარიამ კმითა მალლითა ღმრთისმშობელად და დედად ღმრთისა⁴ ქადაგეს. (342v)

დ. მეოთხე⁵ – ხალკიდონს, ექუსას ოცდაათთა წმიდათა მამათაჲ,⁶ რომელნი-იგი შეკრბეს ევტუქისტოზს და დიოსკორომს⁷ და სევეროსისტოზს,⁸ რომელნი-იგი შერწყმასა და შერევნასა შემოიღებდეს და ერთბუნებად წმასნიდეს კორცთა და ღმრთეებასა უგუნურნი იგი, და მხოლოდშობილისა ღმრთეებისა ბუნებასა ვნებულად ძმაცუვიდეს.⁹ ხოლო ევტუქი ამას ზედა, და კორცთა მათცა, რომელნი მიიხუნა ქალწულისა მარიამისგან, სხუად¹⁰ ბუნებად¹¹ და უცხოდ ბუნებისაგან¹² დედისა ჰგმობდა იგი, რომელნი-იგი¹³ შეაჩუენა წმიდამან ამან კრებამან მიმდგომთა თანა მისთა. ხოლო უფალი ჩუენი იესუ ქრისტე აღიარა, ერთი და იგივე მხოლოდშობილი ორითა ბუნებითა, შეურწყუმელად,¹⁴ უქცეველად,¹⁵ განუყოფელად და განუწვალებელად ცნობილი, რამეთუ და არასადა ავნო განყოფილებასა ბუნებათასა შეერთებამან ღმრთეებისა¹⁶ და კაცებისამან, უფროდ¹⁷ დაცუულ¹⁸ იქმნა თუთე-ბაჲ თითოეულისა¹⁹ ბუნებისაჲ, და ერთი პირი და ერთი გუამი იცნობების ძისაჲ²⁰ ორითა²¹ ბუნებითა სრულითა, და კორცნი იგი, რომელ მიიხუნა ქალწულისა მარიამისგან ჭეშმარიტად, სრულად ერთარსად და ერთბუნებად კორცთა მათ დედობრივთა.

ე. მეხუთე კრებაჲ კუალად კოსტანტინეპოლეს, ას სამეოცდაოთხთა წმიდათა მამათაჲ,²² რომელნი-იგი შეკრბეს

1 და – C. 2 იშუა C. 3 იშუა C. 4 ღმრთისად C. 5 მეოთხედ C. 6 მამათა C. 7 დიოსკოროს C. 8 სევეროსისტოზს AC, სევეროსისტოზს B. 9 ძმაცუვეს C. 10 სხვად C. 11 ბუნებისაგან C. 12 ბუნებისა C. 13 რწი-იგი C. 14 შეურწყუმელად A. 15 უქცეველად – C. 16 ღთაებისა C. 17 უფროდ C. 18 დაცულ C. 19 თუთოეულისა C. 20 ძისა C. 21 ორითა] ერთითა C. 22 მამათა C.

შჯულთათჳს¹ ორიგენი ცუნდრუკისათა, რომელმან-იგი იცუნდრუკა სულთა წინადსწარ ყოფად და საშჯელისა² კუალადგებად,³ და ღმრთეებასა ჰგმობდა ბილწი იგი და იტყოდა: „ძე ვერ ხედავსო მამასა⁴ და სული წმიდად ვერ ხედავსო ძესა“, რომელი-იგი უცხოქმნული⁵ დიდებისაგან და ღმრთეებისა სამებისა, შეაჩუენა და განსთხია წმიდამან ამან კრებამან, და ყოვლადწმიდად და ცხოველსმყოფელი⁶ სამებად ერთღმრთეებად, ერთღიღებად და ერთარსებად ქადაგა, და ვითარმედ სული ჯორცთავე თანა დაიბადების, დაამტკიცა, და, მოძღურებისაებრ უფლისა, მერმე იგი საღმრთოჲსა⁷ ბჭობისა განშჯად⁸ და განრჩევაჲ საუკუნოდ და შეუცვალებელად განაჩინა.

ვ. მეექუსე – მასვე ქალაქსა სამეუფოსა შეკრბა ორას ოთხმეოცდაცხრათა წმიდათა მამათაჲ,⁹ და სერგი და კუროს და მაკარი, ერთისა ნებისა წვალებისა წინამძღუარნი, შეაჩუენნა და განსთხინა,¹⁰ და ორი ბუნებითი ნებად და ორი ბუნებითი საქმე ქრისტესი ქადაგა და დაამტკიცა. (343r)

ზ. მეშუდე კრებაჲ კუალად ნიკიასვე შეკრბა ას ორმეოცდაათთა წმიდათა მამათაჲ,¹¹ და ქრისტეიანობისა¹² შემასმენელი წვალებაჲ ხატთა-ბრძოლისაჲ და წინამძღუარნი¹³ მათნი შეაჩუენნა, ხოლო წმიდანი და პატიოსანნი ხატნი აღჰმართნა¹⁴ და პატივი და თაყუანისცემაჲ მათი განაწესა, და ყოველნივე წესნი საეკლესიონი, მოცემულნი წმიდათაგან მოციქულთა, განაჩინა და დაამტკიცნა.

და რადთა მოკლედ ვთქუა, შევიწყნარებ ყოველთავე წმიდათა და სამღდელთა კრებათა, რომელნი-იგი მადლითა ღმრთისაჲთა შეკრბეს თითოეულთა¹⁵ შინა ჟამთა და ადგილთა, დასამტკიცებელად კეთილადმსახურებისა¹⁶ და სახარებისა მოქალაქობასა,

1 სჯულთათჳს C. 2 სასჯელისა C. 3 კუალად-გება C. 4 ~ ხედავს მამასაო C. 5 უცხო-ქმნული A, უცხო-ქმნული B, უცხო-ქმნილი C. 6 ცხოველი C. 7 სწლო C. 8 განსჯა C. 9 მამათა C. 10 განსთხინა C. 11 მამათა C. 12 ქენობისა AB, ქენეთა C. 13 წინამძღვარნი C. 14 აღმართნა C. 15 თოთოეულთა C. 16 კეთილადმსახურებისა AC.

რომელნიცა წმიდამან კათოლიკე და სამოციქულომან¹ ეკლესიამან შეიწყნარნა, და დავემორჩილები ყოველთავე წესთა და კანონთა საეკლესიოთა, წმიდათა მოციქულთა და ღმერთშემოსილთა მამათაგან განწესებულთა და ბრძანებულთა,² და რომელნი განყარნეს,³ განვჰყრი, და რომელნი უვარ-ყვნეს,⁴ უვარ-ვჰყოფ,⁵ და რომელნი შეაჩუენნეს,⁶ შევაჩუენებ.

ა. პირველად სიმონ მოგუსა, და საძაგელთა გრძნებათა და მოგუებათა⁷ მისთა, და შემდგომითი-შემდგომად ბოროტად აღმოცენებულთა⁸ ყოველთავე მოწაფეთა მისთა.

ბ. მეორედ უალენტი ს, რომელი განჰკუეთდა ერთსა ორად და სხუასა იტყოდა კეთილისა დამბადებელად, და სხუასა – ბოროტისა, და ხენეშთა მათ წიგნთა მისთა, რომელთა უწოდა, ერთსა – სიდრმე, მეორესა – დუმილ, და მესამესა – საიდუმლო, და ზღაპრებრ წმასნილთა მათ მრავალქცევთა საუკუნეთა.

გ. მესამედ – მარკიონ ს, რომელი ასოთაგან და რიცხუთა რაცხვიდა⁹ ღმერთსა.

დ. მეოთხედ – მონტან ს, და უკეთურსა მას და დედლე-ბრსა სულსა მისსა.

ე. მეხუთედ – მანინ ს,¹⁰ ნივთსა მას თანა მისსა და ბნელსა.

ვ. მეექვსედ – ნავატ ს, და მისსა მას¹¹ ზუაობასა და სიტყვთ სიწმიდესა და სილალესა, რომელი არა შეიწყნარებდა სინანულსა შემდგომად ნათლისღებისა.

ზ. მეშუდედ – საბელიოს ს¹² და მისსა მას აღმატებასა და შერწყუძასა და დამკობასა, რომელი-იგი სამსა ერთად შეჰრევდა, და არა სამთა შინა გუამთა¹³ ერთსა ღმრთიეებასა აღიარებდა.

1 სამოციქულომან BC, სამოციქულო A. 2 და ბრძანებულთა – C. 3 განჰყარნეს C. 4 უარ-ჰყვნეს C. 5 უარ-ვჰყოფ C. 6 შეაჩუენნეს A, შეაჩუენნეს BC. 7 მოგობათა C. 8 აღმცაწბლთა C. 9 რაცხვდა C. 10 მანინი C. 11 მას + ყოველსა C. 12 საბელიოზს C. 13 ~ გუამთა შინა C.

წ. მერვედ – პ ა ვ ლ ე ს ა მ ო ს ა ტ ე ლ ს ა,¹ რომელი სხუასა იტყოდა იესუ ქრისტეს² ნაზარეველსა და სხუასა – ღმრთისა მამისაგან შობილსა.

თ. მეცხრედ – პ ე ტ რ ე ს მ კ ა წ რ ვ ა ლ ს ა და მისსა მას ბოროტგონებით შემატებასა სამწმიდაო-ღმერთოდას³ გალობასა.

ამათ წინამძღუართა წვალებისათა⁴ (343v) და ყოველთავე ზიართა მათთა, და ყოველთავე მიმდგომთა და მოწაფეთა მათთა, და ყოველსავე წვალებასა მათსა შევარეუენბ. რომელნი ვაკსენენ სახელდებით, და რომელნი არა ვაკსენენ, ყოველთავე წინააღმდგომთა წმიდისა და უბიწოდას⁵ და მართლისა სარწმუნოებისათა განვჰყერი და შევარეუენბ, და მართლალსაარებით⁶ და მართლმადიდებლობით შევსწირავ⁷ დიდებასა წმიდისა და ერთარსისა და თაყუანისცემულისა⁸ სამებისა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა,⁹ აწ და მარადის და დაუსრულებელთა მათ საუკუნეთა უკუნითი-უკუნისამდე,¹⁰ ამინ.

განზრახვაჲ სარწმუნოებისაჲ

(წმიდისა იოვანე ოქროპირისა საკითხავისაგან
წმიდისა ჟამისწირვისათჳს)

მრწამს ერთი ღმერთი, მამაჲ ყოვლისა-მყრობელი, შემოქმედი ცათაჲ და ქუეყანისაჲ, ხილულთა ყოველთაჲ და არახილულთაჲ,

და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძმ ღმრთისაჲ მხოლოდშობილი, რომელი მამისაგან იშვა პირველ ყოველთა საუკუნეთა, რომლისაგან ყოველივე შეიქმნა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა და უფსკრულთა შინა,

და სული წმიდაჲ, უფალი და ცხოველსმყოფელი, რომელი ცხოველს-ჰყოფს ყოველთა, რომელი იტყოდა წინადასწარმეტყველთა

1 სამუსატელსა A. 2 ქე C. 3 სწმწოღლოსა C. 4 წულზისთა C. 5 უბიწოსა C. 6 მართლალსაარებით A, მართლალსაარებით C. 7 შევსწირავ + გალობასა და C. 8 თაყუანისცემულისა AB, თაყუანისსაცემულისა C. 9 წმიდისა სულისა AC ~ სულისა წმიდისაჲთა B; სწლსა A. 10 უკუნითი-უკუნისამდე AC] საუკუნეთასა B.

მიერ, და (v) ერთი, წმიდად, კათოლიკე ეკლესიაა.

აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატყვევებლად ცოდვათა, მოკელი აღდგომასა მკუდართასა და ცხორებასა მერმესა საუკუნესა.

საზღვარი¹ წმიდისა და მსოფლიოსა² კრებისა³

წმიდამან და დიდმან და მსოფლიომან კრებამან
მადლითა ღმრთისაათა⁴ და ბრძანებითა კეთილადმსახურთა
და ქრისტესმოყუარეთა მეფეთა უაღენტიანე⁵ და მარკიანე
საუკუნეთა აგვისტოსათაათა,⁶

შეკრებულმან დედაქალაქსა შინა⁷ ხალკიდონელთასა,
სამთავროსა ბითუნისასა,⁸ საწამებელსა შინა
წმიდისა და კეთილადმძლისა მოწამისა ევფემიადსსა⁹
განასაზღვრნა¹⁰ აქა მოკსენებულნი ესე:

უფალი ჩუენი და მაცხოვარი ქრისტე მეცნიერებასა სარწმუნოებისასა დაუმტკიცებდა რა¹¹ მოწაფეთა, ეტყოდა: „მშჯლობასა ჩემსა მიგცემ თქუენ, მშჯლობასა ჩემსა დაგიტევებ თქუენ“, (1) რაათა არცა ერთი რა¹² ვის განყოფილება კმისა¹³ აქუნდეს მოყუსისაგან თვისისა შჯულთა¹⁴ შინა კეთილადმსახურებისათა, არამედ სწორებით¹⁵ იხილვებდის¹⁶ ყოველთა ზედა ქადაგებად ჭეშმარიტებისა. ხოლო ვინათგან არა დასცხრების ბოროტი ღუარძლთა მიერ თვისთა განრყუნად თესლთა კეთილადმსახურებისათა, და ახალსა რასმე მოპონებად მარადის წინაგანსაწყობელად ჭეშმარიტებისა. ამისთვის ჩუეულებისაებრ თვისისა წყალობით წინა-განმგებელმან კაცთა ნათესავისამან მეუფემან¹⁷ კეთილმსახური ესე და მოშურნეობით მორწმუნე აღადგინა მეფე¹⁸ და ყოვლით-კერძოთა მთავარმოძღუართა¹⁹ მღვდელობისათა²⁰ თავისა

1 საზღვარი CHI. 2 მსოფლიოსა HI. 3 კრებისა HI. 4 ღმრთისათა H, ღთისათა I. 5 უაღენტიანე I. 6 აგვისტოთაათა D. 7 შინა – CDHI. 8 ბითუნისა H. 9 ევფემიასსა H. 10 განასაზღვრნა HI. 11 რა HI. 12 რა HI. 13 განყოფილება კმისა HI. 14 შჯულთა HI. 15 სწორებით] სწორფობით DHI. 16 იხილვებდის HC. 17 მეწმინდნ BCH. 18 მეუფე I. 19 მთვრ მძღუართა C. 20 მღვდელობისათა I. (1) იოვანე 14,27.

მიმართ თვისისა მოუწოდა, რაათა¹ ჩუენ ყოველთა მეუფისა² ქრისტეს მადლისა მოქმედებითა, ყოველივე განმრყუნელობა³ ტყუვილისა⁴ ქრისტეს სამწყსოდასაგან განკადოს⁵ და ჭეშმარიტებისა მისისა მორჩნი განპოხებულ ყვნეს,⁶ რომელი-ესე⁷ და ვყავთ-ცა ზოგადითა⁸ განჩინებითა განმკდელთა⁹ საცთურისა შჯულთასა.¹⁰ ხოლო უცთომელისა მამათა სარწმუნოებისა განმანსლებელთა და სამას ათრვამეტთა წმიდათა მამათა მრწამსი ყოველთა¹¹ შორის ვკადაგეთ, და კეთილადმსახურისა ამის საზღვრისა¹² შემწყნარებელნი მამად¹³ თვისსა¹⁴ აღვიარენით,¹⁵ რომელ არიან¹⁶ შემდგომად მათსა დიდსა კოსტანტინეპოლეს¹⁷ შემოკრებულნი ასერგასისნი¹⁸ წმიდანი მამანი, და, მისვე მათისა სარწმუნოებისა დამბეჭდველნი,¹⁹ განვასაზღვრებთ²⁰ უკუე წესისა და სარწმუნოებისა ძლითთა შჯულთა²¹ დამცველნი, ჩუენცა, პირველ ევესოს შეკრებულისა წმიდისა კრებისა თანა,²² რომლისა მთავარ იყვნეს²³ სიწმიდით²⁴ მოკსენებულნი კელესტინე ჰრომაელთა და კურილე²⁵ ალექსანდრიელთა და რაათა²⁶ წინაბრწყინვიდეს წმიდისა და უბიწოდას²⁷ სარწმუნოებისა ჩუენისა საზღვარი²⁸ წმიდათა და (169rA) ნეტართა სამას ათრვამეტთა²⁹ ნიკიელთა მამათა და,³⁰ კეთილმსახურებით მოკსენებულისა დიდისა კოსტანტინე³¹ მეფისა ზე შეკრებულთა და,³² ხოლო მტკიცე იყვნეს³³ ას ორმეოცდაათთა ცა წმიდათა³⁴ მამათა კოსტანტინეპოლელთა³⁵ მიერ განსაზღვრებულნი,³⁶ დასამკობელად³⁷ ვიდრემე

1 რათა I. 2 მგწსა C, მწვისა H. 3 განმრყუნელობა HI. 4 ტყუვილისა AB, ტყუილისა D, ტყულისა C, ტყუვილისა HI. 5 განხადოს I. 6 ჰყუნეს I. 7 რომელი-ესე A. 8 ზოგადითა] მაგათითა I. 9 განმხდელთა A. 10 ჰსჯულთასა HI. 11 ყოველთა C. 12 საზღურისა HI. 13 მწთ H. 14 თვისსა AB, თვის I. 15 აღვარენით I. 16 არს HI. 17 კონსტანტინეპოლეს AB, კოსტანტინეპოლის DHI, კოსტანტინეპოლეს C. 18 ასერგასნი C. 19 დამბეჭდველნი I. 20 განვასაზღვრებთ HI. 21 სჯულთა D, ჰსჯულთა HI. 22 კრებისათანი BD. 23 იყუნეს HI. 24 სიწმიდით I. 25 კირილე HI. 26 რათა I. 27 უბიწოსა I. 28 საზღვარი HI. 29 ათურამეტთა HI. 30 მამათა H. 31 კონსტანტინე ABD. 32 შეკრებულთა HI. 33 იყუნენ HI. 34 წმინდათა I. 35 კონსტანტინეპოლელთა ABD, კოსტანტინეპოლელთა C, კოსტანტინეპოლელთა HI. 36 განსაზღვრებულნი HI. 37 დასამხობელად I.

მაშინ აღმოცენებულთა წვალებათაჲსა,¹ ხოლო დასამტკიცებელად მისვე კათოლიკე და სამოციქულოჲსა² სარწმუნოებისა ჩუენისა.

**გამოთქუმა³ სარწმუნოებისაჲ⁴
წთა სამას ათრვამეტთა⁵ მამათაჲ⁶**

გურწამს ერთისა ღმრთისა, მამისა ყოვლისა-მყრობელისა, ყოველთა ხილულთა და უხილავთა შემოქმედისა, და ერთისა უფლისა იესუ ქრისტეს, ძისა ღმრთისა, შობილისა მამისაგან, მხოლოდშობილისა, ესე იგი არს არსებისაგან მამისა, ღმრთისა ღმრთისაგან, ნათლისა ნათლისაგან, ღმრთისა ჭეშმარიტისა, ღმრთისაგან ჭეშმარიტისა შობილისა, არა ქმნულისა, თანაარსისა მამისა, რომლისა მიერ ყოველნი შეიქმნეს,⁷ ცათა-შინანი და ქუეყანისა-ზედანი; ჩუენ, კაცთათჳს და ჩუენისა ცხოვრებისათჳს⁸ გარდამოსრულისა და განკორციელებულისა და განკაცებულისა, ვნებულისა და აღდგომილისა მესამესა დღესა და აღსრულისა ცაჲსა და მარჯუწით მამისა მჯდომარისა, და კუალად მომავალისა დიდებით, განშჯად ცხოველთა და მკუდართა; და სულისა წმიდისა; ხოლო მეტყუწლთა – „იყო ოდეს არა იყო“, და „ბირველ შობისა არა იყო“, და ვითარმედ „არაარსისაგან იქმნა“; ანუ სხჳსა გუამოვნებისა გინა არსებისაგან; ანუ ქცეულად, ანუ ცვალებულად⁹ მეტყუწლთა ძისა ღმრთისათა, აწათ შეაჩუწნებს კათოლიკე და სამოციქულოჲ¹⁰ ეკლესიაჲ“.¹¹

**გამოთქუმა¹² სარწმუნოებისა
ასერგასისთა წმიდათა მამათაჲ¹³**

„გურწამს ერთისა ღმრთისა, მამისა ყოვლისა-მყრობელისა, შემოქმედისა ცისა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არან-

1 წვალებათასა HI. 2 სამოციქულო BCH, სამოციქულო I. 3 გამოთქმაჲ I. 4 სარწმუნოებისა I. 5 ათრვამეტთა H, ათურამეტთა I. 6 მამათა I. 7 შეიქმნეს HI. 8 ცხოვრებისათჳს HI. 9 ცუალებულად HI. 10 სამოციქულო HI. 11 ეკლესია I. 12 გამოთქუმა I. 13 მამათა HI.

ილულთა, და ერთისა უფლისა იესუ¹ ქრისტეს, ძისა ღმრთისა მხოლოდშობილისა, მამისაგან შობილისა² უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათლისა ნათლისაგანისა, ღმრთისა ჭეშმარიტისა, ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილისა, არა ქმნულისა, თანაარსისა მამისა, რომლისა მიერ ყოველნი შეიქმნეს; ჩუენ კაცთათჳს და ჩუენისა ცხორებისათჳს³ გარდამოსრულისა ცათაგან და განკორციელებულისა სულისაგან წმიდისა და მარიამ ქალწულისა, და განკაცებულისა, ჯუარცუმულისა⁴ ჩუენთჳს პონტიელისა⁵ პილატეს ზე და ვნებულისა და დაფლულისა და აღდგომილისა მკუდრეთით მესამესა დღესა წერილთაებრ, და აღსრულისა ცაჲსა და მჯდომარისა მარჯუენით მამისა და კუალად მომავალისა განკითხვად⁶ ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა* არა არს დასასრულ; და სულისა წმიდისა, უფლისა და ცხოველსყოფელისა, მამისაგან გამომავალისა, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანისცემულისა და თანადიდებულისა, მეტყუელისა წინაღსწარმეტყუელთა მიერ, ერთისა წმიდისა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისა;⁷ აღვიარებ⁸ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა,⁹ მოველი აღდგომასა მკუდართასა და ცხორებასა¹⁰ ყოფადისა საუკუნოდასა,¹¹ ამინ.

ხალკიდონისა წმიდამან¹² და მსოფლიომან კრებამან თქუა:

კმა უკუე იყო სრულიადად შესამეცნებელად და დასამტკიცებელად კეთილადმსახურებისა ბრძენი ესე და საცხოვრებელი¹³ საღმრთოდას¹⁴ მადლისა მრწამსი, რამეთუ მამისათჳსცა და ძისა და სულისა წმიდისა ასწავებს სრულებით, და უფლისა განკაცებისა საიდუმლოსა წარმოუდგენს სარწმუნოებით შემწყნარებელ-

* აშიაზე განმარტებულია ეს სიტყვა: „მეფობისა“ A.

1 იესო I. 2 მამისაგან შობილისა – H. 3 ცხოვრებისათჳს I. 4 ჯუარცუმულისა H. 5 პონტიელის HI. 6 განკითხვად I. 7 ეკლესიისა HI. 8 აღვიარებ I. 9 ცოდვათა I. 10 ცხოვრებასა HI. 11 საუკუნოსასა I, სწნოსასა H. 12 წმინდამან C. 13 საცხოვრებელი DHI. 14 საღმრთოსა H, სამღთოსა I.

თა, გარნა ვინათგან¹ მტერთა ჭეშმარიტებისათა და დარღუე-
ვად² ქადაგებისა კელმყოფელთა თჳსთა წვალებათა³ მიერ ახალ-
კმობანი რამე შენეს,⁴ და რომელთამე საიდუმლოსა ჩუენ-ძლი-
თისა განგებულებისასა განხრწნად⁵ იკადრეს და ღმრთისმშობე-
ლობისა კმა⁶ ქალწულსა ზედა უარყვეს. ხოლო რომელთამე
შერევნად და აღზავება⁷ შემოიღეს, და ერთ-ყოფად⁸ ბუნებისა⁹
კორცთა და ღმრთეებისასა¹⁰ უგუნურებით იძმაცუეს,¹¹ და შერ-
ევნისა მიერ საღმრთოსა¹² ბუნებასა მხოლოდშობილისასა ვნებ-
ულება¹³ მიაჩემეს. ამისთჳს ყოვლისავე ჭეშმარიტებასა ზედა
მოპოვნებულისა მანქანებისა მათისა უქმ-ყოფასა¹⁴ მნებებელი, აწ-
ინდელი ესე წმიდა¹⁵ და დიდი და მსოფლიო¹⁶ კრება¹⁷
ზემოთგანისავე ქადაგებისა უცვალებელობასა¹⁸ მასწავლელი,
განასაზღვრებს¹⁹ პირველად უკუე სამას ათრვაშეტა²⁰ წმიდა-
თა²¹ მამათა სარწმუნოებისა შეურყეველად გებასა, და შეძღო-
მთა ჟამთა, სულისა წმიდისა მბრძოლთათჳს, სამეფოსა²² შინა
ქალაქსა შემოკრებულთა ასერგასისთა წმიდათა მამათა²³ არსე-
ბისათჳს სულისა მოცემულისა მოძღურებისა დამტკიცებასა, რო-
მელი-ესე ყოველთადა ცხად არს, (v) რომელ²⁴ აწა ვითარცა
ნაკლულევანებისა რაჲსმე²⁵ პირველთაჲსა²⁶ განმასრულებელთა
დაპრთეს,²⁷ რაჲ-იგი²⁸ დაპრთეს,²⁹ არამედ სულისა წმიდისა ძლი-
თი მოძღურება³⁰ მათი, დასამკობელად³¹ მათდა, რომელნი მეუ-
ფებისა³² მისისა დაქსნასა ილუწიდეს, წერილთა წამებათა
მიერ განაცხადეს, ხოლო საიდუმლოსა განგებულებისასა გან-
ხრწნად³³ კელ-მყოფელთა და წმიდისა ქალწულისა მარიამის-

1 ვინათგან I. 2 დარღვევად H. 3 წვალებათა HI. 4 შენეს H. 5 განხრწნა H, განკრწნა I. 6 კმა H. 7 აღზავება I. 8 ერთ-ყოფა H. 9 ბუნებასა B. 10 ღთაებისასა HI. 11 იძმაცუეს H, იძმაცუეს B. 12 საღმრთოსა C. 13 ვნებულება HI. 14 უქმ-ყოფას I. 15 წმიდა I. 16 მსოფლიო HI. 17 კრება HI. 18 უცვალებელობასა I. 19 განასაზღვრებს HI. 20 ათრვაშეტა H, ათურაშეტა I. 21 წმიდათა I. 22 სამეფოსა I. 23 ~ წმიდათა მამათა ასერგასისთა DHI. 24 რომელ] რამეთუ პირველ D. 25 რაჲსმე F, რასმე HI. 26 პირველთასა I. 27 დართეს H, დაპრთეს I. 28 რა-იგი HI. 29 რაჲ-იგი დაპრთეს – D. 30 მოძღურება I. 31 დასამკობელად I. 32 მწფლბისა H. 33 განკრწნად I.

გან¹ შობილისა მის ლიტონად კაცად ურცხვნობით აღმსარებელთათჳს² ნეტარისა კურილეს³ ალექსანდრიელთა⁴ ეკლესიისა⁵ მწყემსისა მწყემსთამასა,⁶ საკრებონი ეპისტოლენი ნესტორის მიმართ და აღმოსავლელთა, ვითარცა ჯეროანნი,⁷ შეიწყნარნა. სამხილებელად ნესტორის ცნობავნებულებისა⁸ და კეთილადმსახურებისა შურითა თარგმანებად⁹ ძალსა საცხოვრებელისა¹⁰ მრწამსისასა, ამათ თანა ეპისტოლეცა დიდისა და უმოხუცებულესისა ჰრომისა¹¹ საყდრის მპყრობელისა, უფრომასად წმიდისა და ყოვლად-სანატრელისა მთავარეპისკოპოსისა ლეონისი,¹² მოწერილი წმიდათაგანისა ფლაბიანე მთავარეპისკოპოსისა მომართ, დასარღუევვლად¹³ ევტუქის¹⁴ ცნობაბოროტებისა,¹⁵ ვითარცა თანაშეტყუებული¹⁶ აღსაარებასა¹⁷ დიდისა პეტრესსა, და საზოგადოდ რადმე ძეგლი მართლგამომეტყუელებისა,¹⁸ რომელი მან კეთილად შეაწყო, წინაგანსაწყობელად ბოროტადმადიდებელთა, და დასამტკიცებელად მართლმადიდებლობისა შჯულთად,¹⁹ რამეთუ ორობისა ძეთამასა²⁰ მეტყუელთა და განგებულებისა საიდუმლოსა განყოფისა კელმყოფელთა სიმქნით²¹ ეწყვების,²² და ღმრთეებასა²³ მხოლოდშობილისასა ვნებულად თქუმისა²⁴ მკადრებელთა განასხამს შესაკრებელისაგან მღდელთამასა²⁵ და ორთა ზედა ბუნებათა ქრისტესთა შერწყუმისა²⁶ ანუ შერევნისა მომპოვნებელთა წინა-ალუდგების, და რომელნი ზეციერად ანუ სხვსა რადსმე²⁷ არსებისაგანად წარჰრევენ ჩუენგან მიღებულსა მის მიერ ხატსა მონისასა, სდექნის, და ორთა ვი-

1 მარიამისაგან CD, ~ მარიამისგან ქალწულისა F. 2 აღმსარებელთათჳს C. 3 კურილეს AC, კირილეს DHI. 4 ალექსანდრიელთა F. 5 ეკლესიისა CFI. 6 მწყემსთასა HI. 7 ჯეროანნი HI. 8 ცნობავნებულებისა AD, ცნობავნებულობისა C. 9 თარგმანება I. 10 საცხოვრებელისა DFHI. 11 ჰრომის F. 12 ლეონისი – D, ლეონისა HI. 13 დასარღუევვლად H. 14 ევტუქის HI. 15 ცნობაბოროტებისა] ცნობავნებულებითისა ბოროტებისა (!) F. 16 თანაშეტყუებული H. 17 აღსაარებასა AD, აღსარებასა C. 18 მართლგამომეტყუელებისა I. 19 შჯულთად ABC, სჯულთად DFH, ჯულთად I. 20 ძეთასა HI. 21 სიმქნით I. 22 ეწყვების I. 23 ლთაებასა DHI. 24 თქმითა D, თქმისა HI. 25 მღდელთამასა D, მღდელთასა FI, მღდელთასა H. 26 შერწყუმისა FHI. 27 რადსმე F, რასმე HI.

დრემე ბუნებათა უწინარეს შეერთებისა, ხოლო ერთისა¹ შემდგომად² შეერთებისა ზღაპრისმეტყუელთა უფლისათჳს,³ შეაჩუენებს, და ესრეთ შედგომილნი წმიდათა⁴ მამათანი ერთად და იგიჲედ ძედ აღსაარებასა⁵ უფლისა ჩუენისა იესუ⁶ ქრისტესსა⁷ ერთკმობით ყოველნი ვასწავებთ.⁸ მასვე სრულად კაცებასა შინა ღმრთად ჭეშმარიტად და კაცად ჭეშმარიტად; მასვე სულისაგან სიტყუერისა და კორცთა, თანაარსად მამისად ღმრთეებითა,⁹ და მასვე თანაარსად ჩუენდა კაცებითა, რომელი ყოვლითურთ გუემსგავსა ჩუენ თჳნიერ ხოლო ცოდვისა,¹⁰ უწინარეს საუკუნეთა შობილად მამისაგან ღმრთეებითა,¹¹ ხოლო უკუანაჲსკნელთა¹² დღეთასა მასვე ჩუენთჳს და ჩუენისა ცხორებისათჳს¹³ მარიამ ქალწულისა და ღმრთისმშობლისაგან კაცებითა; ერთსა და მასვე ქრისტესა, ძესა და უფალსა მხოლოდშობილსა ორთა ბუნებათაგან, შეურევნელად, უქცეველად, განუწვალებელად¹⁴ და განუმორებელად ცნობილსა, არასაჲა თუთებისა ბუნებათაჲსა¹⁵ მოსპობითა შეერთებისათჳს, არამედ უფროჲსლა¹⁶ დაცვითა¹⁷ თუთებასა თუთოეულისა¹⁸ ბუნებისასა, და ერთად პირად და ერთად გუამად შემოკრებითა, არა ორ პირად განყოფილსა¹⁹ ანუ განწვალებულსა,²⁰ არამედ ერთსა და მასვე ძესა მხოლოდშობილსა, ღმერთსა სიტყუასა უფალსა იესუ²¹ ქრისტეს, ვითარცა ზემოდთგანვე წინაჲსწარმეტყუელთა მისთჳს, და თუთ მან იესუ²² ქრისტემან გუასწავა ჩუენ, და მამათა ჩუენთა მრწამსმან მოსცა მისთჳს. ამათსა უკუე ჩუენ²³ მიერ ყოვლით-კერძო ყოვლითა გამოწულილვითა²⁴ და მოსწრაფებითა განწესებასა განასაზღვრა²⁵ წმიდამან²⁶ და მსოფლიომან კრებამან, არა-მითუალვაჲ სხჳსა სარწმუნოებისა

1 ერთსა F. 2 შდ + შემდგომად D. 3 უფლისათჳს AD, უფლისათა F, უფლისა მიერ C. 4 წმიდათა I. 5 აღსაარებასა AD, აღსარებასა C. 6 იესო I. 7 ქრისტესა HI. 8 ვაწავებთ I. 9 ღუთაებითა F, ღუთებითა HI. 10 ცოდჳსა FI. 11 ღმრთაებითა F, ღუთებითა HI. 12 უკანასკნელთა HI. 13 ცხორებისათჳს DFHI. 14 განუწვალებელად HI. 15 ბუნებათასა I. 16 უფროსლა I. 17 დაცუთა FHI. 18 თითოეულისა ABDFH, თუთოეულისა CI. 19 განყოფისა I. 20 განწვალებულსა HI. 21 იესო I. 22 იესო I. 23 ჩუენ] ჩემ I. 24 გამოწულვლუთა F, გამოწულილვითა I. 25 განასაზღვრა FHI. 26 წმიდამან I.

წინა-ყოფასა, ესე იგი არს აღწერასა ანუ შეწყობასა ანუ მოპოვნებასა ანუ სწავლასა სხუებრ. ხოლო მკადრებელთა სხვსა სარწმუნოებისა შეწყობისა, ესე იგი არს მოპოვნებისა ანუ სწავლისა ანუ სხვსა მრწამსისა მოცემისა მნებებელთა, გარდასაქცეველად მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა, ელენობისა¹ მიერ ანუ ჰურიანობისა, ესე იგი არს ვითარ-სახისაჲე წვალებისა.² ამათ, უკუეთუ³ ეპისკოპოსნი⁴ ანუ მოყუასნი⁵ იყვნენ,⁶ უცხო ჰყოფს, ეპისკოპოსთა – ეპისკოპოსობისაგან, და მოყუასთა – მოყუსობისაგან, ხოლო უკუეთუ⁷ მონაზონნი⁸ ანუ ერისკაცნი იყვნენ,⁹ შეაჩუენებს¹⁰ მათ.

სიტყუაჲ წმიდისა იპოლიტესი სარწმუნოებისათჳს

გურწამს ვითარცა ნათელ-ვიღეთ, და ვადიდებთ ვითარცა განენათლდით ნათლისღებითა მით ემბაზისაჲთა. გურწამს სახელი მამისაჲ და ძისაჲ და წმიდისა სულისაჲ, ვითარცა ჰრქუა მკსნელმან სახარებასა შინა მოწაფეთა მათ, ვითარმელ: „წარვედით ამიერიტგან და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“, (1) რამეთუ ერთ არს არსებაჲ საკურველისა სამებისაჲ.

გურწამს და აღვიარებთ მამაჲ უშობელი, ღმერთი სრული, და ძმ შობილი მამისაგან ნათლისა, ღმერთი (194r) სრული, და სული წმიდაჲ, მომცემელ მადლთა, ღმერთი სრული, ერთღმრთეება, ერთბუნება, ერთნება, სამი სახელი სამებისაჲ სრული.

ხოლო რაოდენ¹¹ რაჲ არს არსებაჲ სიმღიდრისა მისისაჲ! ვინ იყოს კაცთაგანი, რომელი შემძლებელ იყოს ღმრთეებისა,

1 ელენობისა DHI, ელენობისა F. 2 წუალებისა FHI. 3 უკუჲ DHI, უკუთუ F. 4 ეპისკოპოსნი C. 5 მოყუასნი D. 6 იყუნენ FHI, ~ იყვნენ, ანუ მოყუასნი D. 7 უკუთუ I. 8 მონაზონნი DHI. 9 იყუნენ FHI. 10 შეაჩუენებს D. 11 რაოდენ AB.

(1) მათე 28,19.

ვითარ არს, ჭეშმარიტად გამოთქუმად! არამედ ზომით, რაოდენ¹ შემძლებელ არს უძლურებად ესე ჩუენი, თუთ ინება და გუჩუენა ჩუენ, რამეთუ არავინ იცის ღმერთი, გარნა სულმანვე ღმრთისამან და ძემან, რომელი მოვიდა და გუთხრა და გამოგუცხადა და გუჩუენა ჩუენ, (1) რამეთუ იტყვს: „რომელმან მიხილა მე, იხილა მამად ჩემი“. (2)

ხოლო ჩუენ ვითარ შემძლებელ ვართ თხრობად, რომელნი შემშუალულნი ვდგათ სახესა ხატისა ამის ჩუენისასა, ვითარცა შეგუქმნნა ჩუენ შემოქმედმან! აწ ჩუენითა ამით ხატითა ღმერთი ვითარმე ვქადაგოთ, შენაწევრებულნი და შესუარულნი და შეძერწულნი მიწისაგან! თითოეულად² ასოებ თითოეულად³ საქმს თანა-აქუს, ვერ შემძლებელ არს მოყუისისა⁴ მას საქმესა: არა თუალსა ესმის და არცა ყური ხედავს და არცა ენა იყნოსს, არცა კელნი ვლენან, არცა ფერკნი ღაღადებენ. პირი – ჭამადთათუს, ცხურნი – ყნოსისათუს, ქიმნი⁵ – გემოდსსახილველად; თითოეულად თუსსა მას ბუნებასა გამობმულ⁶ არს და დგას.

გარნა ესთენ ხოლო გურწამს და უწყით, რამეთუ იგი არს ღმერთი ჭეშმარიტი, და არათუ ვითარ არს შემძლებელ, ვინ არს თხრობად ღმერთი, რომელი ყოვლითავე ნათელ არს, ყოვლითავე მსმენელ, ყოვლითავე მხედველ, ყოვლითავე – რაოდენცა⁷ თუთ არს; ყოვლითავე ძალ არს, ყოვლითავე სიბრძნე⁸ არს, სული ცხოველი, ცეცხლი შემწუველი, განუზომელ და გარდაუცვალებელ, ღიღება გამოუთქუმელ, ძალ აღუთუალველ, სიმდიდრე,⁹ სიკეთე,¹⁰ მსგავს, საკურველ, მიუწვენელ გონებათაგან და ზრახვათა, გარეშე ყოველთა სიტყუათა. არა თუალთა ხილვა და არცა სასმენელთა სმენა და არცა მოგონებათა გულისათა შეუძლონ (194v) მიწვენად, რად არს ცანი ყოვლითავე და სოფელი ყოვლითურთ; და ცისკიდეთა ყოველთა ზე-აღაპრობად ვერ შეუძლონ;

1 რაოდენ AB. 2 თითოვეულად A, თითოეულად B. 3 თითოვეულად A, თითოეულად B. 4 მუყუსისა A. 5 ქიმნი B] ცხურნი A. 6 გამობმუთ A. 7 რაოდენცა AB. 8 სიბრძნს A. 9 სიმდიდრს A. 10 სიკეთს A.

(1) შდრ. I კორ. 2,11; მათე 11,27; ლუკა 10,22. (2) იოანე 14,9.

და სიტყუასა მისსა ზე-უტვრთავს და უპყრიეს ყოველი და ძალსა ბრძანებისა მისისასა დამოკვიდავს. და ღვას თუთ და ჰხუევიეს ყოველსა — ქუესკნელ ყოველსა და ზემო ყოვლისა, გარეშე¹ ყოვლისა. და ყოველი მის თანა არს და ყოველი მისა, და ყოველი დიდება მისა. და ჟამად-ჟამად ეტყოდა წმიდათა მათ მამათა ჩუენთა ჩუენებათა შინა გამოუთქუმელთა, მიუგულებელთა ცვალებათა, რომელ არათუ ღმრთეებად იგი ეგრე იყოს, არამედ ჩუენისა ამის ოდენ უძლურებისაებრ გუეჩუენის; და თუთ თუსსა მას ღმრთეებასა ჰგიეს და არს საუკუნე, ცეცხლსა განსაკვრ-ვებელსა, სიკეთესა და შუენიერებასა ქებულსა, ღმრთეებისა ხატსა, რამეთუ ღმერთი მიუწდომელ არს და განუზომელ და განუყოფელ და გამოუძიებელ და შეუხებელ და ვერ გულისხმისსაყოფელ არს, ყოველთა დაბადებულთა გამოუჩინებელ ხილვად; მახლობელ ყოველთა, და სახელი მისი არავინ იცნა, და არავინ არს მისა უწინარეს² სხუად, რომელმან მიერთგან მოაქამდე მას სახელ-სდვას, რამეთუ ყოველივე მის მიერ არს, ხოლო იგი თუთ თავადი არსებით არს. უხილავ არს მოგონებით გულთაგან და გამოუძიებელ ბუნებად პოვნიერებისა მისისა. ყოველთა შეუძლებელთა მიმართ შეძლება³ იპოვის მის თანა.

აწ ვინ შემძლებელ არს ხილვად და გამოძიებად ესევეითარისა ძლიერებისა? — არამედ თუთ ეჩუენის ეგოდენ, რაოდენცა⁴ შემძლებელ ვინ არნ ხილვად.

აწ ყოვლისა შემოქმედმან, ყოვლისა დამბადებელმან, ყოვლისა მბრძანებელმან, ყოვლად მეცნიერმან, ყოვლად უფალმან, ყოვლისა მპყრობელმან, ყოვლითა პოვნიერმან, ყოვლად მკურნალმან, ყოვლად სიბრძნემან გამოჩინებასა თუსსა მართალთა მომართ საშინელებად იგი თუსი თუთ დაიფარის, რადთა ღმრთეებისა თუსისა ესენი მახლობელ ყვნეს, და კაცთა ხატად და ანგელოზთა მსგავსად ეჩუენის, რადთა გონებათა თუალითა შემძლებელ იქმნენ წმიდანი იგი ხილვად მისა. (195r)

1 გარეშე A. 2 უწინარეს A. 3 შეძლება A. 4 რაოდენცა A.

ესე წმიდად სარწმუნოება¹ ჭეშმარიტად დავიმტკიცოთ, რომელი ცხადად და პირისპირ გუმოდურიან ჩუენ წმიდანი წიგნნი წმიდითა სულითა საუკუნოდასა მისთვის სასუფეველისა ღმრთისადასა, რომელ გამოცხადა ზრახვით მართალთა მათ მამათა ჩუენტა. და იტოდა ძითა თვისითა და სულითა წმიდითა, და ეხარა სოფელსა წმიდითა წინადაწარმეტყუელებითა და მოციქულებითა და მოგუეცა ჩუენ სიმტკიცს სარწმუნოებისა² რათათა სარწმუნოებითა³ ვეგნეთ ჭეშმარიტებასა.

ერთ ღმერთ მამად და უფალ შემოქმედ ყოვლისა, და მხოლოდშობილი ძმ, რომელ მამისა მიერ და მამისა თანა და მამისა მიმართ, და წმიდად სული მისი, რომელ არსებისა მისისა მიერ და ერთობით ყოველი შექმნა, რომელ არს ერთი უფლება, ერთი ძალი, ერთი ფლობილება, ერთი კელმწიფება, ერთი პეტობა, ერთი სიმდიდრე, ერთი მეცნიერება, ერთი დაუსაბამოდ ძლიერება, ერთი სამება სრული, ერთი სრული ნაბად გამოუთქუმელსა და გამოუძიებელსა ერთსა ერთობასა სამებისასა, ერთი არსება, ერთი ბუნება, ერთი ღმრთეება, მამად და ძმ და სული წმიდად, სამი სახელი, ერთი ძალი ღმრთეებისა; მამად თვთ და ძმ მამისაგან და სული წმიდად მამისა მიერ და ძისა თანა, ბუნებითა არსებისადათა წრფელ, მოდგამ, სწორ სიღრმეთა, სიმაღლეთა, სივრცოთა, სივრძოთა; რომელმან ყოველთა დაბადებულთა განვლის – ცისათა და ქუეყანისათა, ნიავთა და ქართა, ცეცხლსა და წყალსა, ნათელსა და ბნელსა, უფსკრულთა, სიღრმეთა და სიმაღლეთა, რომელ გამოუჩინებელთა დაბადებულთა და ძალთა ნათლითა თვისითა მყის მიიწიის და განვლის, და შეუპყრობელ არს ყოველთაგან ბუნება მისი, ერთ გვრგვან სამებისა, და სავსე არიან ცანი და ქუეყანად ღიდებითა მისითა, (1) ვითარცა იტყვს მეფს სოლომონ, ძმ იგი წინადაწარმეტყუელისა, სულითა წმიდითა ლოცვასა შინა თვისსა, ვითარმედ: „ცანი და ქუეყანად ვერ შემძლებელ არიან დატევნდ ღმრთისა“. (2)

1 სარწმუნოება A. 2 სარწმუნოებისა A. 3 სარწმუნოებითა A.

(1) ეს. 6,3. (2) III მეფ. 8,27.

და სხუად წინამსწარმეტყუელი ცათა საყდრად (195v) იტყვს, (1) და ქუეყანასა – კუარცხლბეკად ფერკთამისთა. (2) და აწ რომელსა ვერ შეძლებელ არიან ყოველნი დაბადებულნი დატევნად განსუენებასა თუსსა ყუდროთა და მდაბალთა თანა, რომელნი ძრწიან სიტყუათა მისთაგან და რომელთა ეშინის სახელისა მისისა, მათ თანა განაჩინებს საყოფელსა თუსსა. ესე არს სიმდიდრწ ერთობისა წმიდისა სამებისა და სხელებით. და ესე არა დაფარულ არს ბრძენთაგან ამით, რამეთუ მამად არა-შობილ და მშობელ არს, და ძმ არა-მშობელ და შობილ არს მამისაგან, და სული წმიდაა – არცა მშობელ, არცა შობილ, არამედ გამოძავალ და მიმომფენელ, მსგავსად სიტყუსა მის, რომელ თქუა: „სული იგი ჭემმარიტი, რომელი მამისაგან გამოვალს“. (3) და არა ითქუმის ძმა მისა, რამეთუ არა არს ნაშობ და არცა უცხო ღმრთისაგან, რამეთუ მამისაგან გამოვალს, ვითარცა ევა და აბელ არა ძმა ითქუმიან ურთიერთას, დაღათუ ორნივე ადამისგან არიან; ერთი იგი – შესაქმით, (4) და ერთი იგი – შობით. (5) და არათუ ადამი ევამსა მამა ითქუმის, დაღათუ მისგან გამოიღო გუერდი იგი. ამისა სახედცა, დაღათუ ღმრთისაგან არს ძმ და სული წმიდაა, არა ითქუმიან ურთიერთას ძმა, რამეთუ ცხად¹ არიან განწესებანი ურთიერთას სავესებისა და მის ერთისაგან არსებისა მამისა.

აღვიარებთ და უწყით მამად დაუსაბამო, გამოუჩინებელ, მიუწლომელ, გამოუთქუმელ, განუხრწნელ, განუზომელ, განუყოფელ, მარტივ, წრფელ, უნაწევრო, უშობელ, შეუზომელ, დაუსაბამო, უსაზღვრო, ურეველ, უსხეულო, წინავე მოგონებულ, უწინარეს ცნობა ყოველთა დაბადებულთა და ქმნულთა,

და ძმ – შობილ,² მხოლოდშობილ, თწნიერ დასაბამისა, თწნიერ ჟამისა, გამოუთქუმელ, თწნიერ განყოფისა, განუყოფელ, განუშორებელ, თწნიერ გუემათა, განუწვალებელ, თწნიერ შე-

¹ ცხადად A. 2 შობილი A.

(1) ფს. 10,4; 102,19; შდრ. მათე 5,34; 23,22. (2) ფს. 98,5. (3) იოანე 15,26. (4) იხ. დაბ. 2,21-25. (5) იხ. დაბ. 4,2.

ვამდგომელებისა, უწინარეს ყოველთა ჟამთა (196r) და მის მიერ სამარადისოდასა მამისაგან შობილ, რამეთუ ღმრთეებრ¹ ღმრთისა მიერ შობილი და არა კაცებრ ჟამთა განწესებითა, და არცა თესლ-წარმოცემულ აღძრვით წარმოჩნდა ანუ ჭირით-რადმე, რომელ შორავენ ღმრთეებასა, არამედ სიწმიდით და სიწრფოებით, ვითარცა ღმრთეებასა შეაშუს შობად, ეგრე მსგავსად, ვითარცა თვით არს, ვითარცა მზისთუალმან ნათელი, ვითარცა წყარომან წყალი; უკუე ჩას, რამეთუ ღმრთისაგანი იგი შობილი მისისა არსებისაგანვე არს და მსგავს მისა არს და მისებრ არს; და თვით ღმერთ² არს. იშვა და არა განეშორა, მოვიდა მამისაგან და არა განეყენა, არამედ მამისაგან არს და მარადის არს და ყოველსა ჟამსა არს და სრული დგას თვსსა თავადსა არსებასა; და ვინ არს, რომელმან ესე გამოცხადებულად განგჳმარტოს, არამედ მახარებელმან და ღმრთისმეტყუელმან იოვანე, რომელ თქუა, ვითარმედ: „ღმერთი ვერვინ სადა იხილა, გარნა მხოლოდშობილმან ღმერთმან, რომელ არს წიაღთაგან მამისათა, მან გუთხრა“³. (1)

და სული წმიდაა — გამოძავალ, სამარადისო, საუკუნო, მამისაგან. ამიერითგან სული წმიდაა, სული პირისა ღმრთისა, სული წრფელი, სული პეტობისა, სული სახიერებისა, სული აზნაურებისა, სული სიბრძნისა და ცნობისა, სული ზრახვისა ძალისა, სული ჭეშმარიტებისა, რომელ მამისაგან გამოვალს, მისვე არსებისა მამისა და ძისა არს; არათუ ქმნულ არს და არცა მონა, არა ბრძანების მოძღვებელ, არამედ ბრძანების მიმცემელ, არა ბრძანებასა ქუეშე⁴ და არცა საქმესა, არამედ თანამოქმედ, რამეთუ ერთ საქმე⁴ არს მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, რამეთუ ღმერთ არს სული წმიდაა,⁵ მასვე საქმესა მამისა და ძისასა თვით ნებითა თვსითა კელმ-წიფედ იქმს, რამეთუ განმათავისუფლებელ არს და მაცხოვარ; მისცემს შჯულსა, განუყოფს ნიჭსა, ვითარცა ჰნებავს, აღავსნის

1 დთებრ A. 2 თვთღმერთ (?). 3 ქუეშმ A. 4 საქმშ A. 5 რამეთუ ღმერთ არს სული წმიდაა (B) — A.

(1) იოანე 1,18.

ყოველნი, რამეთუ ზესკნელნი იგი ძალნიცა ღაღადებენ (196v) და იტყვან: „წმიდა, წმიდა, წმიდა!“ (1) სამჯერ „წმიდა“ თქვან და ერთჯერ „უფალი“, რამეთუ ერთ არს უფლებად წმიდისა სამეზისაჲ.

ჰხედავა ერთობასა და სამებასა ჭეშმარიტსა? და არათუ თუს-თუსა ღმერთთა ვიტყვით; არა ითქუმიან სამ ღმერთ, რამეთუ არა სხუადასხუსა არსებისაგან არიან; არა ითქუმის კუალად ერთ ხოლო, რამათა არა ჰურიებასა და საბელიანოზთა გონებასა მივსდრკეთ, არამედ გურწამს სამებაჲ თავადი, ერთობით სავსება. და არა ვიტყვით სამსა ღმერთსა, რამათა არა წარმართთა ვემსგავსნეთ, რომელნი-იგი მრავალს ღმერთს იტყვან.

და რომელნი ამას ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა მიაქციეს, მისდრკეს იგინი ცთომილებად, ვითარცა იტყვს მაცხოვარი სახარებასა შინა, ვითარმედ: „მე მოვედ სახელად მამისა ჩემისა და მე არა შემიწყნარეთ; სხუად მოვიდეს სახელითა თუსითა და იგი შეიწყნაროთ“. (2) ამასვე წამებს პავლე¹ და იტყვს: „მისთვის, რამეთუ სიყუარული ჭეშმარიტებისაჲ არა შეიწყნარეს, რამათა განერნენ, მოუვლინოს მათ ზედა ცთომად ცთომილებისაჲ, რამათა ჰრწმენეს მათ მაცთურისაჲ მის და დაისაჯნენ ყოველნი, რომელთა არა ჰრწმენა² ჭეშმარიტებაჲ“. (3) ხოლო ჩუენ მტკიცედ ვიპყრათ ჭეშმარიტი იგი და კეთილი აღსარებაჲ, რამეთუ არა ყოველთადა მიცემულ არს სარწმუნოებაჲ,³ (4) არამედ რომელთადა მიმადლებულ არს მამისაგან ნათლისა და თავთა თუსთაგან შეწვევრულ და შეწირულ, ვითარცა თქუა წინაღწარმეტყუელმან სულითა წმიდითა, ვითარმედ: „იყვნენ ყოველნი სახელდებულ ღმრთისა მიერ“, (5) და მერმე იტყვს: „მივსცნე შჯულნი ჩემნი გონებათა მათთა და გულთა მათთა გამოვწერნე იგინი, და იყვნენ იგინი ჩემდა ერად, და მე ვიყო მათა ღმერთ“. (6) და იგი, თავადი იგი, საუკუნოდ იგი, შობილი დაუსაბამოდ იგი მამისაგან, და

1 პავლს A. 2 ჰრწმენეს A. 3 სარწმუნოებაჲ A.

(1) ეს. 6,3. (2) იოანე 5,43. (3) II თეს. 2,10-12. (4) II თეს. 3,2. (5) ეს. 54,13. იოანე 6,45. (6) იერ. 31,33.

ძლიერებად იგი და ღმრთეებად, და სიტყუად იგი, ღმერთი შობილი მამისაგან, უწინარესი იგი ყოველთა საუკუნეთად, იგივე ნაშობ ღმრთის, იგივე ღმრთეება, შობილი იგი მამისაგან, უწინარესი იგი ყოველთა საუკუნეთად¹ იგივე ძმ ღმრთისაა ჩუენისა კსნისათჳს მოვიდა (197r) და შეიმოსა კაცი ესე და იშვა წმიდისა მისგან ქალწულისა კორცითა დასასრულსა ჟამთასა, ხოლო არათუ აღრევით ანუ აღშფოთვით; მამად და ძმ და სული წმიდად ღუწოლილისა მის ჟამსა ქალწულისა მის წმიდისა კორცთა შინა მოვიგონებდეთ გულისხმისყოფად, არამედ განუმორებელობისა და განუყოფელობისათჳს არსებისადასა, ერთობისა მისთჳს ნებისა და ერთობისა – ჰე, ხოლო თითოეულისათჳს² – არა; რამეთუ ვითარცა შობასა მას მამისაგან გულისხმა-ვჰყოფთ და შობილსა მას ძესა ვსცნობთ და გამოძავალებასა მის სულისა წმიდისასა მის მიერ აღვიარებთ, ეგრეცა მოვლინებასა მას ძისასა მამისა მიერ მხოლოდასა. და მეორედ შობად იგი ქალწულისა მისგან ძისა ღმრთისაა თჳსად და მხოლოდ, განწმედად იგი საშოდასა მის ქალწულისაა და განწმედად ტადრად წმიდისა სულისა მხოლოდ; რამეთუ არათუ ერთ სახელ არს წმიდად იგი სამებად, არამედ სამი თავადი სრული სახელი ჰქმმარიტად. აწ, რომელსა ცანი და ქუეყანაა ვერ შემძლებელ არიან დატევენად, ვითარმე დაიტიოს იგი გულმან კაცისამან? ნუუკუე უფროდს არს კაცი ცისა და ქუეყანისა, ანუთუ ყოველთა დაბადებულთა? აწ გულისხმა-ყავ, რამეთუ ღმერთსა რადაცა ჰნებავენ, და არნ, და რადაცა უნდა, და ქმნა. და რასაცა უნებს და იქმს, და რადა ჰნებავენ, არა გარე-წარჰკდის, არამედ დაიმცირა თავი თჳსი, დაიკნინა და იქმნა, ვითარცა უნდა. მოავლინა ღმერთმან ძმ თჳსი სოფლად, რომელი მოვიდა და იშვა დედაკაცისაგან წმიდისა; მოივლინა უფალი ღმრთისაგან და წმიდისა სულისაგან. თჳთ ძმ მოვიდა და იშვა ქალწულისაგან თჳთ თავით თჳსით, კელმ-წიფედ, ვითარცა უნდა, მსგავსად სიტყჳსა მის, ვითარმედ: „ფლობა

1 საუკუნეთად + შობილი იგი მამისაგან, უწინარესი იგი ყოველთა საუკუნეთად A. 2 თითოეულისათჳს A.

მაქუს მე დადებად თავისა ჩემისა, და ფლობა მაქუს მერმე აღებად მისა“.(1) მოვიდა და აღასრულა ნებაჲ მომავლინებელისა თვისისაჲ მსგავსად სიტყვსა მის, რომელ თქუა, ვითარმედ: „მოვედ აღსრულებად ნებასა მამისა ჩემისასა“, (2) (197v) რადთა გჳრუენოს ერთობაჲ იგი სამებისაჲ, განუშორებელ და განუყოფელ თვთ, ერთობითა მით არსებითა, ნებითა მამისაჲ. და შევიდა მუცელსა მას ქალწულისასა და არა დაიძაგა, რამეთუ თვთ თავადი იყო განმწმედელ ყოვლისა. და თვთ ნებითა თვისითა შეიხუა სახუეველითა; და ძუელი იგი ღმრთეებაჲ ჩუენთვს ყრმა იქმნა, და რომელ-იგი განუზომელ და მიუწლომელ იყო სავსებასა ღმრთეებისასა, ჩუენთვს გარდამოკდა და დაიკინა თავი თვისი და დაიღია კორცთა შინა. სრულად გამოჩნდა ჳემმარიტად კორციელად, მსგავსად სიტყვსა მის, რომელ თქუა მოციქულმან, ვითარმედ: „არა ზომით მისცა მას სული იგი“.(3) დაღათუ შეიმოსნა კორცნი იგი და იშვა ჩუენდა მსგავსად, ხოლო ღმრთეებაჲ იგი არა იცვალა, არამედ დგას დიდებასა მას მამულსა, ბუნებასა¹ მას ღმრთეებისა თვისისასა,² ვითარცა იყო, ეგრეცა არს და დგას უკუნისამდე. მამისა თვისისა თანა არს მაღალთა შინა თვისსა მას ბუნებასა, ვითარცა თვთ უფალი იტყვს, ვითარმედ: „მე თვთ იგივე ვარ და არა ვიცვალე“.(4) დაღათუ შთაიციუა ხატი კაცისაჲ და ჳემმარიტად კაც იქმნა და დათმო გინებაჲ, ხოლო გარდამოსლვაჲ იგი და მოსლვაჲ იგი და მომავალეებაჲ იგი, ღმრთეებრი გამოჩინებაჲ იგი მისი არს გულისხმისსაყოფელ; და არათუ ადგილითი-ადგილად იცვალის, რომლითა-იგი სავსე არს ყოველივე და გარემო არს ყოველსა. დაღათუ გამოჩნდა შეურაცხად, ხოლო შეზავნა და შეაერთნა კორცნი იგი ღმრთეებასა მას თვისსა, რამეთუ წმიდითა სულითა განწმიდა³ საშოჲ იგი ქალწულისაჲ მის და შეიმოსნა ძემან ღმრთისამან კორცნი წმიდისა მისგან ქალწულისა, რომლისა კელითა დაებადნეს საფუძველნი ქუეყანისანი და გარდაერთხნეს გარ-

1 ბუნებასა A. 2 თვისისასა A. 3 განწმიდნა A.

(1) იოანე 10,18. (2) იოანე 6,38. (3) იოანე 3,34. (4) შდრ. მალაქ. 3,6.

დასართხმელნი ცათანი, რომლისათჳსცა წინადაწარმეტყუელი იგი იტყჳს: „განაცხადა უფალმან მარჯუენე თჳსი და მკლავი თჳსი ყოველთა მიმართ წარმართთა. (198r) და იხილეს ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა მაცხოვარებად ღმრთისა ჩუენისაჲ“. (1) მარჯუენე მამისა თჳთ არს; მკლავ მისავე – ქრისტე, და მის მიერ განათლდეს შექმნულნი მისნი, და წარწყმიდა უკეთური იგი კორციითა თჳსითა. და დასაჯა ცოდვად კორციითა მით, რომელ შეიმოსა ღმრთეებამან. სიმაღლემან მან, რომელმან შეიმოსა სიმაღაბლჳს, გამოუჩინებელმან მან შეურაცხად [...] ხილვითა მით, რომლისაჲ მუნქუესვე ღმრთისა მიმართ დიდებასა შესხმად დაღაღებით აღელო ზეცისათა მათ ერთა, და მწყემსთა მათ ასწავებდეს და სიმაღლესა მას და სიმაღაბლესა ძისასა აქებდეს და იტყოდეს: „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ“, (2) რაჲთა არა ბაგასა მას და სახუეველთა მათგან მწყემსთა მათ შეურაცხ ეგონოს, რამეთუ წამებს საფსალმუნჳს იგი შესხმასა მას თჳსსა, ვითარმედ: „წინავე მთიებისა იყო სახელი მისი და მისა მიმართ იკურთხნენ ყოველნი ნათესაენი ქუეყანისანი“. (3) ამით სიტყჳთა კორციელად შობასა მას გჳთხრობს და ერთითა მით ღმრთეებასა მას გჳრუენებს, რომელ თქჳა: „საშოდთ წინავე მთიებისა გშეგ შენ“. (4) უშობელმან მამამან¹ რომელმან-იგი შჳა, მან მხოლომან უწყის; ხოლო მეორედ შობაჲ ესე მაღლითა თჳსითა შორის კაცთა განაცხადა, რაჲთა აცხოვნენ კაცნი და კურთხევაჲ მოიყვანენ პირველისა მისგან წყევისა, და ქუეყანაჲ თჳსითა მით კურთხევითა, მოსლვითა, განაახლოს. რამეთუ არარაჲ არს ყოველთა შინა მაღლთა ღმრთისათა უფროჲს ამისა: სიტყჳჲა იგი ღმერთი განკაცებულ ქსნისათჳს სოფლისაჲსა წმიდისა მის ქალწულისაგან იშჳა, და წყევათა მათ წილ და შეჩუენებათა, საშოსა ყოველთა დედათასა კურთხევაჲ თჳსთა² მათ მაღლთაჲ მისთესოს, რამეთუ ევაჲსთჳს

1 მამამან B] მან A. 2 თჳსთაჲ A, თჳსთა B.

(1) ფს. 97,3; შდრ. ეს. 52,11. (2) ლუკა 2,14. (3) ფს. 71,17. (4) ფს. 109,3.

იწყებენ ყოველნი ნათესავნი ღელათანი და მარიამის გამო ზესკნელი (198v) მოიღეს კურთხევად, რამეთუ იხილნეს კაცი წარსაწყმედელსა, შეკრიბნა განბნეულნი და პოვნა წყმედულნი. და მიუდგა სულისა წმიდისაგან მადლისმპყრობელი იგი ქალწული, თუნიერ მამაკაცისა, განურყუნელად საშოსა მას წმიდასა, ძმ იგი ღმრთისად მიუწდომელთა მით წესითა, და წესითა მშობელთადათა შვა პირმშო იგი ქალაქსა მას დავითისსა ბეთლემს.

მუნ აღესრულებიან ამიერითგან სულიერადნი იგი მთხრობელნი, მატიანნი იგი წინადასწარმეტყუელთანი, ყრმისა მშობელისაჲ, ძისა, მოცემულისაჲ ჩუენდა, რომელსა ფლობაჲ აქუს მკართა ზედა თუსთა, და სახელი ეწოდა მას დიდისა ზრახვისა ანგელოზი, საკურველი თანამზრახვალი, ღმერთი ძლიერი და კელმწიფს, მთავარი მშულობისაჲ და მამაჲ განმზადებულისა¹ მის სოფლისაჲ. (1)

ჰხედავა, რამეთუ ძე² და მთავარ და ანგელოზ და თანამზრახვალ და ღმერთ ძლიერ და მამა განმზადებულისა მის სოფლისა? რამეთუ ღღეს შობილი იგი ყრმაჲ მოგუასწავებს, ვითარმედ წინავე იყო ძმ, რამეთუ ძალი ღმრთისაჲ არს და თანამზრახვალ და ღმერთ ძლიერ, რომლითა საუკუნენი ესე დაემტკიცნეს. და ყრმა, რამეთუ ღღეს წმიდისა ქალწულისაგან ბეთლემს იშვა, რომლისათჳს წინადასწარ გუთხრობს: „უფალმან მრქუა მე: ძმ ჩემი ხარი შენ და მე ღღეს მიშობიე³ შენ“. (2) და მამა განმზადებულისა⁴ მის სოფლისა, რამეთუ დაძუელებული ესე და მოკუდავი სოფელი – მსგავსად პირველისა მის მიწისაგანისა კაცისა; მეორს ესე კაცი, მოსრული ზეცით – შობილ ქალწულისაგან, რადათა განაახლოს პირველი იგი კაცი, და მფლობელ ამით, რამეთუ კუერთხს აღმოცენებულს ძირთაგან იესესთა იტყვს ესაია, და ყუავილს მორჩისა მისგან შობასა მას ასულისა მის დავითისსა იტყვს.

უკუეთუ ესრე არს, საყდარსა მას დავითისსაცა დაჯდეს და

1 გამზადებულისაჲ A. 2 ძმ A. 3 მიშობიეს A. 4 განუმზადებულისა A.

(1) ეს. 9,6. (2) ფს. 2,7.

მეუფებად მისი განემარჯოს. დიდებულ ძმ მარადის სულიერთაგან და ცეცხლის მსგავსთა მღვდართა; იგი მოვიდა და იქმნა კაც, რათა კაცებამან მან ხილვად შეუძლოს. ხოლო პირველი იგი შობად ღმრთეებისა მის (199r) მამისაგან, თუთ მამამან უწყის; რამეთუ მეორს ესეცა შობად მისაჲ კორცითა ვერვინ შეუძლოს გამოძიებად, რამეთუ იტყვს წინაღწარმეტყუელი იგი: „თესლ-ტომი მისი ვინ შეუძლოს თხრობად?“ (1) რამეთუ ღმერთი არსებითა თუსითა ვერვინ სადა იხილა, (2) და არცალათუ ზეცისათა მათ ძალთა. ხოლო ძმ იგი შობილ კორცითა იქმნა კაც სრულ, და სრულთა მით ღმრთეებითა ღმრთეებისა მის ძალი გამოგვცხადა, რომელსა იოვანეცა იტყვს დაწერილთა მათ შინა თუსთა, ვითარმედ: „რომელ-იგი იყო დასაბამითგან, რომელი გუეს-მა და ვიხილეთ თუალითა, რომელსა-იგი მივხედეთ და კელნი ჩუენნი ჰმსახურებდეს სიტყუასა მას ცხორებისასა; და ცხორებად იგი გამოჩნდა, და ვიხილეთ და ვწამებთ, რამეთუ იგი არს ჭეშმარიტი და ცხორებად საუკუნოდ“, (3) რომელმან შეიმოსნა კორციი იგი ღმერთმან სიტყუამან, შეუპყრობელმან და ურვეელმან, რომელსა-იგი ჰრევდეს და შეიპყრობდეს კორცითა მით. და ყოველსავე, რასაცა უყოფდეს კორცითა მათ, თავს-იდებდა თუსით ნებსით.

გამოუჩინებელ დაიფარა და დათმო სიმდაბლითა მით, მონა და თანა-მოყუას ექმნა კორცითა მით კაცებასა მას; და განათავისუფლნა კორციი ესე კაცთან ცოდვათაგან, რომელ-იგი შთაკ-და ჯოჯოხეთა, აღმოიყვანნა მიერ შეყენებულნი იგი ჯოჯოხეთისანი. კორცითა იღვენა და განდვენა ეშმაკი, შეკრა ცოდვად და დამსჭუალა ჯუარსა მას ძელისასა, რამეთუ რომელთა¹ ჰრწმენა კორცი იგი მისი, აცნობა მათ ღმრთეებად იგი თუსი, და რომელნი-იგი კორცითა მათ მისთა შეპრკოლდეს, უვარ-ყვეს ბუნებადცა ღმრთეებისა მისისაჲ. რამეთუ შეიერთა კორცი იგი ბუნებით და შეაერთა კორცი იგი ღმრთეებასა თუსსა. რომელთა ჰრწმენა იგი, იშუებდეს ივინი კეთილთა მათ შინა გამოუთქუმელთა, და რო-

¹ რომელსა A.

(1) უს. 53,8. (2) იოანე 1,18. (3) I იოანე 1,1-2.

მელნი ამას სარწმუნოებასა¹ შესცთეს, არაწრფელთა ალაგთა ვიდოდეს და უგზოსა შესცთეს, და განმზადეს თავთა მათთა ალაგნი გამოუკულეველნი, და მრავალნი ჭეშმარიტებისა სარწმუნოებებისაგან² განდრიკნეს, და ჰგონებდეს, რეცა თუ პოვეს რადმე, და პოვეს არარად, ვითარცა წერილ არს, რამეთუ შეუდგეს არარასა და პოვეს არარად.

აწ ყოველი, რომელი გარდაიქცეს ჭეშმარიტებისა ამისგან სარწმუნოებისა³ და სთესვიდენ ბერწსა და მჭნარსა, უქნავსა და ცუდსა და გესლგანწონილსა თესლსა სასმენელსა მსმენელთასა, ეგევითარნი იგი შეჩუენებულ არიან, დაღათუ ანგელოზი ზეცით იყოს. (1) და იყავნ წყეულ, ვითარცა გუელი იგი მიწისმჭამელი, რომელმან ცრუთა და შეტყუვილისა სიტყუთა მცნებად შემოქმედისა გარდაქცევად ინება. და რომელნი მას ეზიარნეს და იტყვან, ვითარმედ – „ოდესმე არა იყო ძმ, და ვიდრე შობადმდე იყო-ვე არა, და არარადსაგან იქმნა და სხვსა ძალისაგან რადმე ანუ წარსლვით და რყუნილებით“, – ეგევითართა მათ შეჩუენებულს-ჰყოფს ეკლესიათა კათოლიკე, და წვალებასა მას საბელისსა, რომელ-იგი იტყვს: „იგივე ერთ არს“, არამედ მამად ვიცით ჩუენ მამად, და ძმ – ძედ, და სული – სულად წმიდად; ერთი უფლებად, ერთი ღმრთიებად, სამი თავადი სრული, მარადის მამად, მარადის ძმ, მარადის სული წმიდად.⁴

